

# მატიანე

ვანის რაიონის ძველი, ახალი და უახლესი  
ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის  
კვლევის ცენტრის კრებული

№ 1

|   |           |
|---|-----------|
| <b>1. ომარ კაპანაძე</b>   | <b>3</b>  |
| ზოგი რამ „ვანის რაიონის ძევლი, ახალი და უახლესი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და<br>ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ (შემდეგში „კვლევის ცენტრის“) მიზნებისა და<br>ამოცანების შესახებ |           |
| <b>2. გურამ ყიფიანი</b>   | <b>9</b>  |
| ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიცია   |           |
| <b>3. სოსო ჩაჩუა</b>  | <b>11</b> |
| ინტერვიუ ბატონ ბეჭან წაქაძესთან   |           |
| <b>4. თითა ტყეშელაშვილი</b>   | <b>13</b> |
| ვანის რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის   |           |
| <b>5. სარგო ვარდოსანიძე</b>   | <b>22</b> |
| უწმიდესი კალისტრატე და ქართველი საზოგადოება, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა   |           |
| <b>6. ამირან ნიკოლებიშვილი</b>  | <b>28</b> |
| ნუ მოვწყდებით ფესვებს   |           |
| <b>7. ომარ გაბუნია</b>  | <b>32</b> |
| ვანის არქეოლოგიური გათხრებისა და მუზეუმ-ნაკალის ისტორიიდან  |           |
| <b>8. ავთანდილ ნიკოლებიშვილი</b>  | <b>38</b> |
| „ძველი ორპირი . დანგრეული სანაოები“...  |           |
| <b>9. მალხაზ ერქვანიძე</b>  | <b>44</b> |
| ვანის მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციები ზოგად ჭრილში  |           |
| <b>10. აკაკი თევზაძე</b>  | <b>47</b> |
| ხალხური და ავტორმთქმელები ვანის რაიონის სოფლებიდან  |           |
| <b>11. სოფო რამიშვილი</b>   | <b>54</b> |
| 30 წელი ახალი არგონავტების კოლხეთში მოგზაურობიდან   |           |
| <b>12. თეიმურაზ ადეიშვილი</b>   | <b>59</b> |
| ვანის ობსერვატორიის მოკლე ისტორია   |           |
| <b>13. თეიმურაზ ადეიშვილი</b>   | <b>63</b> |
| სოფელ ყუმურის ისტორიული მიმოხილვა   |           |
| <b>14. ნონა ადეიშვილი</b>   | <b>69</b> |
| სერგო ამაღლობელი  |           |
| <b>15. თორიივა ეფრემიძე</b>   | <b>72</b> |
| უკანასკნელი შეხვედრა ბუჭუ ბატონთან  |           |

ზოგი რამ „ვანის რაიონის ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ (შემდეგში „კვლევის ცენტრის“) მიზნებისა და ამოცანების შესახებ

ისე, როგორც „არ არსებობს უსიტყვით აზროვნება“, ასევე ნორმალურ, გონიერ ადამიანთა მიერ გადადგმულ ნაბიჯებში არ არსებობს უმიზნო მოქმედება. „კვლევის ცენტრი“, რომელიც 2014 წლის იანვარში იქნა დაფუძნებული ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) გამგეობასთან, ხანგრძლივი ფიქრის, შესაბამისი დონისა და ინტელექტუალური მონაცემების მქონე ადამიანებთან აზრთა შეჯერებისა და განსჯის შედეგია, იმ კეთილშობილური მიზნით, რომ ვიკილიოთ, შევისწავლოთ, გავაანალიზოთ, ის ყურადსალები მოვლენები, რომლებიც განვითარდა დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიულ სივრცეში, როგორც ძველ, ასევე ახალი და უახლესი ისტორიის მონაკვეთზე. მატიანის ფორმით შემოვინახოთ ისინი, შეძლებისდაგვარად გავასაჯაროოთ, გადაცეთ მომავალ თაობას, შევუქმნათ მათ შესაძლებლობა მშობლიური რაიონის ისტორიაში უფრო ღრმა წიაღველებისათვის, მოვიზიდოთ ამ საქმით დაინტერესებული ახალგაზრდები ჩავრთოთ კვლევებში და გადაცეთ მათ ესტაფეტა.

ცხადია, ეს საქმიანობა სამუშაო პროცესში მოითხოვს მოპოვებული მასალების არაერთ-განზომილებიან, მშვიდ გააზრებას, ფართოთვალსანიერიდან გაკეთებულ საფუძვლიან შეფასებებს, ინტენსიურ მოქმედებას, ჯეროვან ხელშეწყობას, ბაზასაც და რაც მთავარია ჩვენი ერის ისტორიის კარგ ცოდნასაც, რადგანაც „ვანი“ ვერც საუკუნეთა მიღმა და ვერც დღევანდელობაში ვერ იქნება შესწავლილი და განხილული ცალკე, სრულიად ქართულ სივრცეში განვითარებული მოვლენებისაგან დისტანცირებულად.

ვანი ერთ-ერთი ხიბლიანი რაიონია საქართველოსა და იმერეთის რეგიონში, თავისი უბრნყინვალესი ანტიკურ-ისტორიული წარსულით, ნაკლებად შესწავლილი ადრეული და გვიანი ფეოდალური ხანის ისტორიით, მეოცე საუკუნის ზიგზაგობრივი პერიოდებით, საკმაოდ დამძიმებული დღევანდელობითა და უკეთესი მომავლის რწმენით. ვანი ლამაზია არა მარტო თავისი მომზიბლავი კოლორიტით, არამედ იმ ადამიანების პლეადით, რომლებიც, ასევე ისტორიის სიგრძე-სიგანეზე, განსაკუთრებულად მე-20 საუკუნის მთელს მონაკვეთზე, ქართველობასთან ერთად ქმნიდა ქართული კულტურის, განათლებისა და მეცნიერების, ქვეყნის ინდუსტრიული სოფლისა და სამრეწველო პოტენციალის სახეს. როგორც ჩანს, ამიტომაც ვანი წარსულიდან და დღევანდელობიდან მოქცეულია მკვეთრი თვალთახედების არეში. ვფიქრობ, ალბათ, არცერთი რაიონი ისეთი განებივრებული არა მათდამი მიძღვნილი სპეციალური კვლევებითა და გამოცემებით, როგორც ვანი. ფუნდამენტური ნაშრომებია შექმნილი ანტიკურ ვანზე და მერე როგორი მეცნიერების მიერ. ეს სამუშაო დღესაც გრძელდება და, ჩანს ბევრ სიახლესაც უნდა ველოდოთ. მითუმეტეს, აქამდე შესწავლილმაც შექმნა საფუძველი სულ სხვა რაკურსით დანახულიყო ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესაბამისი პერიოდი და პრაქტიკულად სხვა ასპექტში წარმოჩნილყო საქართველოსა და ქართველი ერის ისტორია. ამ მხრივ, ჩვენ, ვანელებს ნამდვილად გვაქვს საამაყო და მადლობაც უნდა ვთქვათ ყველა იმ თაობის მეცნიერთა მისამართით, რომლებმაც თავიანთი შრომები მიუძღვნეს, წარმოაჩინეს ვანიც და სრულიად საქართველო. რომ არაფერი ვთქვათ ამ საქმეში საზღვარგარეთის ქვეყნების ცნობილ მეცნიერ-არქეოლოგთა ჩართულობაზე და იმ ტრადიციულ სამეცნიერო სიმპოზიუმებზე, რომლებიც აქ, ვანის გათხრების ბაზაზე იმართება და წარმოადგენს ქართველი ერის ძირძველი კულტურისა და მსოფლიო ცივილიზაციაში მისი წვლილის მეცნიერულ დასაბუთებას, მის მკეთრ პროპაგანდას, რომელიც ახალ სიმაღლეზე იქნა აყვანილი ბატონ ოთარ ლორთქიფანიძისა და მისი გუნდის მეცნიერთა მიერ.

მორიდებულად უნდა ვთქვა: „კვლევის ცენტრის“ საქმიანობაც ორგანულად უკავშირდება ვანს და ვცდილობთ შესაძლებლობათა დიაპაზონში ვიკვლიოთ დღემდე შეუსწავლელი, ვანთან დაკავშირებული ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საკითხთა წრე, რომლებიც ბოლო დრომდე ყურადღების ქვეშ არ მოქცეულა. ეს კეთდება რამდენადმე ენთუზიაზმის ხარჯზეც, თუმცა, საბედნიეროდ ამ გზაზე მარტონი არა ვართ და გვერდით გვიდგანან ცნობილი მეცნიერები. „კვლევის ცენტრი“ დაკავებულია არქივებში, კერძო კოლექციებში, მუზეუმებში, ცალკეულ ოჯახებში და ა. შ. არსებული მასალების მოძიე-

ბით, მათი თავმოყრით, დაცვითა და შესწავლით, გასაჯაროებითაც. არსებულ პირობებში ეს სამსახური თავის თავზე იღებს დამატებით ფუნქციასასაც, რადგან ამ საქმიანობისათვის 1951 წელს შექმნილი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი პრაქტიკულად გაუქმდებულია. ეს მაშინ, როცა იმ რაიონებში, სადაც ანალოგიური მუზეუმები არ იყო ან მოუვლელი ჩანდა, დღეს აფუნქნებენ და უკეთეს სამუშაო პირობებს უქმნიან მას, რომ მუშაობის შეწყვეტამდე ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში რაიონის ყოფისა და ისტორიის მნიშვნელოვანი მასალები იყო მოძიებული და 4000-ზე მეტ ექსპონატს ითვლიდა, მათ შორის 3000-მდე-წერილობითს. იყოველივე ამას დღეისათვის თავშესაფარი არ გააჩნია.

საინტერესო ამბების, მოვლენათა განვითარების თავისებურებების მომსწრენი გახდნენ ჩვენი წინაპრები, ჩვენი თაობაც და პარადოქსების სიმცირეს არც მე-20 საუკუნის მიწურული განიცდიდა. საქმე ისაა, რომ რაიონმა დღიდან მისი შექმნისა, 1930 წლიდან გაიარა (და გადის) ორი უკიდურესად საპირისპირო ეტაპი, იგი აღმოცენდა სოციალისტურ სისტემაში და თანამიმდევრულად განვლო გზა, მემკვიდრეობით მიღებული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულად საგრძნობი და მტკიცნეული ჩამორჩენილობიდან, წერა-კითხვის ნაწილობრივი უცოდინარობიდან, მოწესრიგებულ აგრარულ-ინდუსტრიულ, კულტურულ რაიონად ჩამოყალიბებამდე, რასაც პერმანენტულად ახლდა მასების მდგომარეობის თანამიმდევრული გაუმჯობესება. ხოლო 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც 1963 წელს გაუქმდებული რაიონი 1964 წლის ბოლოს აღადგინეს, იგი გავიდა აღმშენებლობის თვისობრივად ახალ ეტაპზე, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს აღმავლობითი (თუ არ ვიხმართ სიტყვა რენესანსულს).

ცხადია, რაიონის განვითარების ისტორიის კონკრეტულ პერიოდს (1930-90წწ) ახლდა მტკიცნეული გაკვეთილებიც, ადამიანურ რესურსებში მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული დანაკარგებიც, მაგრამ ამ დროის არცერთი მონაკვეთი არ მიანიშნებს აღმშენებლობისა და მასების მდგომარეობის გაუმჯობესების შეწყვეტაზე, მასობრივ დეგრადირებით—ნგრევით პროცესებზე, რისი უტყუარი დასტურიც იყო რაიონის წარმოჩინება საქართველოს მასშტაბით, რომელიც ეყრდნობოდა ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ და აქედან ყოფითი პირობების გაუმჯობესების შედარებით მოწესრიგებულ ბაზას. ამის დასტურია რეალურად ასახული ცხოვრების მაგალითებიც.

1990-იანი წლების დასაწყისს ემთხვევა საბჭოთა კავშირის სივრცეში, მათ შორის საქართველოშიც არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ფორმაციის ცვლა, კვლავ კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლის ეტაპები. ქართველთა მიერ „საკავშირო“ სივრციდან გასვლაც და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება, რომლითაც რაიონის ისტორიაშიც იწყება მეორე, შინაარსობრივი დატვირთვის მიხედვით, უმშვენიერესი, მაგრამ განვითარებულ პროცესთა გამო უმტკიცნეულესი პერიოდი. ნგრევისა და უპასუხისმგებლობის ფაქტორმა რამდენადმე გააფერმერთალა ეროვნული დამოუკიდებლობის, ამ უპირველესი ოცნების, ხიბლი.

თუ რას უნდა მიეწეროს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის ასეთი მასშტაბური, ნგრევა, ამაზე პასუხები დღეს ნაირგვარია. მაგრამ ბევრი მათგანი აცდენილია რეალობას, არაიმებითად ტენდენციურია, შეფასებისას განვითარების მიზეზშედეგობრივი კავშირებიდან ამოვარდნილი და მას, ვინც რაიონს კარგად იცნობს, მსგავს მტკიცებულებათა გაზიარება გაუჭირდება. ასევე, არ შეიძლება ამის ახსნა მხოლოდ სოციალიზმიდან კვლავ კაპიტალიზმზე გარდამავალი პერიოდის თანმდევი ობიექტური ფაქტორებითაც. ეს რომ ასე არაა, ამას ადასტურებს პოსტსაბჭოთა სივრცის არაერთი რესპუბლიკის ცხოვრება. სისტემა შეიცვალა თითოეულ მათგანში, გადიან გარდამავალ პერიოდს, მაგრამ მათში, თაობათა მიერ შექმნილი „საარსებო“ პოტენციალის მნიშვნელოვანი ნგრევები არ მომხდარა. ტრანსფორმაციას ახდენენ ცივი გონებით მშვიდობიანად, ჩვენგან განსხვავებით არ მისულან სამოქალაქო ომამდე და ცხოვრების დონითაც გვისწრებენ. მიუხედავად ზოგიერთი განსხვავებული ფენომენისა, სისტემათა ცვლა განხორციელდა აღმოსავლეთ ევროპის სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებშიც, მაგრამ აქაც, ჩვენგან განსხვავებით, სოციალურ-ეკონომიკური სრულქმნა და პროგრესირება ნგრევით პათოსზე არ დაუფუძნებიათ და არც სასიცოცხლო სივრცე, ტერიტორიის არ დაუკარგავთ.

აյ საუბარია ქართული ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ პოტენციალთან დამოკიდებულების საკითხებზე მის დაცვა-გაღრმავება-გაფართოებაზე, იმაზეც, რომ აქამდე ვერ დაადგა სამველი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეოლოგიის, როგორც ერის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მეცნიერულად ჩამოყალიბებული მწყობრი სისტემის შექმნას. ეს ჩანს პრაქტიკიდან.

ქვეყანაში განვითარებული უარყოფით ტერდენციათა გლობალური და ხანგრძლივი კრიზისის უშუალო ზეგავლენის ნაყოფია ის, რაც რაიონში (რაიონებშიც) მოხდა. ამ ზეგავლენის შედეგია ასევე 1990-იანი წლებიდან დღემდე მოყოლებული არასასურველი რყევები და სტაგნაცია, რაც უპირველესად რაიონის ეკონომიკის სრული მოშლით დამთავრდა.

ხშირად და სამწუხაროდ, რაიონებისა და განაპირობებისადმი ხედვა ყალიბდება პერიფერიული დამოკიდებულების სახით და ასეთი ერთეულები არაიშვიათად მიჩნეული არიან ნაკლებმნიშვნელოვნად. ამ თემაზე კამათი შეიძლება. როგორც ჩანს სანამ ცალკეულ რაიონებს არ ექნებათ მყარი განვითარების პპრობირებული პროგრამები და არ განხორციელდება ზრუნვა პროგრამათა უზრუნველყოფის მოწესრიგებული ბაზის შექმნაზე, სახელმწიფოს დახმარებები, რომლებსაც დღეს ტრანსფერების სახით ვიღებთ, პრობლემებს ბოლომდე ვერ ამოწურავს.

რეფორმათა კასკადი და განსაკუთრებულად აგრარულ რაიონებში გატარებული მინის რეფორმა, იყო შეუსწავლელიც, მოუმზადებელიც და ფორსირებულიც. ამის გამოც სხვა ფაქტორებთან ერთად ჭირს აგრარულ სივრცეში პროგრესირება. გლეხი დაღალა მონოტონურმა შრომამ, მიუხედავად ბოლო ორ წელიწადში სახელმწიფოს მიერ საფუძლიანი წაშველებისა, გლეხი მნარმოებლიდან ნელ-ნელა იქცა მომხმარებლად. ახალგაზრდებს მშობლიურ რაიონებში, სოფლებში გამოცლილი აქვთ საკუთარი უნარისა და ნიჭის რეალიზაციის პოლიგონი, რაც ყოველდღიურად უტევს როგორც საკადრო, ასევე მემკვიდრეობითობის პრინციპის ნორმალურად განხორციელებას, ანგრევს დემოგრაფიულ სალდოს. ამიტომაც შეუმონმებლად გადადგმული ნაბიჯები რაიონებში მოქმედებს განუსაზღვრელად მძაფრად, ვიდრე დიდ ცენტრებში და ხშირად ძნელადგასასაწორებელ ან დროთა ინტერვალში გამოუსწორებელ სახეს იძენენ.

გარდა ზემოთქმულისა, XX საუკუნის მთელი მონაკვეთი რაიონის ისტორიისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მან სრულიად საქართველოსთან ერთად განვლო ყველა ეტაპი, გადაიტანა 1905-07 წლების რევოლუციის სიმძიმეც და ალიხანოვ-ავარსკის სადამსჯელო რაზმების სისასტიკენი, სტოლიპინის რეფორმებიც, შემდეგ 1917 წლის რევოლუციის შედეგად აღმოცენებული პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხიბლიც და ჩავარდნებიც, 1921 წელიც, 1924 წლის აჯანყება, რომელიც, კონკრეტულ სიტუაციათა გამო, ვანში მოქმედ აჯანყებულთა არც თუ მრავალრიცხოვნა ჯგუფს დაკისრებული ჰქონდა განსაკუთრებული მისია, შემდეგ ქუთაისის ოლქიდან გამოყოფა და რაიონულ, ადმინისტრაციულ ერთეულად ფორმირება, 1963 წელს რაიონის გაუქმება და 1965 წელს კვლავ-აღდგენა. 1990 წლის ბოლოდან, როგორც ითქვა კვლავ სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ცვლა თავისი დამახასიათებელი ნიუანსებითა და შედეგებით და ა.შ. ასე რომ, მარტი მეოცე საუკუნე იძლევა არაერთ თემას, რომლის შესწავლა-დამუშავება, ობიექტური გაანალიზება და მომავალი თაობისათვის გადაცემა საჭირო და საშუალებელი საქმედ ჩავთვალეთ.

„კვლევის ცენტრისათვის“ ძალზე საინტერესო XIX საუკუნის მთელი მონაკვეთიც მნიშვნელოვან სიახლეთა, მოვლენების განვითარებათა ზოგირთი ფაქტორებით, ქართულ-ფეოდალური სამყაროს კონსერვატიზმით, სამწუხარო, დისკრიმინაციული პოლიტიკის გამოვლინებითაც. ინტერესს იწვევს 1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში განხორციელებული რეფორმები, ბატონიშვილის გაუქმება, გლეხთა თვითმმართველი ორგანოების (თემსაზოგადოებების) ჩამოყალიბება, ეკონომიკური პოზიციების ცვლა, ყოფილი თავადაზნაურული სამყაროს ფუნქციების დაქვეითება, ლოკალურ სივრცეში სავაჭრო ურთიერთობათა ახლებური ფორმით წარმოჩნდება და ა. შ. ყველა ეს პროცესი განვლო ვანმა, ამაზე მასალებიც არსებობს, ბევრიც კიდევ მოსაძიებელია, ოლონდ სჭირდება საფუძვლიანი არატენდენციური შესწავლა.

„კვლევის ცენტრი“ იძიებს განვითარების უფრო ადრეულ და ძველ პერიოდებსაც, მასზე მუშაობაც დაწყებულია, ასე რომ, საკვლევი თემატიკა მოცულობითი და მრავალგანზომილებიანია. სწორედ ამან მოგვცა საფუძველი გვეფიქრა „რაიონის ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე და ვიდრე ოფიციალური ორგანოს წინაშე საკითხი დაისმებოდა იდეის ირგვლივ საფუძვლიანი საუბრები გვქონდა პროფესორებთან: თეიმურაზ სურგულაძესთან, ომარ ძაგნიძესთან, ავთანდილ ნიკოლეიშვილთან, გურამ ყიფიანთან, უჩა დვალიშვილთან. ამირან ნიკოლეიშვილთან საბოლოოდ ურთიერთ-კონსულტაციების შემდეგ მხარდაჭერის სურვილი გამოხატა თხუთმეტზე მეტმა მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა. ყველა მათგანი ვანელია, რაც მათგან ვანისადმი დიდ სიყვარულსა და პატივისცემაზე მიუთითებს. ნელ-ნელა „ვანელთა ხარჯზე“ ამ წრეს ვა-

ფართოებთ. ამის შემდეგ კი მხარდაჭერა გამოგვიხატა რაიონის ორივე დონის ხელმძღვანელობაში, დაგვეხმარა კულტურის გაერთიანების სამსახური და დაკომპლექტდა „კვლევის ცენტრის“ სამსახურიც. ამდენად ახლა, როდესაც ამ სპეციფიკურ სამსახურში მთელი რიგი ასპექტები უკვე ლაგდება და ჩამოყალიბებულ სახეს იძენს, საქმიანობაც რამდენიმე მიმართულებით იშლება და თითოეულ მიმართულებას კონსულტაციას უწევენ ჩვენი სახელოვანი მეცნიერები:

1 -- ძველი, ახალი და უახლესი ისტორიისა და ეთნოგრაფიის მიმართულების კონსულტანტია პროფესორი გურამ ყიფიანი.

2 -- ფოლკლორის მიმართულებას უძღვება პროფესორი უჩა დვალიშვილი.

3 -- ლიტერატურისას - პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, რომლის რეკომენდაციითაც გაჩნდა ჩვენს ცენტრში ეს მიმართულება.

4 -- თბილისში მცხოვრებ გამოჩენილ თანამემამულებთან აქვე არსებულ შესაბამის არქივებთან ურთიერთობებს ვაგვარებთ პროფესორ ომარ ძაგნიძის მეშვეობით, რომელიც საფუძვლიანად მუშაობს ამ მიმართულებით.

5 -- ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ასევე ქუთაისის სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებში მოღვაწე ვანელებთან, ცენტრალურ არქივთან თანამშრომლობის კოორდინირებაში გვეხმარება პროფ. თემურაზ სურგულაძე - ქ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი, რომელთანაც ასევე მიმდინარე წლის 25 ივნისს ჩატარდა „კვლევის ცენტრის“ საქმიანობისადმი მიძღვნილი შეხვედრა ზემოთ მითითებულ და სხვა ვანელ მეცნიერთა მონაწილეობით, დაკონკრეტდა ზოგიერთი საკითხი. მადლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი თემურაზ სურგულაძე არის ვანის კონკრეტული პერიოდების ისტორიაზე გამოქვეყნებული ჩემი ორი მონოგრაფიის - „ვანი-ქრონიკები რაიონის ცხოვრებიდან“, „ვანი - ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიდან“ რედაქტორი. პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი რედაქტორია შიო გიორგაძის წიგნისა - „ვანი და ვანელები“ ხოლო პროფესორები ომარ ძაგნიძე და თორნიკე ეფრემიძე ბადრი სვანაძის წიგნისა - „ვანი-ოქრომრავალი ქვეყანა“. ასე რომ ჩვენი თანამშრომლობა ამ დიდებულ ადამიანებთან ახალი არაა.

6 -- როგორც საქმიანობა გვიჩვენებს, რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით საკონსულტაციო მხარდაჭერას ვთხოვთ ცნობილ პროფესორს სერგო ვარდოსანიძეს, რომლის ურთიერთობა ცნობილია საპატრიარქოსთან. მე მქონდა მასთან იმედის მომცემი საუბარი და აღფრთოვანებული ვარ ჩვენი თხოვნისადმი მისი დამოკიდებულებით.

უაღრესად ვაფასებთ პროფესორებთან, თემურაზ ადეიშვილთან, თორნიკე ეფრემიძესთან თანამშრომლობას. მათთან ინტენსიური კონტაქტები გვაქვს და დაუზარებლად გვინვდიან ხელს არა მარტო კვლევებში, არამედ პრობლემათა მოგვარებაშიც. როგორც ჩანს, ჩვენს საქმიანობაში ჩაერთვება პროფ. რენიკო საკანდელიძეც, იმედი გვაქვს აკადემიკოს გურამ ლორთქიფანიძის და ა.შ. ასე რომ პრაქტიკულ ასპექტში საქმე უკვე დაიძრა და პარალელურად შევეცდებით კონტაქტები კიდევ უფრო გაღრმავდეს.

მინდა დავაზუსტო რომ: მეცნიერ მკვლევართა ის კორპუსი, რომელიც იყვლევს ანტიკურ ვანს, აქცენტებს აკეთებს გლობალურად, შესაბამის ეპოქასა და მასში განვითარებულ პროცესებზე, ანტიკური ვანის ადგილზე, მაშინდელ სამყაროსა და მის ცივილიზაციაში. იმაზე, თუ რა სოციალურ-ეკონომიკური-პოლიტიკური გარემო და ურთიერთობანი ედო საფუძვლად ისეთი მაღალ-განვითარებული კულტურის შექმნას, რომლითაც ანტიკური ვანი გამოირჩევა.

„კვლევის ცენტრი“ ცდილობს განიხილოს, ახალი და უახლესი ისტორიის პერიპეტიები, ეკონომიკის, სოციოლოგიის, კულტურისა და ყოფითი პრობლემები, რომლებმაც დატოვეს კვალი კონკრეტულად ვანზე და, მიუხედავად იმისა, რომ ვსწავლობთ ქართულ სივრცეში ვანის ადგილსა და როლს, იმვიათად გავცდებით დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიულ არეალს. ამასთან, აზრთა ურთიერთშეჯერებით, ვფიქრობთ 2015 წლიდან შევცვალოთ „ვანის რაიონის ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ სახელწოდებაც, რომლიდანაც ამოღებული იქნება ისტორიის პერიოდიზაციის მიმანიშნებელი სიტყვები: „ძველი, ახალი, უახლესი“ და იგი ჩამოყალიბდება ასეთი ფორმით - „რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“. კვლევის მიზნები, ამოცანები და მიმართულებანი დარჩება უცვლელად, მოცულობის თვალსაზრისით გაფართოვდება კიდევაც. ხოლო „კვლევის ცენტრის“ კრებული „მატიანე“, ვეცდებით, გამოიცეს ყოველ ოთხ თვეში ერთხელ.

ეს ერთი.

**მეორე:** ვცდილობთ მოპოვებული მასალების შესწავლა-ანალიზი და ფუნქციური წყაროებს. ყველა კველევა, როგორც წესი, უნდა იყოს მაქსიმალურად ობიექტურ საშეისებზე აგებული და თავისუფალი ხელოვნურად შეთხზული ფანტაზიებისაგან, რაც არასა-ფუნქციურიანი, დაუზუსტებელი ცნობების შემცველია და ასეთ მაგალითებს წავწყდომივართ ზოგიერთთა მიერ ვანთან დაკავშირებული არაერთი ფაქტის გაშუქებისას. ზუსტად ამან გვიპი-ძგა ნებისმიერ მოპოვებულ მასალას მოვეკიდოთ სიფრთხილით. აქედან: „კველვის ცენტრის“ საქმიანობაში მთავარია სიმართლის ძიება, განვითარებული მოვლენების ეპოქასთან შეჯერება, პროცესთა წარმოქმნის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა, შედეგის ანალიზი. თუ ამას შევძლებთ ჩავთვლით, რომ რაიონის ისტორიის კვლევას „რაღაც“ შევმატეთ და მივალთ დასკვნამდე, რანი ვიყავით, რანი ვართ და როგორი გვსურს ვიყოთ. მაქსიმალურად შევეცდებით შესწავლილი საკითხების გასაჯაროებასაც. ასევე, არ გამოვრიცხავთ, რომ სიტუაციათა გაცნობიერებით, პროცესთა კვლევის შედეგები მტკივნეულ საკითხთა განხილვისას გამოყენებული იქნას რაიონის ხელმძღვანელი რგოლის მიერაც. აქედან, ცენტრის მიზანია იყოს არა-მარტო „ფიქსატორი“, არამედ სათანადო ორგანოების გვერდით მდგომი მით უმეტეს, „კვლევის ცენტრის“ მიერ მოპოვებულ მასალებში პრობლემატიკა დღევანდელობიდანაც მძაფრად იგრძნობა.

**მესამე:** ჩვენ არა მარტო მოვიძიებთ და შევისწავლით მასალებს, არამედ საყურადღებო საკითხებზე მომზადდება ნარკევევები, სტატიები და ა.შ. და როგორც ითქვა, შევეცდებით მათ გასაჯაროებას. ამ მხრივ ადგილობრივი პრესაც გვთავაზობს ურთიერთანამშრომლობას და გვერდით დაგვიდგა ნიჭიერი ბიზნესმენი ბატონი ბეჟან წაქაძეც. ამ პიროვნებას არა ერთი სიკეთე აქვს გაკეთებული ვანისათვის. იგი ვანელების სიძეა, მასთან პიროვნულმა დამოკიდებულებამაც გაგვიხსნა გზა გადაგვედგა პირველი ნაბიჯი „კვლევის ცენტრის“ საგამომცემლო საკითხის გადაჭრაში.

და შემდეგი, რაც ჩვენი საქმიანობის მთავარ, პერსპექტიულ ღერძად მიგვაჩინია: კვლევებში მოვინვიოთ და ჩავრთოთ ახალგაზრდობა, საჯარო სკოლების მაღალი საფეხურების პერსპექტიული მოსწავლეებიც, ვანელი სტუდენტებიც. გავუღვივოთ მათ ინტერესი რაიონის ისტორიის კვლევა- შესწავლისათვის, აქედან უფრო ღრმად ჩასწვდნენ და გააცნობიერონ საკუთარი ერისა და რაიონის ისტორია. მით უმეტეს, ენთუზიასტები ზოგიერთმა საჯარო სკოლებმა უკვე გამოავლინეს და ჩართეს სოფლების ისტორიების კვლევების პროცესებში. მათთვის „კვლევის ცენტრი“ ამ თვალსაზიერს კიდევ უფრო გააფართოებს. ამის პერსპექტივა უკვე არსებობს და დანარჩენს საქმე წარმოაჩენს. ამ ახალგაზრდებმა უნდა გაათვითცნობიერონ, რომ რაიონსა და მის ყველა სოფელს ძალიან ბევრი რამ აქვს საამაყო. აღსანიშნავია, რომ ასეთ პატარა რაიონს 200-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი ჰყავს, რომ მათი უმრავლესობა იდგა და დღესაც დგას ქვეყნის აღმშენებლობის, განათლებისა და კულტურის განვითარების სამსახურში. გვყავს მასშტაბური სასულიერო, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები. ხუთი გენერალი, ოცზე მეტი პოლკოვნიკი, ინჟინერები, პედაგოგები, იურისტები, ზრდილი და თავიანთი საქმის მცოდნე მშრომელები, რომელთა მხრებზეც დგას რაიონის სოციალურ-ეკნომიკური სფერო. არაფერს ვამბობთ გალაკტიონსა და ტიციანზე.

„კვლევის ცენტრი“ არ დაკარგავს არცერთ პიროვნებას - ვანელსაც და არავანელსაც, რომელთაც რაიონისათვის, აქედან ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე უკეთებიათ.

„კვლევის ცენტრი“ თანამიმდევრულად აღრმავებს კონტაქტებს საჯარო სკოლების ხელმძღვანელობასა და ცალკეულ პედაგოგებთან. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, რაიონში ადგილობრივი და მოქმედი „ინტელექტუალური სამყარო“ ძირითადად მხოლოდ ამ ფორმითაა შემორჩენილი და მათი გვერდით დგომის დიდი იმედიც გვაქვს. ამ ადამიანებისა-გან საკითხთა მაღალი გაცნობიერების შედეგი იყო ის, რომ საწყის ეტაპზე აღმოჩნდნენ ჩვენ გვერდით. სპეციალურად შედგენილი კითხვების საფუძველზე შეისწავლეს, დაწერეს და უკვე წარმოგვიდგინეს თავთავიანთი სოფლების ისტორიები. ანალოგები ჩვენთან არ არსებობდა და არაერთი მათგანი პროფესიული სახის მატარებელია, მრავალმხრივია, ლოგიკურად შეკრულია. იგივე მრომები გვაძლევს საფუძველს მათზე დაყრდნობით და-მუშავდეს რამდენიმე მიმართულების სხვა საინტერესო თემატიკაც. ამ ნაშრომებს ჩვენ გზადაგზა გამოვაქვეყნებთ და რაიონის მოსახლეობას, დაინტერესებულ პირებს ექნებათ

საშუალება დეტალებში გაეცნონ სოფლების წარსულსა და აწმყოსაც. აქვე გვერდს არ აუვლი იმ ფაქტს, რომ „ცენტრის“ საქმიანობამ გააჩინა ინტერესი და გამოკვეთა განათლებულ ადამიანთა ჯგუფი არაპედაგოგიური ინტელიგენციიდან, რომელიც ჩვენთან შეთანხმებით ეძიებს კერძო კოლექციებში შემორჩენილ მასალებს, დამატებით მუშაობს რაიონის სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ, დემოგრაფიულ საკითხთა შესწავლა-დაკონკრეტებაზე და წერილობითი ფორმით გვაწვდის მათ. გვირეკავენ და გვთავაზობენ ინფორმაციებს გამოჩენილი წინაპრების, მათ მიერ გაღებული წვლილის შესახებ, ინტერესდებიან, გვჭირდება თუ არა ასეთი მასალები. მადლობა მათ და აქვე დავამატებთ მივიღებთ წებისმიერ მნიშვნელოვან მასალას, გადავიღებთ, ასლს დავიტოვებთ, დედანს კი, როგორც ოჯახურ რელიქვიას, დავაპრუნებთ მესაკუთრესთან.

ამ კონკრეტული პერიოდისათვის „კვლევის ცენტრში“ დამუშავებულია ან მიმდინარეობს მუშაობა რაიონთან დაკავშირებულ, რაიონის ისტორიისათვის შემოსანას არაერთ საკითხზე. მათ შორის ეთნოგრაფიიდან და ფოლკლორიდანაც, რომლის ნაწილსაც გამოცემის წინამდებარე ნომერში ვასაჯაროებთ. შემდეგში კი შევეცდებით მნიშვნელოვანი კვლევები გზადაგზა გავხადოთ მკითხველისათვის ხელმისაწვდომი.

გაუზიადებულად შეიძლება ითქვას: ვანს აქვს არაერთი ლირსშესანიშნავი ადგილი და დაწესებულება, რომელთა წვლილიც განსაკუთრებულია, არა მარტო ვანელი, არამედ ქართველი ახალგაზრდობის ეროვნული, სულიერი ფორმირების საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ფორმირების საკითხები, პატრიოტიზმი დროის ზენოლის შედეგად, ასევე დროებით, ნონსესის დონეს უახლოვდება, შესაძლებლობათა ფარგლებში ამ თემას არ მოვეშვებით, რადგანაც ჩვენი სამსახურის არსებობაც ამ მუხტის მატარებელია და შევეცდებით ბოლომდე ვუერთვულოთ მას. გაცნობიერებული გვაქვს, რომ მასშტაბებში ეს ცენტრის შესაძლებლობას სცილდება, მაგრამ ამ გზაზე ჩვენ ჩვენს სიტყვას ვიტყვით. ამიტომაც კვლევებში შემოგვაქვს ამ დაწესებულებათა შექმნის, როლისა და გაწეული საქმიანობის საკითხებიც. თითოეულ მათგანს ამგვარი მოღვაწეობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს და ვეცდებით ეს პროცესიც წერილობითი ფორმით შემოვუნახოთ რაიონის ისტორიას.

პარალელურად, რაიონის ისტორიასთან დაკავშირებით, გამოკვეთილია მინიმუმ ხუთამდე მასშტაბური საკითხთი, რომელთა კვლევებისათვის გადავინაცვლებთ ქვეყნის სხვადასხვა არქივსა და მუზეუმში. თუმცა, მანამ საჭირო იქნება რაიონის ახალ ხელისუფლებასთან რიგ საკითხებთან დაკავშირებით საფუძვლიანი საუბარიც და, ვგრძნობ, რომ მათგან დახმარებაც იქნება.

ვერ ავუვლი გვერდს პროფესორ ომარ ძაგნიძის ინიციატივას, რომ „ცენტრთან“ შეიქმნას ვანელ მეცნიერთა ნაშრომების ბიბლიოთეკა, რომელიც მოემსახურება არა მარტო ამ ადამიანების ვანელი საზოგადოებისათვის გაცნობას, არამედ დაინტერესებულ პირთა საგანმანათლებლო პროცესებსაც. გამოხმაურება საკითხს უკვე მოჰყვა პროფესორების - თორნიკე ეფრემიძისა და რენიკო საკანდელიძის მხრიდან. მათ უკვე მოგვაწოდეს თავიანთი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომები.

პროფესორმა ამირან ნიკოლეიშვილმა შემოგვთავაზა იდეა, „ცენტრთან“ შევქმნათ საქართველოსა და რაიონის ისტორიის შემსწავლელთა სექცია, რომელსაც კონსულტაციას ბატონი ამირანი გაუწევს. იდეა უკვე გავაცანით საჯარო სკოლების დირექტორებს, რომლებმაც იგი მნიშვნელოვან საქმედ შეაფასეს. ამ იდეას ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დავხერხთ, საბოლოო სახეს მივცემთ და განხორციელებასაც შევუდგებით.

აი, დაახლოებით ასეთია „კვლევის ცენტრის“ დაწყებითი ეტაპის მიზნები და არასრულყოფილი ჩამონათვალი განხორციელებული სამუშაოებისა, რომლებიც ამ მოკლე პერიოდისათვის მოვასწარით. რაიონის ისტორიას დარჩება ყველა იმ პიროვნების, პერსონის გვარ სახელი, რომლებმაც გადაწყვიტეს ან გადაწყვეტენ, რომ ამ რთულ საკითხთა სრულყოფასა და გადაჭრაში დაგვიდგნენ გვერდით.

ჩვენ გვჭირდება მხარდაჭერა და რაიონზე შეყვარებულ, შეგნებული ადამიანებისაგან ამას ველოდებით.

## გურამ ყიფიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი,  
სოფ. ზედა ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

### ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიცია

ბუნებრივია, რომ ვანის საზოგადოება დაინტერესებულია მათ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე და უჩნდება კითხვები ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ჩემი წერილიც განმარტებითი ხასიათისაა და ეძღვნება სოფ. ზედა ციხესულორში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას.

ექსპედიციის ძირითადი მიზანია: უპირველესად ესაა დადგენა და ლოკალიზება რომაელ ავტორთა მიერ მოხსენიებული კოლხური მძლავრი ქალაქისა. მას იხსენიებს პლინიუს „სურიუმისა“ და კლავდიოს პტოლემაიოსი „სურიონის“ სახელით. ცხადია რომ ამ ქალაქის სახელწოდებას ანარმოებს „სურ“ ფუძე, რაც ციხე - სურ - ორის სახელში შეიძლება იყოს გაცხადებული.

ამ ორი რომაელი ისტორიკოსის მოღვაწეობის პერიოდები ერთმანეთისაგან ერთი საუკუნით მაინცაა დაშორებული (პლინიუსი - 23-79 წწ; კლავდიოს პტოლემაიოსი - 90-168 წწ.) და ამავე დროს ისინი გეოგრაფიული პუნქტების ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ. პლინიუსი პუნქტიდან პუნქტამდე მანძილებს აზუსტებს პირდაპირი ხაზით. მაგ. მისი ცნობით ქალაქ ფაზისიდან სურიუმამდე - 38,5 რომაული მილია, რაც - 57,5 კმ-ს უტოლდება. მისგან განსხვავებით კი კლავდიოს პტოლემაიოსი, რომელიც ერთდროულად გახლდათ გეოგრაფიოსიც, ასტრონომიც და სამეცნიერო ტოპოგრაფიის ფუძემდებელიც, ურბანულ სივრცეებს (საქალაქო წარმონაქმნებს) იმდროისათვის სრულიად ახალი სისტემით აკონკრეტებდა, კერძოდ კი კოორდინატთა ბადით, ანუ გრადუსებითა და მინუტებით. კოლხეთში იგი, თავის გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში, 10 ქალაქს ასახელებს და საზღვრავს მათ ადგილმდებარეობას კოორდინატთა სისტემის მიხედვით. ეს ქალაქებია: სეპასტოპოლისი, სიგანეიონი, ნეაპოლისი, აია, ფაზისი, მეხლესოსი, მადია, სარაკე, სურიონი, ძაღრისი. ამას გარდა პტოლემაიოსი კოორდინატებით საზღვრავს დიდ მდინარეთა ზღვაში ჩადინების არეალებსაც: ჰიპოსის, კიანეოსის, ხარიუსტის და ფასისის (რიონი) შესართავებს. როგორც ვეხდავთ ჩამონათვალში ფიგურირებს ქალაქი სური-ონი და მას შესაბამისი კოორდინატები აქვს მინიჭებული -73020' -440-40'. პტოლემაიოსი ცხადია სხვა პუნქტებსაც ანიჭებს გარკვეულ კოორდინატებს, მაგ. ქ. ფაზისი - 720 30' — 440 45'. ჩვენ თუ ელემენტარულად, ქ. ფაზისის პტოლემაიოსისეულ კოორდინატებს მივანიჭებთ ქალაქ ფოთის მიდამოებს, ხოლო სურიონის მონაცემებს სოფ. ციხე-სურ-ორს (ციხესულორი) და მათ შორის გავავლებთ ვექტორს, აღმოჩნდება რომ ამ ხაზის დახრილობა აბსოლუტურ სიზუსტით თანხვდება თანამედროვე ფოთსა და ვანს შორის გავლებულ ვექტორს. ორივე შემთხვევაში, პტოლემაიოსისა და თანამედროვე ვექტორები მერიდიანთან- 300 კუთხეს ქმნის.

თუ, როგორც გარკვეული კვლევითი კონტროლისათვის, პლინიუსის მონაცემს შევაჯერებთ მასთან საოცარი დამთხვევა გამოვივა. თანამედროვე კვლევებით დგინდება, რომ ქალაქ ფაზისის არეალში ზღვა ერთი საუკუნის მანძილზე ნაპირს შორდება 500 მეტრით, ე.ი. განიცდის ინტენსიურ რეგრესიას. ამდენად, ძველი ფაზისი სულაც ალარაა საძიებელი ზღვის სანაპიროზე, არამედ იქ, სადაც მდინარე რიონი ინტენსიურ მეანდროს (კლაკნილს) ქმნის. ეს პუნქტი არქეოლოგიურ-გეოლოგიური კვლევებით დადგინდა. ამ წერტილიდან კი (ე. ი. ქალაქ ფაზისიდან), როგორც აღვნიშნე პლინიუსის მონაცემის მიხედვით - 57,5 კმ-ია ქალაქ სურიუმამდე, ხოლო რეალური მონაცემებით რიონის კლაკნილი კალაპოტიდან (სადაც ლოკალიზდება ისტორიული ქალაქი ფაზისი) ციხე სურ(ლ)ორამდე - 62,5 კილომეტრია და სხვაობა აქ მხოლოდ - 4,75 კმ-ი გვაქს. ეს განზომილებები აბსოლუტურია, რადგან ძველი სამყაროს გეოგრაფოსთა შეხედულებებით დედამიწის სიგრძე გაცილებით ნაკლები იყო ვიდრე თანამედროვე დაზუსტებული მონაცემებითაა. ორი რომაელი მკვლევარის მონაცემთა ესოდენი თანხვდომა, მითუმეტეს თუ იმ ფაქტორებსაც გავითვალისწინებთ, რომ მათი მოღვაწეობის პერიოდები ერთმანეთს საკმაოდ დაშორე-

ბულია და გარდა ამისა, სხვადასხვა გეოგრაფიულ მეთოდებს იყენებდნენ, ქალაქთა ადგილმდებარების დასაზუსტებლად საისტორიო მეცნიერებაში იშვიათობის კატეგორიას განეკუთვნება.

ეს ყველაფერი თეორიული კვლევის შედეგია და ამ მონაცემებით ქალაქ სურიუმის ლოკალიზაცია სოფ. ზედა ციხესულორში ხდება. მაგრამ ნებისმიერ თეორიას ესაჭიროება პრაქტიკული დადასტურება. ამ შემთხვევაში კი ეს არქეოლოგიური გათხრებია. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება ორი სეზონის მანძილზე (2012-2013წწ), რომელსაც წარმართავდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ურბანული არქეოლოგიის განყოფილება უნივერსიტეტის პროფესორებისა და ყველა საფეხურის სტუდენტთა მონაწილეობით. პროცესში აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა და ის შედეგები, რომელსაც მივაღწიეთ სწორედ მათი თანადგომითა და მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი. ამავე დროს ერთი წუთითაც არ მოგვყლებია ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება.

გათხრებმა უპირველესად დაადასტურა ძველი კოლხეთის ერთ-ერთი მძლავრი ქალაქის სამხრეთი საზღვარი, მთელი სისტემა პროტონიზმისა (წინა თავდაცვითი ზღუდე), რომელიც შედგებოდა კლდეში ნაკვეთი 8 მ-ის სიღრმის ხელოვნური წინაღობისა და კედლებისაგან. გათხრებმა დაადასტურა ისიც რომ, მტერი, რომელმაც გაანადგურა ქალაქი სურიუმი და მასთან ერთად მისი საკულტო-სატაძრო ტერიტორია და ამავე დროს მისი ნეკროპოლისი, ვანის ნაეალაქარად წოდებული ტერიტორია, სწორედ სამხრეთიდან მისდგომია ქალაქს. ამის დასტური მრავლად იყო. ქალაქის დამცველთა მიერ ნატყორცი „ჭურვები“ და მტრის მიერ ნატყორცი ქვის ჭურვები. კლდოვან ზედაპირზე შერჩენილი რომაული არმიისათვის დამახასითებელი პილუმები (საგანგებო ისრები, რომლებსაც სპეციალური დანადგარებით, ბალისტებით ტყორციდნენ), ცხენთა ნაშთები და მათი ნალი (ეს ნალი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა - რომაული არმია ცხენებს არ ჭედავდა, ნალი უბრალოდ ცხენის „ქალამანს“ წარმოადგენდა და ჩლიქზე თასმებით იყო მიმაგრებული) და სხვა.

გათხრებმა დაადასტურა აგრეთვე, რომ ქალაქი „სური“ გაცილებით ადრეულ ძვ. წ. V ს-ის ფენებსაც შეიცავდა, აქ აღმოჩენილი ხით ნაგები და გადამწვარი „სამლოცველოსა“ და მასში ჩამარხული ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის ბრნყინვალე ნიმუშების მიხედვით.

საუკუნეების მიღმა დაარსებული ქალაქის საუკუნეების მანძილზე ცხოვრება ნათელ წარმოდგენად უნდა ჩამოყალიბდეს. ამის განხორციელებას კი მომავალ თაობათა დაძაბული შრომა დასჭირდება.

## ინტერვიუ პატონ პეშან წაკაძესთან

არიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ცხოვრების პრინციპითა და სტილით შექმნეს ღირსების საკუთარი სამყარო, სადაც მათვის ცხოვრება და მოღვაწეობა სიამოვნებაა. ასეთ ადამიანებთან საქმიანი ურთიერთობა მეტად ბევრის მომტანია და სრული გარანტიაა სამომავლო საქმის კეთებისათვის.

ძვირფასო მეგობრებო! მოდით, დროში ცოტა უკან დავიხიოთ, და კარგად გავიხსენოთ—იქნებ ვიცნობთ ასეთ ადამიანებს—

„არ ყოფილა თითქმის არც ერთი დღე, რომ ვანზე არ მეფიქროს“

### ბეჭან წაქაძე

დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირში, სადაც 1977 წელს დაამთავრა სამუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური.

1984—1991 წლებში მუშაობდა ვანის ელექტრომექანიკურ ქარხანაში მთავარ ბუღალტრად.

1991—2000 წლებში ჯერ ვანის საგადასახადო ინსპექციის მთავარი რევიზორია, შემდგომ კი იმავე სამსახურის ხელმძღვანელი.

2000 წელს საცხოვრებლად გადავიდა ქ. თბილისში და მუშაობდა დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში.

2004 წელს ჩამოაყალიბა საგადასახადო—საკონსულტაციო ფირმა „პროფესიონალი ს.ს.ჯ.“ იყო მისი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

2009 წელს დააფუძნა სამშენებლო კომპანია „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპი“, რომლის პროფილი გახლავთ საოფისე, კომერციული, საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა და რეალიზაცია. და რომლის ხელმძღვანელი დღემდე

- მოგესალმებით ბატონო ბეჭან, კეთილი იყოს თქვენი კიდევ ერთხელ შეხვედრა ვანელებთან— გვიამბეთ როგორ დაიწყო თქვენი ურთიერთობა

- ვანი — ჩემი უსაყვარლესი რაიონია, აქ შევქმენი ოჯახი, აქ შემძინა შვილი, აქ მყავს უამრავი მეგობარი, ძალიან ბევრი ნათლული და სანათესაო, მოკლედ მე, როგორც პიროვნება აქ ჩამოვყალიბდი—მოვედი 23 წლის და 40 წლის ასაკში წავედი ვანიდან.

— თქვენ დღესაც ძალიან კარგად ახსოვხართ ჩვენს რაიონში, ბევრი გიცნობთ, თქვენი შთაბეჭდილებები ვანთან და ვანელებთან დაკავშირებით.

- არ ყოფილა თითქმის არც ერთი დღე, რომ ვანზე არ მეფიქროს—მის ცხოვრებაზე, იქ მიმდინარე პროცესებისათვის გულგრილად შემეხედოს და დღესაც თითქმის ყველა ჭირსა თუ ლხინს ძველებურად ვიზიარებ და ყოველთვის მათ გვერდში ვარ. კიდევ ვიმეორებ, რომ ჩემშიც რაც კარგი თვისებები თუ პროფესიონალური ჩვევებია, სწორედ აქ, ვანში შევიძინე, რომელიც შემდეგ დედაქალაქში გამოვიყენე. როცა მეკითხებიან თუ რა არის ჩემი წარმატების ფორმულა, ვპასუხობ— წაბრძანდით ბატონებო ვანში, გაიარეთ 17 წლიანი გზა ბუღალტერიიდან საგადასახადო ინსპექციის უფროსობამდე და წარმატება გარანტირებული გაქვთ.

- როგორ წარიმართა თქვენი საქმიანობა ვანიდან წასვლის შემდეგ?

ვანიდან თბილისში საცხოვრებლად 2000 წელს გადავედი და მუშაობა დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში დავიწყე. ოთხი წლის შემდეგ 2004 წლის ნოემბერში ჩამოვყალიბე საგადასახადო საკონსულტაციო ჯგუფი „პროფესიონალი ს.ს.ჯ.“ რომელმაც ერთ—ერთმა პირველმა აიღო სააუდიტორო ფირმის სერთიფიკატი. ჩემი სამუშაო სფერო იყო მსხვილი სამშენებლო კომპანიების სააუდიტორო მომსახურება. 14 სამშენებლო კომპანიას ვუწევდით აუდიტორულ მომსახურებას. ამ სფეროში 2009 წლამდე ვიმუშავე. 2009 წელს შევქმენი საამშენებლო—დეველოპერული ფირმა „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპი“ და გავედი საამშენებლო ბაზარზე, როგორც დამწყები ფირმა, დღეისათვის კი ჩემი

კომპანია ერთ—ერთი უმსხვილესია საქართველოში. მასში ოთხასამდე თანამშრომელია დასაქმებული. მისი არსებობისას, , ესე იგი ხუთი წლის განმავლობაში, დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში ავაშენეთ 12 საცხოვრებელი კორპუსი საერთო მოცულობით 187 000 კვადრატული მეტრი —— ამ საქმიანობას ვაგრძელებ დღესაც.

ბატონი ბეჟან, 2012 წლის 2 ივნისს, ვანელობის დღესასწაულზე, ვანში საკათედრო ტაძრის მშენებლობაში შეტანილი წვლილისათვის სიგელითა და საკათედრო ტაძრის სიმბოლოთი დაგაჯილდოვეს, რაც უდავოდ თქვენი ღვანლისა და დამსახურების აღიარებაა, ისიც ვიცით, რომ ანალოგიური ქველმოქმედებით ბრძანდებით დაკავებული ზესტაფონში, თქვენს მშობლიურ რაიონში. რას განიცდით ასეთი კეთილი საქმეების კეთებისას?

მე ნამდვილად მეამაყება, რომ 2012 წელს ვანელობის დღესასწაულზე დამაჯილდოვეს სიგელით საკათედრო ტაძრის მშენებლობაში შეტანილი წვლილისათვის. ამ სიგელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩემს სამუშაო ოთახში ვანის საკათედრო ტაძრის სურათთან ერთად. მე ასევე მეამაყება, რომ გასულ წელს დავამთავრე ვანში საპატრიარქოსთან არსებული სკოლის შეკეთება, რომელიც ერთ—ერთი ლამაზი შენობაა ვანში.

გულს უხარია, რომ ჩემს მშობლიურ სოფელში ვაშენებ ეკლესიას, რომელიც 300 მრევლზეა გათვლილი და ერთ—ერთი უდიდესი იქნება ჩემს რაიონში არსებულ საეკლესიო კომპლექსთა შორის.

ცნობილია, რომ თქვენ როგორც ჭეშმარიტი ქართველი ყურადღებით გაეცანით და მიესალმეთ ვანში „რაიონის ძეველი, ახალი და უახლესი ისტორიის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ შექმნას. ამ საკითხზე ცენტრის ხელმძღვანელმა ბატონმა ომარ კაპანაძემ საკმაოდ გულთბილად ისაუბრა ინტერვიუში რომელიც გაზეთ „საჩინოში“ დაიბეჭდა. ისიც გავიგეთ, რომ ჯერჯერობით თქვენ ბრძანდებით პირველი, რომელიც ამ სამსახურს დაუდგა გვერდით.

- ბატონ ომარ კაპანაძისგან (რომელსაც მე უაღრესად დიდ პატივს ვცემ) ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ვანში შეიქმნა „რაიონის ძეველი, ახალი და უახლესი ისტორიის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“— მართლაც საშვილთაშვილო საქმე დაიწყო ბატონმა ომარმა და წარმატებებს უსურვებ ამ დიდ ქართულ საქმეში. მე მნამს, რომ არა მარტო მე, არამედ ბევრი, ვანიდან წასული თუ ვანში მაცხოვრებელი ბიზნესმენი დაუდგება გვერდით ამ საქმეს... მე კი როგორც ვანზე შეყვარებული ერთ—ერთი კაცი ყოველთვის მიგულეთ თქვენს გვერდით.

- ბატონ ბეჟან, დარწმუნებული ვარ, ამ სამსახურისგან საზოგადოებისათვის სასარგებლო პერსპექტივას რომ არ ხედავდეთ, გვერდში დგომაც სათუო გახდებოდა. ანალოგიური სამსახურიც სხვა რაიონებში იშვიათობაა, მით უმეტეს აქ საქმიანობა გათვლილია შორეულ პერსპექტივაზე —— გაგრძელდება თუ არა თქვენი ურთიერთობა მომავალშიც, რომელსაც გულახდილად რომ გითხრათ მიესალმება რაიონის ხელძვანელობაც და მოსახლეობაც.

- რა თქმა უნდა, უფრო მეტსაც გეტყვით, რომ, გარდა ჩემი საქმიანობისა, ვმუშაობ სასოფლო—სამეურნეო საწარმოების შექმნის თემაზე როგორც ვანში, ასევე ზესტაფონში და თუ რა იქნება ეს, ამას სულ რამდენიმე თვეში დავაანონსებ თქვენი გაზეთის საშუალებით, ეს იქნება მაშინ, როცა მოლაპარაკებებს დავასრულებთ დანადგარების მწარმოებელ ფირმასთან.

- რას უსურვებთ ვანელებს?

ყველა ვანელს ვუსურვებ ჯანმრთელობას, გამრავლებას, ბედნიერებას და სიხარულს. ამ ძნელბედობის უამს ერთმანეთის გვერდით დგომას და ერთმანეთის გატანას.

- ბატონ ბეჟან, როგორც ერთ—ერთმა ვანელმა მინდა მადლობა გითხრათ ვანისა და ამ შემთხვევაში „კვლევის ცენტრისადმი“ თქვენი დამოკიდებულების გამო, მჯერა, რომ ეს ურთიერთობა არაერთ სასიკეთო საქმის საძირკველი იქნება და საინტერესო კვლევებს დაუტოვებს შთამომავლობას.

გმადლობთ ინტერვიუსთვის და წარმატებებს გისურვებთ.

### ვანის რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის

თემა რომლის ხელმძღვანელები არიან თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტის მაშინდელი დეკანი პ. ნ. გრ. დევდარიანი და გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი პ. ნ. მ. სანებლიძე, დამუშავებულია მე- 20 საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიჯნაზე. მასში აღნერილი პროცესები და რეალობანი ყალიბდებოდა მილიონობით წლების მანძილზე და თუ რაიმეგვარი კატასტროფა არ მოხდა, უმნიშვნელო ცვლილებებით იგი გაუძლებს მრავალ ასეულ საუკუნეთა დინებას. ამდენად იგი დროსა და სივრცეში შედარებით მარადიულია. თემას ვასაჯაროებთ გასაგები მოტივით, რაიონის საზოგადოებამ და განსაკუთრებულად ახალგაზრდობამ, მშობლიური რაიონის შესახებ შეიტყოს მეტი, ვიდრე იცის.

### მდებარეობა და საზღვრები

ვანის რაიონი მდებარეობს საქართველოს ისტორულ—გეოგრაფიული ერთეულის—იმერეთის სამხრეთ — დასავლეთ ნაწილში და განიხელება შემდეგ ფიზიკურ-გეოგრეფიულ საზღვრებში : დასავლეთი საზღვარი იწყება მდ. რიონიდან, გაუვლის სოფელ გომს დასავლეთით, მიდის გურიის, ანუ ნიგოითის ქედამდე, საიდანაც საზღვარი მიუყვება ამ ქედს მწვერვალ მეფისწყარომდე. სამხრეთით საზღვარი აჭარა—იმერეთის ქედის თხემს გასდევს მწვერვალ მეფისწყაროდან მდ. წაბლარას ხევის სათავემდე (სულ 4 კმ—დე). აქედან იწყება აღმოსავლეთი საზღვარი, რომელიც მიემართება მდ. წაბლარას წყლის სათავიდან დაახლოებით ლამაზი მთის პარალელამდე. შემდეგ კი იღებს ჩრდილო—დასავლეთურ მიმართულებას და მიუყვება მდ. კორისწყალს მარცხენა მხარეზე რიონთან შეერთებამდე. ჩრდილოეთით რაიონს ესაზღვრება მდ. რიონი. ამრიგად, ვანის რაიონი მოქცეულია ჩრ. განედის  $42^{\circ} 99'$  და  $41^{\circ} 48'$  შორის და აღმ. გრძედის  $42^{\circ} 52'$  და  $42^{\circ} 47'$  შორის. რაიონის მაქსიმალური განფენილობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაახლოებით 40 კმ—ია, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 33 კმ-ს უდრის.

რაიონის ტერიტორიას ესაზღვრება ჩრ. დასავლეთით სამტრედისა და ჩოხატაურის რაიონები, ხოლო ჩრდილოეთით წყალტუბოს, აღმოსავლეთით ბალდადის, სამხრეთით ადიგენის რაიონები. აღნიშნულ საზღვრებში ვანის რაიონის ფართობი უდრის 557 კვ. კმ-ს, რაც საქართველოს მთელი ტერიტორიის 0,6%—ს შეადგენს.

### რელიეფი

რაიონის ტერიტორია ბუნებრივი პირობების მიხედვით შედის ორ ერთიმეორისაგან განსხვავებულ — ჩრდილოეთით — კოლხეთის სუბტროპიკულ და სამხრეთით — აჭარა — თრიალეთის მთიანი სისტემის ოლქში.

ვანის რაიონი ბუნებრივი თავისებურებების მიხედვით მრავალგვარია. აქ წარმოდგენილია ზომიერი სარტყელისათვის დამახასიათებელი ლანდშაფტის ტიპები — დაწყებული ნოტიო სუბტროპიკულიდან, დამთავრებული მაღალი მთის ალპური ლანდშაფტით და იყოფა შვიდ ზონად: 1.— რიონისპირა ვაკე - დაბლობის ზონა, მოიცავს  $90\text{-კვ. კილომეტრს}$ , განლაგებულია ზღვის დონიდან  $80-90$ . მ-დან  $100-120$ - მეტრამდე.

2. — დაბალტერასული ბორცვების ზონა, მოიცავს  $70 \text{ კვ. კმ-ს}$ . განლაგებულია ზღვის დონიდან  $120$  მეტრიდან  $250$  მეტრამდე. 3— გორაკ — ბორცვინი ნოტიო სუბტროპიკული ზონა, მოიცავს  $95 \text{ კვ. კილომეტრს}$ . ზღვის დონიდან  $250\text{- მ-დან } 600 \text{ მ-დე}$ . 4 — მთისპირა გარდამავალი ზონა, მოიცავს  $40 \text{ კვ. კმ-ს}$ . განლაგებულია ზღვის დონიდან  $600\text{-დან } 900\text{- მ-დე}$ .

5 - საშუალო სიმაღლის მთის ტყეთა ზონა, მოიცავს  $220 \text{ კვ. კმ-ს}$ . ზღვის დონიდან მისი განლაგება  $800-900$  მ-დან  $2100$  მ-მდე. 6 — სუბალპური ზონა, მოიცავს  $33 \text{ კვ. კმ-ს}$ . განლაგებულია ზღვის დონიდან  $2100$  მ-დან  $2400\text{- } 2500 \text{ მეტრამდე}$ ; 7 — ალპური ზონა, მოიცავს  $8 \text{ კვ. კმ-ს}$ . ზღვის დონიდან განლაგებულია  $2400-2500 \text{ მ-ს ზემოთ}$ . თითოეული მათგანი ხასიათდება კლიმატის შედარებითი თავისებურებითა და ტემპერატურის სხვაობით.

ბუნების მრავალგვარეობისა და სირთულის გამომწვევ ადგილობრივი ფაქტორებიდან

ყურადღებას იმსახურებს რელიეფი. განსაკუთრებით მისი ოროგრაფიული<sup>1</sup> და ჰიდროგრაფიული<sup>2</sup> თავისებურება (დანაწევრება).

რაიონის ტერიტორიის მთავარ ოროგრაფიულ ერთეულს წარმოადგენს სამხრეთის საზღვრის გასწვრივ მდებარე აჭარა— იმერეთის ქედი, რომელზედაც აღმართულია რაიონის უმაღლესი მწვერვალი მეფისწყარო (2846 მ.) მნიშვნელოვანია აგრეთვე ამ ქედის ჩრდილო განშტოებანი. მათ შორის უმაღლესია მწვერვალ მეფისწყაროდან ჩრდილოეთით გადაჭიმული მერიდიანული მიმართულების მქონე ლაბოროტის ქედი (მწვერვალ დიდი და მცირე ლაბოროტით (2732 მ. ზღვის დონიდან). რომელიც თავის მხრივ ივითარებს რიგ განშტოებებს. მისი ჩრდილო—აღმოსავლეთი განშტოება ცნობილია ლამაზი გორა—შუაგორის ქედით, ხოლო ჩრდილო — დასავლეთი განშტოება ბუგნარის ქედით. აღნიშნული ქედები წარმოადგენს მდინარე ხანისწყლისა და სულორის სათავეების წყალგამყოფებს.

აჭარა—იმერეთის ქედის მნიშვნელოვანი ნაწილი მდებარეობს რაიონის სამხრეთ ნაწილში ზ.დ. 1500 მეტრს ზემოთ. ხოლო შემდეგ ჩრდილოეთით გადადის ზ.დ. 1000 მ—ს სიმაღლის ქედებში. მათ შორის აღინიშნება მდ. ყუმურისა და სულორის წყალგამყოფი ქედი. ეს ქედები ჩრდილოეთით კიდევ უფრო დაბლდებიან დაბალმთიან და გორაკ-ბორცვიან ზონაში, რომლებიც ძირითადად განედური გავრცელებისაა. ისინი მკვეთრადაა დანაწევრებული მერიდიანული ხეობებით. გორაკ-ბორცვიან ზონას უკიდურეს ჩრდილო ნაწილში ცვლის რიონისპირა ვაკე — დაბლობები, რომლის დასვლეთი ნაწილი ზღვის დონიდან 20—25 მეტრზე მდებარეობს.

რაიონის უმაღლეს და უდაბლეს წერტილებს შორის სიმაღლეთა სხვაობა 2800 მეტრს აღემატება, მაშინ როცა მათ შორის დაცილება 40 კმ—ს უდრის.

ამრიგად, ვანის რაიონის ტერიტორიის 4/5 მთებსა და გორაკ ბორცვებს უჭირავს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნების თავისებურებათა შექმნის საქმეში.

### გეოლოგიური აგებულება

ვანის რაიონი რთული რელიეფით ხასიათდება. რელიეფის სირთულე მნიშვნელოვნად არის განპირობებული ამგებელი ქანების ლითოლოგიური შედენილობითა და გეოლოგიური განვითარების ისტორიის თავისებურებებით.

რელიეფის ამგებელ ქანებს შორის უძველესია ცარცული, რომელიც განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი ქ. ვანისა და ამაღლებას შორის. ამავე ზოლის ბზვანის ისრითის და დიხაშხოს ტერიტორიაზე, ცალკეულ ადგილებზე შიშვლდება ინტენსიურად დანაოჭებული ზედა ცარცული კირქვები. ეს კირქვები თეთრი ფერისაა და შეიცავს კაუის შემადგენლობას და მკაფიო შრეებრიობას იჩენენ. ქანების დიდი ნაწილი წამოდგენილია ანდეზიტებით და ტუფბრეგჩიებით<sup>3</sup>. დაბალ მთებსა და გორაკ-ბორცვებში სჭარბობს მერგელები<sup>4</sup>. წყალში ხსნადი ქანების არსებობა, ტენიანი ჰავა და C<sub>2</sub> - ის მოქმედება იწვევს კარსტების წარმოქმნას, რომლის კლასიკური მაგალითია სოფ. ზედა ბზვანში არსებული მღვიმე, რომლის შესწავლაც საკმაოდ გვიანდება.

საირმის მიდამოებთან ზედაპირზე გამოდის მესამეული ასაკის გაბროიდები. ასეთი განსხვავებული ქანების არსებობა გამოწვეული უნდა იყოს რთული ტექტონიკური სტრუქტურით და ნაწილობრივ ეგზოგენური<sup>5</sup> ძალების ზემოქმედებით.

პროფესორ ა. გამყრელიძის გამოკვლევების თანახმად, გეოტექნიკური თვალსაზრისით ვანის რაიონი გაშლილია ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებულ სტრუქტურულ ერთეულებზე: ჩრდილოეთით - ე. წ. საქართველოს ბელტზე და სამხრეთით - აჭარა - თრიალეთის ნაოჭა სისტემაზე.

გეოლოგიურ აგებულებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული წიაღისეული სიმდიდრეები, რომელთა შორის აღსანიშნავია ცარცული კირქვები, ბაზალტები, კერამიკული თიხები, რიყის ქვა, ქვიშები, თაბაშირი და სხვა. მნიშვნელოვანი წიაღისეული სიმდიდრეა აგრეთვე აქ არსებული მინერალური და თერმული წყაროები (სულორის, ამაღლების, საყანჩის, ჭოკიანის და ა. შ.). სხვა სახის წიაღისეული ჯერ-ჯერობით მიკვლეული არაა.

<sup>1</sup> ოროგრაფიული - გეომორფოლოგიის დარგი. აღნერს დედამიწის რელიეფის ფორმებს, ქედებს და ა.შ. ამ შემთხვევაში რელიეფის ფორმები და თავისებურებანი.

<sup>2</sup> ჰიდროგრაფიული - განსაზღვრავს ადგილის სიმაღლეს. მათ გამოხატულებებს. (მოც. შემთხვევაში ადგილის სიმაღლე...)

<sup>3</sup> ტუფბრეგჩიები - ქანების შემადგენლელი ნაწილები.

<sup>4</sup> მერგელები - გლაუკონიტული თიხები, ფოსფატები, ბენტონიტები.

<sup>5</sup> ეგზოგენური - დედამიწის ზედაპირზე და დედამიწის ქერქის ზედა წელში მიმდინარე გეოლოგიური პროცესები.

მთათაწარმომქმნელი ენდოგენური ძალების მოქმედება დღემდე არ დასრულებულა, რასაც ადასტურებს სეისმური მოვლენები. რელიეფის ფორმებში ენდოგენური ძალებთან ერთად დიდი როლი შეუსრულებია ეგზოგენურ ძალებსაც. ზედა მესამეულიდან ტენიან და უხვნალექიან კლიმატურ პირობებში მდინარეული ქსელი აქ ხშირი და წყალუხვი ყოფილა, რაც მთიან ნაწილში ინტენსიურ ეროზიას, ხოლო ვაკე— დაბლობ ნაწილში აკუ

### კლიმატი

ვანის რაიონის კლიმატი რიგ ფაქტორთა გამო არაჯეროვნადაა შესწავლილი. რადგანაც რაიონი რამდენადმე ფიზიკურ — გეოგრაფიულად ემსგავსება მეზობელ ტერიტორიებს, შესაძლებელია კლიმატური დახასიათების დროს ვიმსჯელოთ რაიონის ახლომდებარე მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემებით.

ვანის რაიონის კლიმატი საკმაოდ მრავალფეროვანია. აქ ნარმოდგენილია ზომიერი სარტყელის დაბლობი და მთიანი მხარისათვის დამახასიათებელი თბილი კლიმატის სხა-დასხვა ტიპი, დაწყებული თბილი და ტენიანი სუბტროპიკულიდან, დამთავრებული — მაღალმთის უზაფხულო კლიმატით. საერთოდ, რაიონის ტერიტორია იყოფა 5 კლიმატურ ზონად: 1- ზომიერად თბილი და ნოტიო კლიმატი: მოიცავს დაბლობ და გორაკბორცვიან ნაწილს ზ.დ. 600-700 მეტრამდე. 2 - ზომიერად თბილი და ნოტიო კლიმატი, საკმარისი ნალექებით წლის ყველა დროში, არაცხელი ზაფხულით ზ.დ. 1100-1500 მ-დე. 3 - ცივი და ნოტიო ზამთრის კლიმატი, არაცხელი მაგრამ ხანგრძლივი ზაფხულით, მოიცავს მთის ფერდობებს ზ.დ. 1700 მეტრამდე; 4 - ცივი და ნოტიო ზამთრის კლიმატი მოკლე და გრილი ზაფხულით, ვრცელდება 2400 მეტრამდე ზ.დ, 5 - მაღალი მთის კლიმატი ხანგრ-ძლივი და მძლავრი თოვლის საფარით, ზ.დ. 2400 მეტრს ზევით. ასეთი მრავალფეროვნება მჭიდროდაა დაკავშირებული ტერიტორიის კლიმატწარმომქმნელი ფაქტორების თავ-ისებურებებთან. რამაც განაპირობა რაიონის ფარგლებში მზის ნათების საკმაოდ დიდი ხანგრძლივობა, იგი ვაკედაბლობ ნაწილში 2000 საათს უდრის, მთიან ნაწილში კი 2400 საათს. ტერიტორიის სიმცირისა და ადგილის გეოგრაფიულ განედებს შორის სხვაობათა უმნიშვნელობის გამო არცერთი კლიმატური ელემენტი შესამჩნევად არ იცვლება.

ჰაერის მასები რაიონის ტერიტორიაზე უმთავრესად დასავლეთიდან და აღმოსავ-ლეთიდან შემოიჭრება. განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც დასავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასებს ენიჭება. ზაფხულში გაბატონებულია ქარი ზღვიდან, ზამთარში ხმელეთი-დან, რაც გამოწვეულია წნევითი სხვაობით. ქარების დღელამურ მსვლელობაზე გავლენას ახდენს როგორც ბრიზები<sup>7</sup>, ასევე მთახეობათა ქარები.

ამინდის მსვლელობა, როგორც წნევი, იცვლება წლის სეზონების მიხედვით. ზამთარში უპირატესობა ენიჭება არქტიკული და პოლარული ფრონტების მოქმედებას. ამ მხრივ ცნობილია ციმბირის ანტიციკლონის მოქმედება, თუმცა ამავე პერიოდში იწყება ხმელთა-შუა ზღვის ციკლონების გააქტივებაც, რის გამოც რაიონში ხშირია ციკლონური ტიპის ამინდი ნისლით და ღრუბლების დაბალი ფენით, გარემომცველი თქორი წვიმით.

გაზაფხულის დასაწყისში ციმბირის ანტიციკლონის მოქმედება სუსტდება და იწყება სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან ჰაერის თბილი მასების გაბატონება, რაც გამოწვეულია ხმელთაშუა ზღვის ციკლონის თბილი ფრონტის გავლასთან. ზაფხულ-ში ციმბირის ანტიციკლონი დაშლილია და არსებითი მნიშვნელობა ენიჭება აზორის ბარომეტრულ ცენტრს. მისგან მონაპერი ნოტიო მასები იწვევს უხვ ნალექებს, რომლებიც ზოგჯერ თავსხმა ხასიათს ატარებენ. შემოდგომის დასაწყისში აღდგენას იწყებს ის ცირკულაციური პროცესები, რომელიც ზაფხულის განმავლობაში შეწყდა. შემოდგომის ამინდზე დიდ გავლენას ახდენს ციკლონური მოქმედების გაძლიერება ხმელთაშუა ზღ-ვაზე. ხშირდება პოლარული ანტიციკლონის მოქმედება, რაც იწვევს უხვ ნალექებს. ამის გამოა, რომ ნალექების მაქსიმუმი რაიონში გამოირჩევა შემოდგომაზე.

ტემპერატურული რეჟიმის მხრივ ვანის რაიონი საკმაოდ რთულია, რაც კარგად ჩანს საშუალო წლიურ და საშუალო თვიურ ტემპერატურათა მსვლელობაში და მათ განაწილებაში.

ჰაერის საშუალო ტემპერატურა ქალაქ სამტრედიასთან 14,4<sup>0</sup>, საირმის მახლობლად 8,4<sup>0</sup>

<sup>6</sup> ენდოგენური - დედამინის წიაღები, დედამინის შინაგანი ძალებით განპირობებული გეოლოგიური პროცესები.

<sup>7</sup> ბრიზები - დღელამური ქარები, რომლებიც დღისით ქრისტ ზღვიდან ხმელეთისაკენ, ღამით კი პირიქით.

-ია, ხოლო მაღალმთიან ნაწილში, მწვერვალებზე  $0^{\circ}$  და უფრო დაბალიც. უთბილესი თვის (აგვისტოს) საშუალო ტემპერატურა რაიონის ჩრდილო ვაკე—დაბლობ ნაწილში  $22-23^{\circ}$  —ია, ხოლო მთებში  $4-5^{\circ}$  —მდე ეცემა. უცივესი თვეების საშუალო ტემპერატურა მთებში  $-1-5^{\circ}$  —ია, დაბლობ ნაწილში  $+3+5^{\circ}$ . კიდევ უფრო დიდი სხვაობაა ტემპერატურის აბსოლუტურ მაჩვენებლებს შორის. აბსოლუტური მაქსიმუმი ვაკედაბლობ ნაწილში  $+25+30^{\circ}$  —დან  $+40^{\circ}$  —მდე აღწევს, ხოლო აბსოლუტური მინიმუმი  $-15^{\circ}$  —დან  $-30^{\circ}$  —მდე ეცემა. უყინვო დღეთა რაოდენობა დაბლობზე დახლოებით  $29^{\circ}$  დღეს შეადგენს, მაღალ მთებში 30 დღემდე მცირდება.

ნალექების საშუალო ნლიური რაოდენობა რაიონში მერყეობს  $900-1400$  მმ—შორის. მათი ტერიტორიული განაწილება რაიონის ფარგლებში დამოკიდებულია ზღვიდან დაშორებაზე და ადგილის სიმაღლეზე. ნალექების სიუხვით შემოდგომა—გაზაფხული გამოირჩევა. ნალექი, თოვლის სახით, შესაძლებელია მოვიდეს ნოემბრიდან აპრილ-ამდე. რაიონის დასავლეთ საზღვართან (მთისძირი, ჭყვიში) თოვლიან დღეთა რიცხვი  $16-18$  სუდრის, მაგრამ იგი მდგრად თოვლის საბურველს არ იძლევა. საშუალოდ  $10$  წელიწადში ერთხელ თოვლი შეიძლება საერთოდ არ მოვიდეს. ამავე დროს არის უხვთოვლიანი ზამთარიც. ქარბუქი შედარებით იშვიათია. ასევე იშვიათია სეტყვაც. ელვა—ქუხილიან დღეთა რიცხვი უდრის საშუალოდ  $30-35$  წელიწადში, განსაკუთრებით ზაფხულში.

ვანის რაიონი საკმაო ტენიანობით ხასიათდება. საშუალო ნლიური შეფარდებითი ტენიანობა აღმოსავლეთისაკენ მცირდება და ტერიტორიულად  $70-75\%$ —ს შორის მერყეობს. მოღრუბლულ დღეთა რიცხვი  $60\%$ —ს შეადგენს წელიწადში. ძირითადად ეს ხდება ზამთრისა და გაზაფხულის დღეებში, ხოლო მონაბეჭდილი დღეები ზაფხულსა და შემოდგომაზე სჭარბობს. სრულიად უმზეო დღეთა რიცხვი საშუალოდ  $70-75$  უახლოვდება.

### შიდა წყლები

ვანის რაიონის ბუნების მრავალგვარობის გამომწვევი ფაქტორებიდან უნდა აღინიშნოს შიდაწყლების მოქმედება. რაიონის ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების სიუხვემ, რელიეფის მკვეთრმა დახრილობამ, ტერიტორიის ამგებელი წყალგამტარი და წყალგაუმტარი ქანების მონაწილეობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა როგორც ზედაპირული წყლების, მდინარეებისა და წყაროების, ასევე გრუნტის წყლების სიმდიდრისათვის.

რაიონის ჰიდროგრაფიის ძირითად ხასიათს განსაზღვრავს აჭარა- იმერეთის ქედი და მისი ჩრდილო განშტოებანი. მდინარეები რელიეფის დახრილობასთან დაკავშირებით ძირითადად ჩრდილოეთისაკენ მოედინებიან, ნაწილი კი სხვა მიმართულებითაც. ეროზიის ბაზისის სიახლოვის გამო მდინარეები მოკლეა, ისინი ძირითადად მთის ტიპის მდინარეებია და აქვთ მცირე წყალშემკრები აუზები. ამ მხრივ გამონაკლისია მდ. რიონი, რომელიც რაიონის მოსაზღვრე ნაწილში ბარის ტიპის მდინარე და განხილული ტერიტორიის მდინარეების ეროზიის ბაზისია.

მოზრდილი მდინარეებიდან აღსანიშნავია: სულორი, კორისწყალი, ყუმური, კვინისწყალი, წაბლარასწყალი, ჭიშურა, ძულუხურა, საკონდახი, ბოსტანია და სხვა. მთლიანად წყალს რაიონში უჭირავს 1889 ჰექტარი ფართობი აქედან  $135$  ჰექტარი მოდის ჭაობებზე,  $10$  ჰექტარი - ტბებზე. მდინარეები მოკლეა (არა უმეტეს  $30$  კმ—ისა), ხასიათდებიან მკვეთრად დახრილი ხეობებით. აღნიშნული ხეობები ძირითადად ვიწროა და ღრმა. გეოლოგიური აგებულების მიხედვით მათი ხასიათი ცვალებადია. ვულკანური ქანების გავრცელების ადგილებში ისინი ტიპობრივ ვიწრობებში მოედინებიან (მაგ. წაბლარას წყალი და სხვა), დანალექი ქანების გავრცელების არეში ხეობები შედარებით ფართოა.

რაიონის მდინარეები მთიან ნაწილში ივითარებენ ჩანჩქერებიან, ძნელად მისადგომ ხეობებს, ჩამოაქვთ დიდი რაოდენობით ნაშალი მასალა, რომელსაც ალაგებენ ქვემო წელში ან ჩანალექების სახით შეაქვთ მდ. რიონში. ტყის გაჩეხამ კიდევ უფრო გააძლიერა ჩამორეცხვა და ნაშალი მასალის მეტი რაოდენობით ჩამოტანა.

რაიონის მდინარეები საზრდოობის მიხედვით შერეულ ტიპებს მიეკუთვნებიან. ქვედა შუა წელში წვიმით კვება ჭარბობს, ზემო წელში კი მნიშვნელოვანი წილი მოდის თოვლის დნობით მიღებულ წყლებზედაც. მდინარეების კვებაში მთელი წლის განმავლობაში მონაწილეობს მიწისქვეშა წყლები, აგრეთვე რაიონში არსებული ხშირი და წყალუხვი წყაროები. ამის ტიპობრივი მაგალითია მდ. სულორი.

საქართველოს რაიონების ნლიური ჩამონადენის განაწილების მიხედვით შექმნილ სქემაში ვანი ექცევა ორ ზონაში: 1. ზონა შემოდგომა—ზამთრის ჩამონადენის სიჭარბით, 2. ზონა — გაზაფხულის ჩამონადენის სიჭარბით. პირველი ზონა მოიცავს რაიონის ჩრდილო ნაწილს. ზონის მდინარეები საზრდოობენ უხვი წვიმებით. მდინარეთა რეჟიმი აქ მთლიანად ნალექების რეჟიმის ანალოგიურია და ხასიათდება ხშირი და ხანძოკლე წყალდიდობით. მეორე ზონა მოიცავს რაიონის მთიან ნაწილს. ჩამონადენის მსვლელობა ძირითადად დაკავშირებულია თოვლის დნობასთან, აგრეთვე წვიმებთან და წყაროებთან. ამ ზონის რეჟიმის ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა ჩამონადენის სიჭარბე გაზაფხულზე და უმცირესი წყლიანობა ზამთარში.

რაიონის ერთადერთი მთავარი მდინარეა სულორი. იგი სათავეს იღებს მთა ტაფელო-ვანის ახლოს 2198 მ. სიმაღლეზე ზ.დ. მდინარის სიგრძე დაახლოებით 30 კმ—ია. დინება ჩრდილო—დასავლეთურია, ერთვის მდ. რიონს მარცხნიდან, სოფელ ციხესულორის მი-დამოებში 40 მ—ზე ზ.დ-დან. ზემო და შეა ნაწილში მდინარე მთის ტიპისაა; ხასიათდება ჩქარი დინებით; ივითარებს ლრმა და ჩანჩქერებიან ხეობებს, ჩამოაქვს დიდალი ნაშალი მასალა, რომელსაც ალაგებს შესართავთან, რიონისპირა ვაკე—დაბლობზე (ჭალაზე) მისი დინება მდორეა. მდინარეს აქვს მრავალი შენაკადი, როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა მხრიდან. მდინარის სიმძლავრე საკმაოდ დიდია; ასევე დიდია მისი სამეურნეო გამოყენება, თუმცა გამოყენება უფრო ინტენსიური იყო მე-20 საუკუნის 40-იან წლებიდან 60-იან წლებამდე, როდესაც მასზე აგებული იყო სახერხი ქარხნები და რამდენიმე მიკროჰაეროლექტროსადგური; დღეისათვის მოქმედებაშია სალხინოს მიკროჰესი, ზოგიერთ ადგილებში იხმარება ნიადაგის მოსარწყავად, მასზე აგებულია წყლის წისქვილები და ა.შ.

ვანის რაიონის აღმოსავლეთი საზღვრის გასწვრივ მიედინება მდ. წაბლარას წყალი. იგი სათავეს იღებს მწვერვალ მეფისწყაროს მახლობლად 2475 მ. სიმაღლეზე ზ.დ-დან. მდინარე რაიონის ტერიტორიაზე მიედინება დაახლოებით 25 კმ—ზე, დინება მერიდიანულია. აღნიშნული მდინარე იკვებება თოვლისა და წვიმის წყლებით, აგრეთვე მიწისქვეშა წყლებით. მდინარეს ერთვის საკალმახეს წყალი, საკონდახი, ბოსტანია, საირმის ლელე და სხვა. ეს შენაკადები გამოედინებიან ლაპოროტის ქედიდან და მოედინებიან აღმოსავლეთისაკენ.

მდ. ყუმური სათავეს იღებს გურიის ანუ ნიგოითის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, დაახლოებით 1550 მ. სიმაღლეზე ზ.დ-დან. მდინარე მოედინება მერიდიანულად და ზ.დ-დან 27 მ. სიმაღლეზე ერთვის მდ. რიონს მარცხენა მხრიდან სოფ. შუამთის მიდამოებში. მდინარის სიგრძე დაახლოებით 22,4 კმ—ია. რაიონის სხვა მდინარეებიდან შეიძლება დავასახელოთ კორისწყალი (22 კმ.), კვინისწყალი (16 კმ.), ფერეთა და სხვები, რომლებიც რიონის მარჯვენა შენაკადებია.

მდ. რიონი ვანის რაონის ჩრდილო საზღვარზეა (დაახლოებით 30 კმ—ის მანძილზე). ამ ტერიტორიაზე იგი მიედინება 22 მ. სიმაღლეზე ზ.დ-დან.

ვანის რაიონი მდიდარია წყაროებით, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამკურნალოდ ვარგისი მინერალური და თერმული წყლები. მათ შორის აღსანიშნავია: სულორის, ამაღლების, საყანჩის, ჭოკიანის და სხვა წყაროები. აქედან სულორისა და ამაღლების, ნაწილობრივ ჭოკიანის სამკურნალო წყლების ბაზაზე ფუნქციონირებდა ბალნეოლოგიური კურორტები. რელიეფის მკვეთრი დასერილობისა და ზედაპირული დრენაჟის ხელსაყრელი პირობების გამო რაიონი ტბებსა და ჭაობებს თითქმის მოკლებულია. უმნიშვნელო ფართობის ნარიონალი ტბები და დროებითი ჭაობები ვითარდება მდ. რიონის ჭალაში. რაიონის ტერიტორიაზე იყო ერთადერთი მუდმივი ტბა „ტაბაყურო“ (ინაშაურის ტერიტორიაზე), კვინისნებლის ხეობაში, კურორტ ჭოკიანის მახლობლად 309 მ. ზ.დ-დან. ამჟამად ტბა დაბერდა და ტორფის სახით გამოიყენება სოფლის მეურნეობაში.

ნიადაგები

ვანის რაიონის მრავალფეროვან ბუნებაში ნიადაგწარმომქმნელი ფაქტორების (დედაქანების ჯიშების, რელიეფის, კლიმატის, წყლების, ორგანული სამყაროს და ა.შ.) სხვა-დასხვაგვარი შეზავება, ნიადაგის ტიპების ნაირსახეობის წარმოქმნას იწვევს.

რაიონის ჩრდილო ვაკე-დაბლობში გვხვდება ალუვიურ—ლორლიანი და თიხა—ლორლიან დედაქანებზე წარმოქმნილი ენერი და ალუვიური ნიადაგები.

ალუვიურ ნიადაგებს დიდი ადგილი უკავია მდინარეთა ხეობებში, განსაკუთრებით მდინარეთა ქვედა ახალგაზრდა ტერასებზე. ამ ადგილებში უმეტესად გვხვდება ალუვიური მდელოს თიხნარი, საშუალო და დიდი სისქის კარბონატული ნიადაგები, რომლებიც საშუალო და მსუბუქი მექანიკური შედგენილობისაა. ნაკლებად გავრცელებულია ქვიშიან და ქვიშნარ—ალუვიური ნიადაგები, რომლებსაც ჩვეულებრივად ნაკლები სისქე და ხირხატიანობა ახასიათებს. რიონის ქვედა ტერასაზე გავრცელებულია აგრეთვე ალუვიურ—უკარბონატო ნაიდაგები. ალუვიური ნიადაგების მცირე ნაწლი დაჭაობებულია. მდინარე რიონის ჭალაში, გარდა ამისა, ვაკის ჩრდილო ნაწილში გვხვდება მცირე ფართობზე რიყიანი, ჭაობიანი და დაჭაობებული ნიადაგები.

გორაკბორცვიან ზონაში, დანალექი და ვულკანოგენური ქანების გამოფიტვის პროდუქტებზე, ტენიანი სუბტროპიკული ჰავის პირობებში კოლხური მცენარეული საფარის ქვეშ განვითარებულია წითელმინა (ვულკანოგენურ წყებებზე), ყვითელმინა (თიხა—ფიქლებზე, ქვიშაქვებზე და კონგლომერატებზე) და ნეშომპალა კარბონატული (კირქვებზე და მერგელებზე) ნიადაგები და მათი სახესხვაობები.

ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე და გორაკების ვიწრო თხემებზე, სადაც ძლიერია ნიადაგის ეროზია, ნიადაგი სუსტადაა განვითარებული და ხშირად სრულიად ჩამორეცხილია. ნაკლებად დაქანებულ ფერდობებზე ( $20^{\circ}$ — $100$ ) ნიადაგი უფრო მეტადაა განვითარებული და ყველაზე კარგადაა გამოსახული წითელი მიწები, რომლებიც დიდ სიღრმეს აღწევს. ტიპური წითელმინები განვითარებულია ვულკანურ ქანებზე. რაიონის გორაკბორცვიან ზონაში კი ყვითელმინები. განსაკუთრებით მთლიანი მასივები ამ ნიადაგებისა გავრცელებულია ვანის რაიონის მთისნინების შუა და აღმოსავლეთ ნაწილებში სოფლებში: შუამთა, ვანი, ამაღლება, ინაშაური და ა.შ. წითელმინებთან შედარებით, ყვითელმინებს ახასიათებს მოყვითალო ფერი, საერთო განვითარების ნაკლები ხარისხი, ნაკლები სისქე და ჩვეულებრივად უფრო მძიმე მექანიკური შედგენილობა.

ვანის რაიონის მთისნინების ზოლში, წითელმინა და ყვითელმინა ნიადაგების ზონალური გავრცელების კანონზომიერებას ხშირად არღვევს კირქვების, კირნარი კონგლომერატების, მერგელების გავრცელება. ამის გამო ამ ადგილებში გვხვდება ნეშომპალა—კარბონატული ნიადაგები, რომელთა სიმძლავრე  $40$ — $50$  სმ—ია, მუქი ფერით, კარგად გამოხატული მარცვლოვანი სტრუქტურით.

მთის ტყით შემოსილ, შედარებით ზომიერი კლიმატის მქონე ნაწილში, ამონაღვარი და დანალექი ქანების გამოფიტვის ქერქზე წარმოდგენილია ზომიერი სარტყლის მთის, ტყის ნიადაგების სხვადასხვა სახეობა: ქვემოთ — ფართოფოთლოვანი ტყეების ქვეშ ტიპობრივი ტყის ყომრალი, საშუალო და დიდი სისქის ნიადაგები, ზემოთ კი—წინვიანი ტყეების ქვეშ ტყის ყომრალი და გაენრებული, მეტნილად ხირხატიანი ნიადაგები. მთის ტყის ნიადაგები ვრცელდება  $400$ — $500$  მ—დან,  $1500$ — $2000$  მ—მდე ზ.დ., წითელმინა და ყვითელმინა ნიადაგებსა და მთის მდელოს ნიადაგებს შორის. ამ ზონას ზემოთ ცვლის მთისმდელოს ნიადაგები, განსაკუთრებით კორდიან—ტორფიანები. მაღალმთიან ზონაში, ცივი ჰავის პირობებში, ნიადაგწარმომქმნელი პროცესები შესუსტებულია. ნიადაგის ყველაზე ნაკლები განვითარება ახასიათებს კლდოვანი მთების ზოლს, სადაც ძლიერია ქანების მექანიკური გამოფიტვა და ამის გამო დამახასიათებელია ქვაყრილების გავრცელება. შედარებით მეტია ნიადაგის განვითარების ხარისხი მდელოთა ზონაში, რასაც ხელს უწყობს სქელი ბალახეული მცენარეულობა და ქანის შედარებით მეტი დაშლა

### მცენარეული საფარი

რაიონის რთულმა გეოლოგიურმა წარსულმა და მრავალფეროვანმა ეკოლოგიურმა პირობებმა განსაზღვრეს მცენარეული საფარის სიმდიდრე, როგორც სახეობათა რაოდენობის მხრივ, ასევე მათი დაჯგუფების თვალსაზრისითაც.

ა. გროსპერიმი ვანის რაიონს აერთიანებს ე.ნ. ძველი ხმელთაშუა ზღვის ფლორისტული ოლქების, კოლხეთის პროვინციის აჭარის ოლქში, სადაც  $1000$ —მდე სხვადასხვა სახის მცენარეს ითვლიან.

გორაკბორცვიან და ვაკედაბლობ ნაწილში რელიქტური მცენარეებიდან შემორჩენილი

ძელქვა, წაბლი, დაფნა, თხილი, წყავი, შქერი, ბზა და სხვები, მიუთითებს მესამეულიდან დღემდე ეკოლოგიური პირობების ერთგავარ მდგრადობაზე.

ვანის რაიონის მცენარეული საფარის თანამედროვე სახის შექმნაში დიდი როლი მიუძლვის ადამიანსაც, რაც გამოიხატება ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე პირველადი მცენარეულობის არსებითად შეცვლაში მცენარეთა შემოტანა — გავრცელებაში, და რაც მთავარია სავარგულებზე სხვადასხვა კულტურის გაშენებაში.

მ. სახოკია საქართველოს საერთო ფონზე, ვანის რაიონში გამოჰყოფს მცენარეთა შემდეგ ძირითად ტიპებს:

1. მუხნარ—რცხილნარი, რცხილნარ—მუხნარი ტყეები;
2. შერეულფოთლოვანი ტყეები;
3. წიფლნარ—წაბლნარ—მუხნარის კომპლექსი;
4. წიფლის ტყეები;
5. სუბალპური მდელოები ტანბრეცილა მცენარეებთან კომპლექსში;
6. ალპური მდელოები.

მცენარეთა ძირითადი ტიპები, ბუნების სხვა ელემენტების მსგავსად, იჩენებ ვერტიკალურ ზონალობას.

რიონისპირა ვაკედაბლობი და გორაკბორცვიანი ზონა დაფარული ყოფილა რთული შედგენილობის მქონე ფოთლივანი კოლხური ტყეებით. „ ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოში საშუალო ტემპერატურაა 140 , ჰავა ტენიანი, ზამთარი შედარებით თბილი, ყინვები შედარებით იშვიათი, აპირობებს ძველი ტიპის მცენარეულობის შემორჩენას ” (ნ. კეცხოველი).

მესამეულ პერიოდში რაიონის ტერიტორიაზე გავრცელდა ძელქვა. ჰავის აცივებამ მისი რამდენიმე სახეობა დაღუპა და შემორჩა მხოლოდ ერთი სახეობა — რცხილაფოთოლა ძელქვა. ამჟამად ძელქვა შემორჩენილია სოფ. შუამთასა და ამაღლებას შორის მისი გავრცელების შეზღუდვა ბიოეკოლოგიურმა მიზეზებმა განაპირობა, მაგრამ მთავარი როლი მაინც ადამიანმა შეასრულა.

დაბლობის ტყის შემქმნელი ძირითადი ჯიშებია: ჭალაში — ლაფანი, მურყანი. გავაკების არეზე — მუხა, რცხილა, წიფელი, წაბლი. კირქვების გავრცელების არეზე — ქართული მუხა და რცხილა.

გარდა ამისა, ვაკე—დაბლობის ტყეებში დიდ მონანილეობას იღებს იფანი, ნეკერჩხალი, ცაცხვი, თელა, თელა—დუმა, მაჟალო, პანტა, ძელქვა; ლიანებიდან დამახასიათებელია — სურო, ლვედეკი, გარეული ვაზი; კატაბარდა და მაყვალი. რომლებიც თავს იჩენებ გაჩეხილ ტყეებში, ტყის პირებზე, მდინარისპირა ტყეებში, ე.ი. იქ, სადაც არე შედარებით განათებულია. ზემოთაღნიშნულ ტყეებისათვის დამახასიათებელია თავისებური ქვეტყე, რომელშიც ჭარბობს მარადმნვანე ბუჩქები ან ხეები — შქერი, წყავი, ბაძგი, ბზა, ძმერხლი, თაგვისარა; ფოთოლმცვენებიდან — იელი, მოცვი, თხილი, შვინდანწლა, ზღმარტლი, კუნელი და სხვა.

ადამიანის გავლენით ტყეები ხშირად გამეჩრებულია ან მეორეულია. ამიტომაც ბალახეული მცენარეულობით მრავალფეროვანია. დანესტიანებულ ტყეებში (ვაკედაბლობზე და ჭალის არეებში) — იმერული მუხაა გავრცელებული, შემაღლებულ ადგილებში კი კოლხური მუხა, კირქვებზე ქართული მუხა, ვერხვი, დაფნა, ტირიფი.

რიონისპირა ვაკედაბლობს და გორაკბორცვიან ზონას ზემოთ ენაცვლება ტყის ზონა, რომელიც ზ.დ 2000 მ—მდე ვრცელდება. ნ. კეცხოველი მას მთებშუა სარტყელის ტყეებს უწოდებს. სადაც ეკოლოგიური პირობების გამო გამოსახულია ვერტიკალურ ზონალობა. ასე მაგალითად, 800—1000 მ—ს შორის ძირითადად მუხნარი და წიფლნარია, 1000—2000 მ—ზე წიფლნარებია, რომლებსაც ხშირად ენაცვლება წიწვოვანები — სოჭნარი, ნაძვნარი და ზოგან ფიჭვნარიც. იქ, სადაც წიფელი გაჩეხილია, ბატონობს რცხილა. რცხილასთან ერთად ხშირია ნოტიო ადგილებში მურყანიც. გაჩეხილ ადგილებსა და საძოვრებზე გავრცელებულია მურყან—რცხილნარი.

ტყის ზონის ზემოთ ენაცვლება სუბალპური ზონა, რომელიც ვრცელდება ზ.დ. 2000—2500 მ—დე. ნ. კეცხოველი სუბალპურ ზონაში გამოყოფს ოთხ ძირითად დაჯგუფებას : სუბალპურ ტყეებს, სუბალპურ ბუჩქნარებს, სუბალპურ მაღალბალახეულობას და სუბალპურ მდელოებს. სუბალპური ტყეების ჯიშებია—არყი, მაღალმთის ბოყვი,

მაღალმთიანის მუხა, ცირცელი და სხვა. ტანბრეცილებს ხშირად ქმნის არყი, წიფელი. სუბალპების ბუჩქნარებს ქმნის—დეკა, მოცვი, კენერა, ღვია და სხვა. სუბალპური მაღალბალახეულებიდან გვხვდება დიყი, დეცი, შროშანი; ხშირია გვირილაც, ნამიკრეფია და სხვა. მდელოებში ხშირია ერთლებინანი ფართოფოთლოვანები და მარცვლოვანები. ალპების მცენარეულობა გავრცელებულია ზ.დ. 2500 მ—ს ზემოთ. მისთვის დამახასიათებელია მოკლე სავეგეტაციო პერიოდის მქონე მკვეთრად შეფერილყვავილოვანი ნაირბალახეულობა: თივაქასრა, მელიკულა, ნივანა, ქარცხვი, ფესვმაგარა, თიკნაურა, ფურისულა, მარწყვ-ბალახი, ნალველა, წინინაური.

### ცხოველთა სამყარო

ვანის რაიონის ცხოველთა სამყარო ბუნრბრივ პირობებში საკმაოდ მდიდარია და მიეკუთვნება პალეარქტიკული ოლქის ხმელთაშუა ზღვის ფაუნისტურ ქვეოლქს.

არჩილ ჯანაშვილის მიხედვით, ვანის რაიონი ცხოველთა სამყაროს მიხედვით ექცევა სამ ზონაში: დასავლეთი საქართველოს ვაკის, დაბლობების, ტყისა და ალპურ ზონაში.

დასავლეთ საქართველოს ვაკისა და დაბლობის ზონაში (ზ.დ. 500—მ—მდე) მრავლად გვხვდება ძუძუმწოვრები. მწერიჭამიებიდან ამიერკავკასიის ზღარბი, რომელიც ბინადრობს ტყეებსა და ბუჩქნარებში. გვხვდება აგრეთვე კავკასიური თხუნელა, კოლხური თხუნელა; მრავლადაა ხელფრთიანები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ადამიანთა სამოსახლოებთან, ნანგრევ შენობებთან, მღვიმებთან და სხვა. მრავლადა ყურდი და ლამურა, მცირე მელამურა, ხმელთაშუა ზღვისეული ლამურა და სხვა.

მღრნელებიდან გავრცელებულია ციყვი მცირე რაოდენობით, რუხი და შავი ვირთაგვა, მინდვრის თაგვი, ტყის თაგვი. გავრცელებულია კავკასიური კურდლელი, რომელიც ბინადრობს ველებზე, ბუჩქებში, ტყეებში. მათი რაოდენობა ძალიან შემცირდა.

მტაცებლებიდან ხშირია ამიერკავკასიის მაჩვი; გვხვდება აგრეთვე მგელი, მელა, ტურა, რომლებიც სხვა ზონებშიც ბინადრობენ.

ჩლიქოსნებიდან ახლო ნარსულში გავრცელებული იყო გარეული ღორი, შველი, რომლებიც ამჟამად თითქმის გადაშენებულია.

ქათმისნაირებიდან ფართოდაა გავრცელებული ჩვეულებრივი მწყერი. რიონის ხეობაში მცირე და კოლხური ხოხობიც. მტრედისნაირებიდან გვხვდება მტრედი, გვრიტი და სხვა. ბატისნაირებიდან გავრცელებულია თეთრშუბლა ბატი, გარეული იხვი, რუხი იხვი, ჩვეულებრივი იხვი. წყლის ფრინველებიდან რუხი ყანჩა, თეთრი ყანჩა. მტაცებელი ფრინველებიდან ბლომალა, ქორი, მიმინო, ძერა, ყვავი და ა.შ. ვაკისა და დაბლობის ზონა საკმაოდ მდიდარია ქვენარმავლებით. ხშირია ამფიბიები, განსაკუთრებით ბაყაყი, მწვანე გომბეშო, ჩვეულებრივი გომბეშო. მდინარეებში ბლომადაა თევზი—ღორჯო, წვერა, კალმახი და სხვა. რაიონი მდიდარია აგრეთვე მოლუსკებით.

ვაკისა და დაბლობის ზონას ენაცვლება ტყის ზონა, რომელიც ვრცელდება ალპურ ზონამდე.

ტყის ზონა ხასიათდება ნაირგვარი ეკოლოგიური პირობებით, რაც თავის მხრივ ხელსაყრელ გარემოპირობებს ქმნის ნაირგვარი ცხოველების საარსებოდ.

ვაკისა და დაბლობის ზონა წინათ დაფარული ყოფილა ხშირი კოლხური ტყეებით, რომლებშიაც მრავალი ცხოველი ბინადრობდა. მჭიდრო დასახლებისა და ამ ადგილებში ტყის ჩეხის გამო ისინი შეეფარენ შედარებით მაღალმთიანი ტყის ზონას, ამიტომ არის რომ დაბლობისა და ტყის ცხოველები რამდენადმე ემსგავსებიან ტყის ზონისას, დაბალი ზონისაგან განსხვავებით აქ გვხვდება რუხი დათვი, იშვიათია შველი და ირემი.

ალპური ზონა ძირითადად ხასიათდება ერთფეროვანი საარსებო პირობებით. მიუხედავად ამისა, აქ საკმაო რაოდენობით არიან ცხოველები, თუმცა ისინი თანდათან მცირდებიან. მესაქონლეობის რაიონებში ზაფხულობით გვხვდება კავკასიური მგელი, მთის მელა, და მთის მგელი. ჩლიქოსნებიდან გავრცელებულია არჩვი. საკმაოდ მდიდარია ფრინველთა ფაუნაც. დამახასიათებელია კავკასიური როჭო, კავკასიური შურთხი, გნოლი, შევარდენი, კავკასიური ქორი, ორბი, მთის არწივი; ბუსნაირებიდან — ჭოტი, ბუ და სხვა. ხშირია ბელურასნაირები; არჩ. ჯანაშვილის მიერ ჩატარებული საქართველოს ზოოგეოგრაფიული დარაიონების მიხედვით, ვანის რაიონი მთლიანადა მოქცეული კოლხეთის ოლქში.

## ორიოლე მოპრძალებული სიტყვა უდიდეს სასულიერო მოღვაწესა და მაშულიშ- ვილზე

ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მთელი ისტორია დასტურია იმისა, რომ, როდესაც  
ერი განსაცდელის წინაშე დგება, განგება მას მოუვლენს ლირსეულ და გამოკვეთილ  
პიროვნებას, ან პიროვნებათა ჯგუფს, რომლებიც შეჭირვებისა და ძნელბედობის უამს  
მოქმედების ტვირთსა და ლიდერის პასუხისმგებლობას საკუთარ მხრებზე იღებენ. ავ-  
ლენენ უნარს ლოკალურ ან გლობალურ სფეროში პროცესები დასძრან და გაუძლვნენ  
საზოგადოებას, რამდენადმე შეცვალონ, ან შეცვალონ არსებული. ასეთ ადამიანებს  
საკუთარი თავი ნებაყოფლობით მიაქვთ სამსხვერპლოზე და დგანან იქ, სადაც ერს  
სჭირდება და მოქმედებენ ისე, როგორც ერს სჭირდება. უზენაესი და უწმინდესია ამ  
დროს მათი ქმედების კრიტერიუმები და მას სამშობლო ჰქვია.

საუბარი გვაქვს სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქზე, მის უწმიდესობასა  
და უნეტარესობაზე კალისტრატე ცინცაძეზე, რომლის პოზიციებიც ქართული სამყა-  
როსა და მართმადიდებლური ეკლესის დამოუკიდებლობის (ავტოკეფალიის) საკითხ-  
ებზე ჯერ კიდევ სემინარიელის მერხიდან გამოიკვეთა და მთელი თავისი ცხოვრებაც,  
როგორც უდიდესმა სასულიერო მოღვაწემ და ერის სულიერმა მოღვარმა ამ უკე-  
თილშობილეს საქმეს მიუძღვნა. საბედნიეროდ მის მიერ განვლილი გზა დატვირთულია  
არა მარტო ქართული ეკლესის შიგა და გარე პრობლემების გადაჭრით, არამედ ცხ-  
ოვრებისეული მრავალგვარეობით, რომელიც სახელმწიფო მოღვაწისა და მოღვაწეობის  
რანგსაც უტოლდება დაწყებული მარტივიდან, დამთავრებული ურთულესით. მისი უწ-  
მიდესობა საქართველოს დაკარგული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნი-  
სას გვერდით დაუდგა იმ ქართველ მეცნიერთა ჯგუფსა და პოლიტიკოსს, რომლებმაც  
ეს საკითხი მსოფლიო პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებების ფონზე წამოსწიეს  
და ქვეყნიერებას აუწყეს, რომ ჭრილობები მოშუშებული არაა!

არ ვიცი, რამდენად მართებულია ამ სიტყვის ხმარება, ასეთი უდიდესი განზო-  
მილებების პიროვნებებთან შეხებაში, მაგრამ საქართველო, მისი ეკლესია, ყოველთვის  
იყო და არის განებივრებული უაღრესად დიდი, ზეაღმატებულად განათლებული, თავ-  
დადებული და ერის ინტერესებისათვის მებრძოლი კათალიკოს—პატრიარქებით. უდაოდ  
მათგან განუყრელად მოვიაზრებთ უდიდეს სასულიერო და საერო მოღვაწეს კალისტრატე  
ცინცაძეს, რომელიც 1866 წ. დაიბადა დღევანდელი ვანის რაიონის სოფ. ტობანიერში,  
სადაც მან გაატარა თავისი ბავშვობაც და შემდეგისათვის დრომ და განგებამ მასვე  
დაანათლა სრულიად ქართულ სივრცეში განევლო ურთულესი და სახელოვანი გზა,  
ღირსყო უშიშრად, მუხლჩაუხრელად ეტარებინა ერის მსახურების მძიმე ჯვარი.

სწორედ ამან შთააგონა „ვანის რაიონის ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის,  
ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრს“ გვესაუბრა მისი უწმიდესობის კა-  
ლისტრატე ცინცაძის მოღვაწეობის ნაკლებ გახმაურებულ შტრიხზე, მის მეცნიერულ  
საქმიანობაზე, რომელიც გამოიკვლია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტო-  
რიის უბადლო მცოდნემ, ცნობილმა პოლიტიკორმა ბატონმა სერგო ვარდოსანიძემ და  
ცალკე თავად შეიტანა თავის მონოგრაფიაში „პატრიარქები“ ქვესათაურით: „უწმიდესი  
კალისტრატე და ქართველი საზოგადოება, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა“. ავტორთან  
შეთანხმებით სწორედ ამ მონაკვეთს სთავაზობს „კვლევის ცენტრი“ რაიონის საზოგა-  
დოებას, საერთოდ მკითხველს და ამით ვიწყებთ საუბრებს იმ ღირსეულ მამულიშვილე-  
ბზე, რომლებიც წარმოშობით ვანის რაიონიდან არიან.

უნივერსიტეტის კალისტრატე და ქართველი საზოგადოება, მისი მეცნიერული  
მემკვიდრეობა

1893 წელს ქართველმა საზოგადოებამ დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის სახით პირველად იხილა ახალგაზრდა მოძღვარი დიდუბის ეკლესიისა, რომელმაც მგზნებარე სიტყვით მიმართა განჯიდან საქართველოში გადმოსვენებულ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს. სამწუხაროდ, ამ სიტყვის სრულ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ თუ როგორი გამორჩეული სიტყვის თქმა იცოდა მან, კარგად ჩანს 1901 წელს გიორგი ქართველიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დიდუბეში ქადაგებისას.

უნივერსიტეტის კალისტრატეს არქივში დაცულია მისი საინტერესო ჩანაწერები ილია ჭავჭავაძის შესახებ. ეს მოგონებები უნდა გამოქვეყნებულიყო ჟურნალ „მნათობში“ 1937 წელს, მაგრამ ხელისუფლებამ რედაქციას არ მისცა ამის საშუალება. უნივერსიტეტის კალისტრატე აღნიშნავდა: „ილიას სიყრმიდანვე „ზეკაცად“ ვთვლიდი, ამიტომ მასთან შეხვედრას ვერიდებოდი, არ შემერყეს მასზე შედგენილი წარმოდგენა-მეთქი. მიუხედავად ამისა ცხოვრებამ რამდენჯერმე შემახვედრა მას. ჩემს თვალში სულ უფრო იზრდებოდა იგი“. 1906 წელს, როცა პეტერბურგში უნდა განხილულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი, ილია ჭავჭავაძემ დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე მიიწვია კონსულტაციებისათვის შეხვედრაზე, რომელიც ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

ეს დრო საკარისი გახდა იმისათვის, რომ ილია ღრმად გარკვეულიყო აღნიშნული პრობლემის თავისებურებებში. უნივერსიტეტის შენიშვნით „ილია ჭავჭავაძე მისთვის ახალს ერთბაშად ითვისებდა და რამდენიმე წუთის შემდეგ საფუძვლიანად იყენებდა ახალი დასკვნისათვის.“

1907 წლის სექტემბერს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის გამო გადახდილ პანაშვიდზე კალისტრატემ ასე შეაფასა განსვენებულის ცხოვრება: „ყველა ქართველს ილია მიგვაჩნდა არა მარტო დიდებულ მწერლად, ანუ ფასდაუდებელ მგოსნად, გინდა თუ გამოჩენილ და საზოგადო მოღვაწედ, არამედ და უმთავრესად გზის მაჩვენებლად, ანუ სიტყვისაებრ საღმრთო წერილისა, წინამძღვრად. ჭეშმარიტად ჭმუნვასა და სიხარულში იგი იყო ჩვენი ნუგეშის შთამაგონებელი და შვების მომცემი, ხოლო ფიქრის, საქმის, შრომის დროს ხომ იმას ბადალიც არა ჰყავდა. მისი რჩევა და დარიგება უსასოდექმნილს იმედს ჩაუნერგავდა გულში ბედისაგან განლაღებულს“.

დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ღრმად მორწმუნე, მართლმადიდებელი ქრისტიანის სიყვარული დაინახა, იგი საზოგადოების უურადღებას მიაქცევდა პოეტის წერილიდან შემდეგ სიტყვებს: „მე მინდა, - წერს გრ. ორბელიანი თავის რძალს, - რომ შენი ვაჟის ნორჩი გული სარწმუნობით იყოს გამსჭვალული, რომლის გარეშეც კაცი ამ ქვენად უბედურია... ჩვენი მგოსანი უპირველეს ყოვლისა გვასწავებს და აღგვძრავს ძებნად სასუფეველისა, ქმნად კეთილისა, დევნად ბოროტისა და აღრჩევად უმჯობესისა.“

კალისტრატე ცინცაძე XX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მიმდინარე ყველა მოვლენის თავისებურ ანალიზს აკეთებდა, ეხმიანებოდა ეროვნული ინტერესების გამომხატველ დაწესებულებათა დაარსება-განახლებას. 1909 წელს ქართული თეატრის განახლების გამო წარმოთქმულ სიტყვაში მან განსაზღვრა თეატრის როლი და მნიშვნელობა ქართული საზოგადოებისათვის. „ ხელოვნებამ -წერდა იგი- უნდა დაგვისურათხატოს ნამდვილი ცხოვრება და მისი მახინჯი მხარე, ქვენა გრძნობათა ბობოქრობა და მრავალგვაროვანთა ვნებათა ღელვა, მაგრამ მან არ უნდა დაიგინყოს უმაღლესი ზენობრივი მოთხოვნილება: ავს უზოდოს ავი და კარგს კარგი, რათა ხელოვნების ტაძრისაგან არ წარვიდეთ სახით ჩვენდა წამბილწველ -გამათახსირებელ ოცნება - წარმოდგენებით აღვსილნი, არამედ გამხნევებულნი, აღფრთოვანებულნი, და განმზადებულნი, ბრძოლად ბოროტისა და შემდგომად კეთილისა.“

უნივერსიტეტის კალისტრატე განსაკუთებული სიყვარულით იხსენებდა დიდ ქართველ კომპოზიტორს ზაქარია ფალიაშვილს, რომელსაც თავის დროზე ასწავლიდა საღვთო სჯულს. 1917 წელს კომპოზიტორმა ოპერისა და ბალეტის თეატრში განახორციელა „აბესალომ და ეთერის“ დადგმა. პრემიერაზე სურდა, მოეწვია ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს მართლმა-

დიდებელი ეკლესიის მესვეურნი. დახმარება სთხოვა თავის ყოფილ მასწავლებელს კალისტრატე ცინცაძეს, რომელმაც კომპოზიტორი შეახვედრა უწმიდესასა და უნეტარესას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კირიონ II-ს. პრემიერას უწმიდეს კირიონთან ერთად დაესწრენ: მიტროპოლიტი ლეონიდე, მიტროპოლიტი ანტონი, დეკანოზი კალისტრატე და ქართული სამღვდელოების წარმომადგენლები.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს კომპოზიტორი შეუქია დაულოცავს. ზაქარიას კირიონ II-ზე უთქვამს: სახე სასტიკი გამომეტყველებისა აქვს, მაგრამ საუბრის დროს შაქარიაო". დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეს საგანგებო სიტყვა მოუმზადებია 1925 წელს ზაქარია ფალიაშვილის საიუბილეო საღამოზე გამოსასვლელად, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არა თუ სიტყვის თქმის უფლება მისცეს, იუბილეზეც არ დაუშვეს.

უწმიდესი კალისტრატე საოცარი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ყველაფერს. არქივში შენახული აქვს რუსული და ქართული უურნალ გაზეთების ის ნომრები, რომელნიც ეხება მეცნიერების, კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესებს. მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პერსონალური შემადგენლობა, ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოვეყენებული ნეკროლოგები, საგაზეთო სტატიები, შენიშვნებითა და საინტერესო მინანერებით. გაზ. „კომუნისტში“ დაიბეჭდა გრ. ხავთასის სტატია „ლადო კეცხოველზე“, სადაც ავტორი აღნიშნავდა: „ლადო რომ ციხის ადმინისტრაციას ეპრძოდა, ეს შემდეგი ფაქტიდან ჩანს: მეტების ციხეში მოთავსებულ საყდარში რაღაც საეკლესიო დღესასწაული იყო. ამ დღეს ეკლესიაში მწირველად მოსულიყო ცნობილი შავრაზმელი ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე, რომელსაც ლადო სემინარიიდან იცნობდა... უწმიდესი კალისტრატეს შენიშვნა ასეთია, შეცდომა... ლადო სემინარიიდან გამორიცხეს 1893 წელს, დიმიტრი კი დანიშნეს სემინარიაში 1896 წელს“. მისი ყურადღება მიუქცევია ანა კალანდაძის ლექსს, „სხვა საქართველო სად არის“. საგანგებოდ შეუნახავს არქივში, თავისი ხელით გადაუწერია ანა კალანდაძის ლექსი „უდრეკ იყო დედოფალი“. საერთოდ, საოცარი იყო უწმიდესი კალისტრატეს დამოკიდებულება საარქივო მასალებისადმი. ის თავის არქივში ინახავდა მისი არაკეთილისმოსურნების განმაქიქებელ წერილებსაც. ქუთათელი ეპისკოპოსის დავითის ფანქრით, ძნელადგასარჩევი რისხვითა და უკადრისი სიტყვებით ავსილი წერილი თავისი ხელით გადაუწერია და ასე შემოუნახავს შთამომავლობისათვის. როგორი დიდი უნდა იყოს ადამიანი, ეს მოახერხო. უყვარდა პაექრობა კონსტანტინე გამსახურდიათან, შალვა ნუცუბიძესთან, იროდიონ სონღულაშვილთან, კორნელი კეკელიძესთან, თედო სახოკიასთან.

ქეთევან ნუცუბიძე იხსენებდა: უწმიდეს კალისტრატეს „ვეფხისტყაოსნის“ ყველა თარგმანი და განსაკუთრებით შალვასი გულდასმით ჰქონდა შესწავლილი და სხვა მრავალ შენიშვნასთან ერთად კატეგორიულად მოსთხოვა, დაეპრუნებინა ღმერთისათვის ყველგან თავისი ადგილი: „ძალიან თვითნებურად თარგმნი შალიკო, ღმერთის ცნებას ზოგან ან გულისხმობ მხოლოდ, ან სავსებით გამოტოვებულია, ან იხმარ იქ, სადაც რუსთაველს სულაც არ უფიქრია“... შალვა ნუცუბიძე, ეს შეუპოვარი ადამიანი მისი უწმიდესობის ნინაშე მოწაფული მოქრძალებით იდგა, უსმენდა. სახლში მისვლისთანავე კი მიუჯდა მაგიდას და თარგმანი უწმიდეს კალისტრატეს შენიშვნების მიხედვით ჩაასწორა“.

უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდში შეუდგა საქართველოს ისტორიის, ეკლესიის ისტორიის პრობლემების მეცნიერულ დამუშავებას. კიევის სასულიერო აკადემიის არქეოლოგიის პროფესორის ნ. პეტროვის დავალებით შეისწავლა ნიკიფორე ტოლოჩანოვის და ალექსი იევლიევის ელჩინის 1650-1652 წლებში. ნაშრომი დაიბეჭდა 1890 წელს უურნალ „ნოვოე ობოზრენიეში“. ეს იყო ახალგაზრდა მკვლევარის პირველი სერიოზული გამოკვლევა რომელიც შეესაბამებოდა XIX საუკუნის 90-იანი წლების ქართული ისტორიოგრაფიის დონეს. აღნიშნულ პრობლემას მიეძღვნა 1970 წელს პროფ.იასე ცინცაძის გამოკვლევა რომელშიც ავტორი დაწვრილებით იხილავდა ნინამორბედი ისტორიკოსების მ. პოლიევეტოვის, გრ. კოტოშინის, ს. ბელოუკოვის მოსაზრებებს. სამწუხაროდ კალისტრატე ცინცაძის გამოკვლევებზე არაფერია ნათქვამი. 1892 წლის პირველ მაისს კიევის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭოს ნინაშე ღვთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

კალისტრატე ცინცაძემ წარადგინა ნაშრომი „იბერიის ეკლესია სასანიანთა პერიოდში (265-570 წწ)“. ნაშრომის შესავალში ავტორი აღნიშნავდა, მისი მიზანი იყო შეემოწმებინა და შეეფასებინა ქართული მატეანების ცნობები, რომლებიც ეხებოდა საქართველოს ეკლესიის ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენებს... ამ გზით მას სურს დაეხმაროს მათ, ვინც დააპირებს ქართველ მემატიანეთა უდაოდ მდიდარსა და ამავე დროს ნაკლებად შესწავლილი მასალების გაცნობას“. ამ ნაშრომში წარმოჩნდა ახალგაზრდა მეცნიერის კვლევის ინტერესთა სფერო ქართლის გაქრისტიანების შესახებ. არსებულ წყაროთა და სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მან საინტერესო მოსაზრებანი წამოაყენა . კითხულობ ნაშრომს და გაოცება გიპყრობს, როგორ მოახერხა სრულიად ახალგაზრდა კაცმა მრავალრიცხოვან წერილობით წყაროთა კრიტიკული შესწავლა. მან ერთ-ერთმა პირველმა მოახერხა, აღედგინა ქართველთა გაქრისტიანების მთელი ისტორია, საეკლესიო მმართველობის იერარქია ქართლში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან ურთიერთობის საკითხები. ნაშრომში ავტორი ყურადღებას ამახვილებდა IV — V საუკუნეებში ქრისტიანულ სამყაროში გახმაურებულ ევტიქიანელობისა და ნესტორიანელობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, საქართველოს ეკლესიის ბრძოლაზე ქალკედონიანობის პრინციპის დასაცავად, ირანისა და ბიზანტიის პოლიტიკური და რელიგიური ინტერესების დაპირისპირებაზე კავკასიაში. ავტორი ვრცლად ეხებოდა ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ბერ-მონაზვნური ცხოვრების წესის საქართველოს ეკლესიაში დამკვიდრების საკითხებს. ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა რეცენზიერები, ი. მადიშევსკიმ, რომელმაც აღნიშნა: „ავტორს გულწრფელად უყვარს თავისი სამშობლო და გატაცებულია სურვილით შეისწავლის მისი ისტორია, მისთვის ძვირფასია საქართველოს სიძველენი, მართლმადიდებლობა... იგი გაცნობილია ქართულ ისტორიულ პირველწყაროებს, შესწავლილი აქვს რუსეთის ან უცხო ქვეყნების ისტორიული მნიშვნელობა ... ავტორის შრომა ქების ღირსია“. ამ ნაშრომით კალისტრატე ცინცაძე საზოგადოების წინაშე წარსდგა როგორც საქართველოს ისტორიის პერსპექტივული მკვლევარი.

1906 წელს გამოქვეყნდა კალისტრატე ცინცაძის პოლემიკური შინაარსის ნაშრომი „ისტორიჩესკაია სპრავება პო ვოპროსუ ობ ავტოკეფალნოსტი გრუზინსკოი ცერკვი“. ეს იყო პასუხი პროფ. გ. სამუილოვის სტატიებზე, რომელიც „ამტკიცებდა“ თითქოს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ისტორიულად არასოდეს ავტოკეფალია არ ჰქონია. დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ მრავალრიცხოვან წყაროების საფუძველზე დეტალურად შეისწავლა და აღადგინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების, ანტიოქიის, იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოებთან ურთიერთობის მთელი ისტორია. ამავე დროს, საფუძვლიანად განიხილა სამუილოვის გარდა, სხვა რუსი ავტორების ტენდენციური ნაშრომები და დაასკვნა, რომ 1811 წელს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება იყო სრული უკანონობა და რაც მალე იზემებდა სამართლიანობა, მით უკეთესი იქნებოდა . გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ამ ნაშრომით ავტორი, ეპისკოპოსებთან კირიონთან და ლეონიდესთან ერთად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მებრძოლთა ავანგარდში მოექცა. ეს ნაშრომი იყო ერთ-ერთი მთავარი მეცნიერული დოკუმენტი, რომელსაც ქართველი ავტოკეფალისტები იყენებდნენ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ავტორი რამდენადაც მიუღებელი გახდა ეგზარქოსებისათვის, იმდენად დიდი სიყვარული მოიპოვა ქართულ სამეცნიერო წრეებში.

ავტოკეფალიის საკითხებს უწმიდესი კალისტრატე არაერთხელ დაუბრუნდა, მის არქივში 1944 წლის 10 მაისის თარიღით დაცულია სტატია „შენიშვნები საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან“ ( კერძო პირთათვის ). უწმინდესი კალისტრატეს აზრით საქართველოს ეკლესიის მეთაურის კათოლიკოსის კათოლიკოს-პატრიარქით შეცვლა ასე მოხდა: „ბიზანტიაში განმტკიცებული იყო თვალსაზრისი: დამოუკიდებელი მეფის გვერდით უეჭველად უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი იერარქი - პატრიარქი, როდესაც საქართველო გაერთიანდა და ბაგრატ III (975 — 1014 წწ) გამეფდა, საქართველოში ფეხი მოიკიდა ბიზანტიურმა იდეოლოგიამ , ამის გამო სიმეონ კათალიკოსის (1002 — 1012 წწ) გარდაცვალების შემდეგ ბაგრატ III-მ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქად

დასვა თავისი ნათესავი და მის მიერ აღზრდილი ენერგიით სავსე მელქისედევი (1012 წ)<sup>6</sup>“ უნმიდესი კალისტრატე ყურადღებას მიაქცევდა 1666 წელს რუსეთის პატრიარქ ნიკონის სასამართლო პროცესზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის მთავარეპისკოპოს იოსებ სააკაძის ყოფნას და ასკვნის, რომ რუსეთის ეკლესია ოფიციალურად აღიარებდა ჩვენი ეკლესის ავტოკეფალიას. წერილში საუბარია იმ სიძნელეებზე, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ გადაიტანა 1917 წლის 12 ( 25 ) მარტის შემდეგ და როგორ მიაღწია მან რუსეთის ეკლესიასთან ურთიერთობის ნორმალიზაციას. „ვისაც სურს, გაეცნოს ჩვენი ეკლესის წარსულს - წერდა უნმიდესი კალისტრატე, - უნდა მოინახულოს უბისა, ყინწვისი, გელათი, სვეტიცხოველი... მაშინ ის დარწმუნდება, რომ საქართველოს ეკლესიას თამამად შეუძლია წარსდგეს დიდი ერების ეკლესიებთან და თქვას ის მცირე ნაშთი რაც ჩემი წარსულიდან გადაურჩა ცეცხლსა და მახვილს, რით ჩამოუვარდება თქვენს მტრისაგან ხელუხლებელ ძეგლებსონ“.

უნმიდესი კალისტრატე საგანგებოდ იკვლევდა ქართული პოეზიის მშვენებას, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. ქეთევან ნუცუბიძის გადმოცემით, შალვა ნუცუბიძე „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო დღეებში ბევრს ეცადა გამოექვეყნებინა კ. ეკაშვილის ფსევდონიმით შესრულებული უნმიდესი კალისტრატეს ნაშრომები, მაგრამ ვერ მოახერხა. 1966 წელს უნმიდესი კალისტრატეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის უბადლო მცოდნებ, პროფ. მიხეილ ქავთარიამ შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ „ისტორიულ - ფილოლოგიურ ძიებანძი“ (გვ. 227-274) გამოაქვეყნა უნმიდესი კალისტრატეს წერილი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობისათვის. როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ნ. პაპუაშვილი, „ამით მკვლევარმა შოთა რუსთაველის ღვთისმეტყველება ახლებურად გაიაზრა, რითაც დაუპირისპირდა იმ დროისათვის საზოგადოებაში გაბატონებულ აზრს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის არაქრისტინობის ან არამართლმადიდებლობის თაობაზე და ცხადყო გენიალური პოემის ორთოდოქსულ-ქრისტიანული მრწამსი. მან ერთ-ერთმა პირველმა მიაგნო ნაწარმოების სიუჟეტის ქრისტიანულ ინტერპრეტაციას: რომ პოემის პერსონაჟებსა თუ ფაბულის წიაღში უნდა გავიაზროთ სახარების უმთავრესი მოძღვრება სინანულით ღმერთთან მიხლებისა და ამ გზით პიროვნების სრულებრივი შესახებ, ავთანდილი და თინათინი - ერთი მხრივ და ნესტანი და ტარიელი სხვადასვა რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათებია. რომ ღმერთს დაშორებული და გზასაცდენილი ადამიანი ქრისტესმიერი ნათელდებით თუ გაბედნიერდება“.

უნმიდეს კალისტრატეს არქივში ინახება მისი შენიშვნები მოსე გოგიბერიძის საგაზეთო სტატიაზე „შოთა რუსთაველი და ნეოპლატონიზმი“.

1929 წელს მიტროპოლიტმა კალისტრატემ ვრცელი ნაშრომი მიუძღნა ნიკიფორე ირბაქის ვინაობის საკითხს. მკვლევარის მეცნიერული აზრით, „ქართველი ნიკიფორე იყო იერუსალიმის ქათული მონასტრის წინამდღვარი, რომელიც შემდეგ ეპისკოპოსის ხარისხით შეიმოსა. თეომურაზ პირველმა 1626 წელს სწორედ ის წარგზავნა ევროპაში ელჩად, სადაც მან სტეფანე პაოლინს ხელი გაუმართა ქართულ-იტალიურ ლექსიკონზე მუშაობისას. იერუსალიმის ქართული მონასტრის იმდროინდელ აღაპებსა თუ სხვა დოკუმენტებზე დაკვირვებამ, ქართველ მემატიანეთა და კათოლიკე მისიონერთა ცნობებმა, აღნიშნული ლექსიკონის გაანალიზებამ მეცნიერი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ნიკიფორე ირბაქი იგივე ნიკიფორე ირუბაქიძე -- ჩოლოպაშვილია... მკვლევარი ფიქრობს, ნიკიფორე არასოდეს გაკათოლიკებულა და ასრულებდა გოლგოთის ქართულ მონასტერში იღუმენის მოვალეობას“. უნმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ საფუძლიანი შენიშვნები დაურთო საქართველოს ისტორიის პირველ სახელმძღვანელოს, რომლის სამუშაო ვარიანტი 1940 წელს გამოვიდა აკადემიკოსების ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის ავტორობით.

უნმიდეს კალისტრატეს მეცნიერული კვლევის ინტერესთა სფერო მრავალმხრივი იყო. გასაოცარია, როგორ ახერხებდა ყველაფრის საქმის კურსში ყოფნას. პროფ. ბ. არველაძე აღნიშნავს: ლ. მელიქესეთბეგს ტოპონიმი „გოდოლნინი“ მიაჩნდა მოღნინის დამახინჯებულ ფორმად. უნმიდესი კალისტრატე პროფ. ლ. მელიქესეთბეგს პირადი წერილით გამოეპასუხა, სადაც აღნიშნა, რომ ჯერ 1922 წ. საქართველოს მუზეუმის მოამზეში და შემდეგ 1935 წ. ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ცდილობთ გოდოლნინისა და მოღნინის იდენტურობის დამტკიცებას, მაგრამ... „ღნინისად გადმოქართულება საეჭვოდ მიმაჩნია!“ უნმიდესმა

კალისტრატემ გამოთქვა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ აქ უფრო იმერეთის გოდოგანია ნაგულისხმევი.

1938 წლის 18 იანვარს პროფ. სარგის კაკაბაძისათვის გავზავნილ წერილში აღნიშნავდა: „, ეს არის ნავიკითხე „აბდულმესიანის“ წინასიტყვაობა. თქვენ (უკვე მეორედ) გამოგაქვთ მნიშვნელოვანი დასკვნები ... მაგრამ ამ სტროფს არავითარი კავშირი არ აქვს ჩვენს წარსულთან. აქ მხოლოდ შედარებაა შესხმისა საგნისა ნესტორ მონამესთან, რომელიც დალოცა საბრძოლველად მისმა მოძღვარმა დიმიტრი მთავარმოწამემ“.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის კალისტრატეს ნაშრომს „, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში“, რომელიც 1994 წელს გამოიცა გამომცემლობა „კანდელის“ მიერ პროფ. მიხეილ ქავთარიას საძიებლების დართვითა და ბოლოსიტყვაობით, აღნიშნული ნაშრომი ავტორმა დაამთავრა 1930 წლის 25 მარტს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაშრომით ავტორმა დაამტკიცა საქართველოს ისტორიაში ღრმად განსავლულობა საისტორიო წყაროებისა და მონოგრაფიული ნაშრომებისადმი სანიმუშო დამოკიდებულება. პირველ თავში საისტორიო წყაროების მონაცემების საფუძველზე წარმოჩენილია ქვაშვეთის პირველი და მეორე ტაძრის ისტორია. ავტორის დასკვნით VII საუკუნეში აგებულმა მცირე ტაძარმა იარსება XVIII საუკუნის 50-იან წლებამდე. „, ქვაშვეთის მეორე ტაძარი რომ გივი ამილახვარს აუშენებია, ამას ადასტურებს იქსე იქსეს ძე, რომელიც, როგორც ჩანს, ფრიად დაახლოებული ყოფილა ამილახვრიანთ ოჯახთან... სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგო, წერს იქსე, ამილახვარმა გივი ქვაშვეთი მოიგონა, ააშენა დიდებულის მთავარმოწამის გიორგის სახელზე“. უწმიდეს კალისტრატეს დაკვირვებით, გივი ამილახვრის მიერ აგებული ეკლესია იყო ჯვრის სახედ და ჯვრის ბოლოების მომრგვალებით, რომელსაც ჰქონდა საუცხოო კედლის მხატვრობაც. მაგრამ XX საუკუნის საწყისში ეკლესიას გაუჩნდა ნაპრალები და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მისი დანგრევა, ამიტომ გადაწყდა ახალი ეკლესიის აშენება. ნაშრომში ავტორი, როგორც ქაშუეთის მესამე ეკლესიის მშენებლობის მონაწილე, დაწვრილებით აღწერს, თუ რა სიძნელეები იყო ახალი ტაძრის დამთავრებამდე.

მეორე თავში „, ქვაშვეთის ტაძრის კარ-მიდამო“ აღწერილია ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიები, 1837 წელს შეუკეთებიათ ეკლესიის გალავანი 1857 წელს კი შედგომიან ალექსანდრეს ბალის გამშენებას. ავტორი არ ივინწყებს ეკლესიის გარშემო არსებულ შენობა-ნაგებობების ისტორიას. უწმიდესი კალისტრატეს აღნიშნული შრომა იმითაცაა საინტერესო, რომ დაწვრილებით მოგვითხრობს ეკლესიაში დაცულ სიწმინდეებსა და უძრავ-მოძრავ ქონებაზე, რომელთა უმრავლესობა დღეს დაკარგულად ითვლება. ნაშრომის მეოთხე თავი „, ეკლესიის წინამძღვრები“ წინამძღვართა თანაშემწენი, დიაკონი, წიგნისმკითხველები, მნათეები, სამრევლო საბჭო, მგალობელთა გუნდი, სამრევლო სკოლა და მისი მოღვაწენი... გაცოცხლებულია XVIII - XX საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიის არაერთი გამოჩენილი სასულიერო პირის სახე. ავტორმა ისტორიის დავინწყებას გამოსტაცა ეს ადამიანები. „, დამატებანში“ ეკლესიაში დაცული (დღეს დაკარგული) საბუთების საშუალებით წარმოგვიდგინა ნათელლებულთა, ჯვარდანერილთა, ანდერძაგებულთა, ტაძარში და ტაძრის გალავანში დასაფლავებულთა სახელები. უწმიდესი კალისტრატე ამა თუ იმ სასულიერო პირის ხსენებისას გადმოგვცემს მასზე არსებულ ყველა ცნობას. ეს ნაშრომი ფაქტობრივად ენციკლოპედიური, შეუცვლელია, ვისაც სურს ქაშუეთის ეკლესიის ისტორიაზე რაიმე ინფორმაცია მას გვერდს ვერ აუვლის. პროფ. მიხეილ ქავთარიას სამართლიანი დასკვნით: „, ქვაშვეთის ეკლესიის ისტორია, როგორც წიგნს ჰქვია, ავტორის ჩანაფიქრით მხოლოდ ერთი, თუნდაც დიდებული ტაძრის ისტორია კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ თბილისის სიძველეთა ისტორიაც და კეთილშობილური ვალის მოხდაც იმ ადამიანთა ხსოვნის წინაშე რომელნიც უხმაუროდ აკეთებდნენ თავიანთ საქმეს ინახავდნენ განათლების კეთილშობილურ ტრადიციებს და ქვეყნის სიყვარულის ჩირალდანს“.

უწმიდეს და უნეტარეს კალისტრატეს კალამს ეკუთვნის ნაშრომები: „, ივერიის საეკლესიო წესი“, მცხეთა და მისი ტაძარი „, სვეტიცხოველი“. XIX-XX საუკუნეების საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის მის მოგონებებს. ამ მოგონებებში ცოცხლდება საქართველოს ეკლესიის ისეთი

ფაქტები, მოვლენები, რომელთაც სხვაგან ვერსად იპოვი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის ყოველწლიური კალენდარი პირველად დაიბეჭდა 1918 წელს, რომელიც შეუდგენია უწმიდესაა და უნეტარეს კირიონ მეორეს. სამწუხაროდ, ამ კალენდრის არც ერთი ეგზემპლარი არ შემონახულა. 1927-1929 წლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ს. 1930 წელს საქართველოს საკათალიკოსო სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის კალენდრის შედგენა დაევალოს მიტროპოლიტ კალისტრატეს. უწმიდესი კალისტრატეს არქივში ინახება მასალები, თუ როგორი პასუხისმგებლობითა და მეცნიერული სიზუსტით ადგენდა იგი საეკლესიო კალენდრებს. უწმიდეს კალისტრატეს მიერ შედგენილი საეკლესიო კალენდრები განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა, როგორც მორწმუნეთა ასევე მეცნიერულ წრეებში. კალენდრის ეგზემპლარებს საგანგებო წარწერით საჩუქრად უგზავნიდა ო. სტალინს, ლ. ბერიას, კ. ჩარკვიანს.

მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი „ქართული ოდიკისათვის“. აქ განხილულია ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით საყურადღებო საკულტო საგანთან დაკავშირებული რიგი საკითხი. მოთხოვთ ისტორია ისტორია ოდიკისა საერთოდ და კერძოდ ქართული ოდიკისა, თუ პირველად როდის და საიდან უნდა შემოეტანათ ჩვენში ხელნაკეთი თუ დაბეჭდილი ოდიკები.

ქართველი მეცნიერები სიამოვნებით უსახსოვრებდნენ თავიანთ უახლოეს გამოკვლევებს, მონოგრაფიებს უწმინდეს კალისტრატეს, ყურადღებით ისმენდნენ მის არგუმენტირებულ შენიშვნებს და გაოცებას ვერ მაღავდნენ, როგორ ახერხებდა ეს ასაკოვანი მწყემსმთავარი ამდენი ინფორმაციის მიღებას. უწმიდეს კალისტრატეს განსაკუთრებით უყვარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. განგებამ ღვთისამ მას არგუნა ეპისკოპოს კირიონთან ერთად ეკურთხებინა ის ადგილი სადაც შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი აშენდა, ხოლო 1918 წელს უკვე დეკანოზი კალისტრატე უწმიდესაა და უწეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II ერთად გადაიხდის სამადლობელ პარაკლისს საქართველოში მეცნიერების ამ დიდებული ტაძრის გახსნის გამო. უწმიდესმა კალისტრატემ არაერთხელ გადასცა ძვირფასი ხელნაწერები, წიგნები თბილისის უნივერსიტეტის სიძეველეთა საცავს, ხოლო თავისი ბიბლიოთეკა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას უსახსოვრა.

ასეთი მრავალმხრივი იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. დრო სწრაფად მიჰქერის... ამქვეყნიურ ცხოვრებას ტოვებენ ის ადამიანები, ვინც ახლოს იცნობდა უწმიდესაა და უნეტარეს კალისტრატეს, მაგრამ მის სახელს დავიწყება არასოდეს უნერია. იგი ყოველთვის ჩვენი თანამედროვეა.

## ამირან ნიკოლეიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

### ნუ მოვყედებით ფესტეს

ამ სტატიას ორიგინალური კვლევის პრეტენზია არ გააჩნია. ჩემს მიზანს მხოლოდ ის წარმოადგენს, რომ მკითხველს კიდევ ერთხელ შევასენო ქართველთა უძველესი წარმომავლობისა და ჩვენს განუზომლად დიდ წვლილზე კაცობრიობის ცივილიზაციის შექმნისა და განვითარების საქმეში, თან ყოველივე ამის გათვალისწინებით დავაყენო ერთი პრაქტიკული საკითხი, რომლის რეალიზაცია, დიახაც რომ, შეუძლია ვანში ახლად შექმნილ კვლევის ცენტრს, მის ირგვლივ შემოკრებილ მაღალ ინტელექტუალური დონის მქონე მეცნიერთა საშუალებით. ეს კი პერსპექტივაში მრავალმხრივ სარგებელს მოუტანს როგორც ზოგადად მეცნიერებას, ისე კონკრეტულად ქართულ სახელმწიფოსაც. ყველაფერი ეს მკითხველისათვის გასაგებად რომ ავხსნათ, უნდა დავიწყოთ ძალიან შორიდან.

სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენს იმის აღნიშვნა, რომ ქართველები დედამიწის დღემდე გადარჩენილ ხალხთაგან ერთ-ერთი უძველესია, ხოლო საერთო ქართველური (პროტოქართველური) ფუძე ენა ჯერ კიდევ მე—5 ათასწლეულშია გაჩენილი და მან უცვლელი სახით მესამე ათასწლეულამდე იარსება.

ცნობილი ენათმეცნიერი ი. ბრაუნი თავის წიგნში „პროტოქართველური ენა“ (2008 წ.) წერს, რომ ქართველური ენები ეკუთვნიან უძველეს პერიოდს და მის წინამორბედ ენას, რომელიც V-IV ათასწლეულებში არსებობდა, პროტოქართველური ენა ქვია. III ათასწლეულში კი დაიწყო მისი დაშლა და პირველად მას გამოეყო ბასკური, შემდეგ კი ძველი ქართული, სვანური (ძვ.წ.აღ. მე—XVIII საუკუნიდან.) და ზანური (ძვ.წ.აღ. VIII საუკუნიდან) ენები.

ვრცელი იყო პროტოიბერიელთა, ქართველთა განსახლების არეალი და ისინი V ათასწლეულიდან ძვ.წ.აღ. XV საუკუნემდე ბრიტანეთის კუნძულებიდან ინდოეთ—შრი-ლანკამდე, ჩრდილოეთ აფრიკიდან ყირიმ—ვოლგისპირეთამდე ცხოვრობდნენ და ერთ საერთო ქართველურ ენაზე ლაპარაკობდნენ. მეორე ათასწლეულის შუახანებში კი აქ შემოიჭრნენ ინდოევროპელები, დაიპყრეს პროტოიბერთა ტერიტორიები და მოხდა მათთან ასიმილაცია.

პროტოიბერთა განსახლების დამადასტურებელ წერილობით ცნობებს ჩვენ ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ავტორები გვაწვდიან და გვაუწყებენ, რომ კოლხები—ე.ი. იბერები ცხოვრობდნენ მერამული და კასპიის ზღვებიდან მოყოლებული, ეგვიპტეში—ქიმეთში (ჰეროდოტე კოლხებს ეგვიპტელებად მიიჩნევდა და წერდა, რომ ისინი მთელს მსოფლიოში იყვნენ განფენილები).

განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა პრობლემის კვლევაში XIX საუკუნის გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა ჰემბოლდტმა, რომელიც მიიჩნევდა, რომ პირენეების, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების, ეგეოსის ზღვის აუზის, კავკასიის, პალესტინის და ინდოეთის ავტოქთონური (პირველადი) მოსახლეობა მესამე ათასწლეულის ბოლომდე, ან მეორე ათასწლეულის შუა ხანებამდე მაინც, იბერული იყო და მათ პროტოიბერებად, ხმელთაშუა ზღვის, მედიტერიანული, კავკასიური ანუ პალეოკავკასიური რასის სახელით მოიხსენიებს, რომელთა სალაპარაკო ენა იყო ერთი, ოღონდ თავისი დიალექტებით. მისი აზრით, მოგვიანებით სწორედ ამათგან ჩამოყალიბდა ევროპის მოსახლეობა.

ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი თავიანთ 1948 წლის გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“ წერდნენ, რომ 6000 წლის წინ ხეთურ—იბერული მოდგმის ხალხი დასავლეთ და სამხრეთ ევროპაში ბალკანეთში, ჩრ. აფრიკაში, წინა აზიაში და მესოპოტამიაში (ევფრატ—ტიგროსის აუზში) ცხოვრობდნენ.

აღნიშნულ აზრს იზიარებენ ან კიდევ უფრო შორს მიდიან სხვა ქვეყნების მეცნიერებიც და მიიჩნევენ, რომ პროტოიბერები ცხოვრობდნენ სპარსეთის ყურისა და აზოვის ზღვების ირგვლივ, ყირიმში, მდინარე ვოლგამდე, სამხრეთ გერმანიაში, ავსტრიაში, ბრიტანეთის (ირლანდიის ჩათვლით) კუნძულებზე, სადაც ისინი ჯერ კიდევ 8500 წლის წინ პირველები გამოჩენილან იბერიული წარმოშობის პიქტების სახით („მსოფლიოს ისტო-

რიული ენციკლოპედია”), ბრიტანეთის კუნძულების (ირლანდიის ჩათვლით) პირველ ამთვისებლებად პროტოიბერებს მიიჩნევენ მორტონი („ინგლისის ისტორია”, თავი პირველი) და არავიანიც („ინგლისური ენის ისტორია”) და თან მიუთითებენ, რომ აქედან ისინი ხშირად სკანდინავიასაც სტუმრობდნენ.

დასავლეთ ევროპის პირველ ამთვისებლებად იბერებს მიიჩნევს ებრაელი მეცნიერი რეინშპოლკიც თავის წიგნში „არიელები და იბერიელები”.

იბერიელთა განსახლების არეალად ევრაზიულ სივრცეს მიიჩნევს კიდევ ერთი ებრაელი მეცნიერი მოსენსკისი, რომელიც თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში წერს, რომ ევრაზიული ცივილიზაციის სათავეებთან ქართველები იდგნენ.

მეცნიერთა ერთი ნაწილი იმასაც ფიქრობს, რომ აფრიკაში იბერიელთა განსახლების უკიდურესი სამხრეთი ადგილი იყო სუდანი, სადაც იბერიელი მოდგმის ხალხი—ხალდები ცხოვრობდნენ. ეს ის ხალდებია, რომელთა ენას პროტოქართულად ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილიც მიიჩნევდნენ და რომელზეც, როგორც ირკვევა, იესო ქრისტე ლაპარაკობდა.

კოლხეთის შორეულ წინაპრებად არიან მიჩნეული აფრიკელი ბერპერებიც, ხოლო მაროკოს ქ. უარგალში ახლაც ცხოვრობენ ზანგი ქართველები, რომლებსაც ენა და გვარებიც კი ნაწილობრივ შენარჩუნებული აქვთ. მათი საუბარი იქ რუს მეცნიერ ელისეევს ჩაუნიერია.

არის უფრო გაბედული მოსაზრებებიც და გამოთქმულია შეხედულება, რომ პროტოიბერები ცხოვრობდნენ თვით იაპონურ ჰოკაიდოსა და ჰონსიუზეც კი, ხოლო ტურ ჰეიერდალი და ესპანელი მეცნიერი ინდონელი მიიჩნევენ, რომ ამერიკის კონტინენტი სწორედ კოლხუამ (ე.ი. იბერებმა) აღმოაჩინეს, იქ ატლანტიდური ცივილიზაცია მოიტანეს და მაიას ხალხს შეუქმნეს ანბანი.

ამ მოსაზრებათა ერთგვარ პრაქტიკულ დაგვირგვინებას წარმოადგენს 2007 წლის სენსაციური აღმოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე— წითელ ხიდთან, სადაც მიკვლეული იქნა ჯერ 3800 წლის მიწაში დამარხული, თითქმის დაუზიანებელი ქალაქი, ხოლო 2012 წელს 6000 წლის წინანდელი შუმერული კულტურის იდენტური კულტურა, რაც ამტკიცებს, რომ ჩვენი შორეული წინაპრები და შუმერები (იგივე იბერიული ტომი სუმერი) ვიყავით ერთი კულტურის შემქმნელები, ერთი ხალხი და გვეკავა ერთიანი სივრცე.

კიდევ უფრო შორს წავიდნენ ამერიკელი მეცნიერები და იქაური ტელევიზიის ერთერთმა არხმა თავის ვრცელ გადაცემაში აღნიშნა, რომ 15000 წლის წინათ მთელი ევრაზია პროტო ქართულ ენაზე ლაპარაკობდა და მაშინდელი 23 სიტყვა დღესაც კია შენარჩუნებული ქართულ ენაში უცვლელად. გ. ჰეგელის აზრით ეს სიტყვებია: დედა, კაცი, მე, შენ, ცეცხლი, ხელი და ა.შ. ის თვლის რომ ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება და ასეთი სიტყვების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

არანაკლებ მნიშვნელოვანი არის ჰოლანდიელი მეცნიერის ფურნიეს მიერ თავის კვლევებში დადასტურებული 5000 ქართული სიტყვის გამოვლენა— გავრცელება აპენინისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის არეალში.

როგორც ზემოთ უკვე ვწერდით, იბერიელთა—ძველ ქართველთა განსახლების ერთ—ერთ არეალად ინდოეთიც არის მოხსენიებული, სადაც დრავიდების ოჯახის წარმომადგენელი თამილები მე—3 ათასწლეულში ხმელთაშუა ზღვიდან მოსულან საცხოვრებლად. ძვ.წ.აღ. პირველი ათასწლეულის დასაწყისში კი ისინი აქედან შრილანკის (ცეილონის) კუნძულზეც გადასულან და დღეისათვის იქ ცხოვრობს თამილების ორი ჯგუფი—უძველესი ლანკელი თამილები და გვიან მოსული ინდოელი თამილები, რომელშიც მაღაიალებიც შედიან.

ძვ.წ.აღ მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში ინდოეთში ჩრდილო—დასავლეთიდან არიელებიც მივიდნენ, რომლებიც მოგვიანებით ინდოარიელებად ჩამოყალიბდნენ და ძვ.წ.აღ. პირველი ათასწლეულის შუა ხანებში შრილანკაზეც გადავიდნენ. ძვ.წ.აღ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში კი თამილების, ინდოარიელების და შრილანკის ავტოქთონური მოსახლეობის—ვედების (დღეისათვის მათი რაოდენობა მხოლოდ 1000 კაცამდეა შემორჩენილი) შერწყმით ჩამოყალიბდა შრილანკის დღევანდელი დომინანტი ხალხი სინჰალები.

ენობრივი თვალსაზისით ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ჯერ თამილური

(უძველესი ხმელთაშუაზღვაური წარმომავლობის გამო) და შემდეგ მაღაიალამური და სანსკრიტული ენები.

გამოსაკვლევია ამ ენების ურთიერთკავშირები და საერთო ნიშნები პროტოქართულ, ქართველურ და ქართულ ენებთან. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ არც თუ ისე ცოტაა ქართულსა და ამ ენებს შორის საერთო სიტყვები. მაგალითად:

| <b>სანსკრიტულ ენაშია:</b> | <b>ქართულ ენაშია:</b>               |
|---------------------------|-------------------------------------|
| ბანდჰ (შეკვრა)            | შებანდვა, შეკვრა                    |
| ენ (ენა)                  | ენა                                 |
| კუდი (კონა, ფოჩვი)        | კონა, კუდი, ფოჩვი                   |
| კუტი (მოსახვევი)          | მოკუტული, მოლუნული, მოხრილი         |
| ლამბი (სამკაული)          | ლამბვა                              |
| ლატა (ხვიარა მცენარე)     | ლატანი                              |
| მალა (აკინძვა)            | სერხემალი                           |
| მარ (სიკვდილი)            | მარადი, მარხვა, სამარე, სამარხი     |
| მილ (შეერთება)            | მილი, შემაერთებელი                  |
| მუშტი (მუშტი)             | მუშტი                               |
| ნავ (ნავი)                | ნავი                                |
| სურიტა (თეთრი)            | გამოსუსურიტებული, სუსტი, ფერმქრთალი |
| ტან (ტანი)                | ტანი                                |
| შარდჰ (დასველება)         | შარდი, ჩასველება                    |
| შიავ (შავი)               | შავი                                |

| <b>მაღაიალამურ ენაშია:</b> | <b>ქართულ ენაშია:</b> |
|----------------------------|-----------------------|
| (დრავიდების ჯგუფი)         |                       |
| ენუ (ენა)                  | ენა                   |
| კალუ (პურის მარცვალი)      | კალო                  |
| კარუ (ქარი)                | ქარი                  |
| ნავ (ნავი)                 | ნავი                  |
| ტანუ (ტანი)                | ტანი                  |

| <b>თამილურ ენაშია:</b> | <b>ქართულ ენაშია:</b> |
|------------------------|-----------------------|
| (დრავიდების ჯგუფი)     |                       |
| ტუტი (ტუჩი)            | ტუჩი                  |
| ციტი (ცუდი)            | ცუდი                  |
| ცურო (ცური)            | ცური                  |

ძვირფასო მკითხველო, ეს ყველაფერი მიგნებულია არა საგანგებო კვლევის შედეგად და არა ამ ენების ღრმად მცოდნების მიერ.

და აი მივედით ჩემი სტატიის ძირითადი მიზნის გაცხადებამდეც: ვთვლი, რომ ქართული მეცნიერების ვალია დაიწყოს ამ კუთხით მასშტაბური კვლევების წარმოება და არა მხოლოდ იმისი გადმოლება—დაფიქსირება, რასაც მრავალრიცხოვანი უცხოელი მეცნიერები აკეთებენ. ძალიან რბილად რომ ვთქვა, ჩვენი ასეთი პასიურობა ამ კუთხით ძალიან შემაშფოთობელი და სამარცხვინოა. ქართველების მხრიდან ამ კვლევების ინტენსიურად სანარმოებლად კი უპირველეს ყოვლისა საჭიროა იმ ხალხთა ენების, ეთნოლოგიების, ტრადიციების, ყოფის, ჩვევებისა და ფოლკლორის მცოდნეთა მომზადება, რომელთა დღევანდელი განსახლების ადგილებში ძველად ჩვენს პროტო წინაპრებს უცხოვრიათ. ეს კი შესაძლებელია ამ ქვეყნების სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან ჯერ კონტაქტების დამყარებით, ხოლო შემდეგ თანამშრომლობის დაწყებითა და იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში თუნდაც 2—3 სტუდენტის გაგზვნით.

რაკი ზემოთ მაგალითად ინდოეთი და შრილანკა მოვიყვენე, ამიტომ ისევ მათზე გავაკეთებ აქცენტს და აღვნიშნავ, რომ ძალიან კარგი იქნება, თუკი შეირჩევა ინდოეთის კეროლის (სადაც მალაიალამელები ძირითად მოსახლეობას წარმოადგენენ) და ტამილნადის (სადაც თამილები ძირითად მოსახლეობას წარმოადგენენ) შტატებიდან და შრილანკიდან (სადაც ვედები ცხოვრობენ) რომელიმე ქალაქი ან რაიონი და მათთან გაფორმდება მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. ეს სასარგებლო იმ მხრივაც იქნება, რომ საქართველოს გაუჩნდება თუნდაც თითო—ოროლა თამილური, მალაიალამური და სანსკრიტული ენების მცოდნე სპეციალისტები, რომლებიც ამ ქვეყნებთან თანამშრომლობაში უთუოდ იქნებიან გამოსადეგნი.

ამის მაგალითი კი შეიძლება მისცეს ვანის ახლად შექმნილმა სამეცნიერო ცენტრმა და რაიონის ხელმძღვანელობამ იმით, რომ მათ პირველებმა გადადგან ეს ნაბიჯი და დაიწყონ ნიადაგის მომზადება მათთან ასეთი ხელშეკრულების ჯერ მოსამზადებლად და შემდეგ გასაფორმებლად.

სხვათაშორის, ამაოდ ნუ განეწყობით სკეპტიკურად და ნუ იფიქრებთ ვინმე, თუ რას მოგვცემს ისეთ „ჩამორჩენილ“ ქვეყნებთან ურთიერთობა, როგორიც შრილანკაა. ეს სულაც არ არის ასე, რადგან „ჩამორჩენილი“ შრილანკა ბევრი რამითაა ჩვენზე წინ და მთელს აზის კონტინენტზე კრიმინალისაგან თავისუფალი, ერთ—ერთი წარმატებული ქვეყანაა თავისი მოწესრიგებული ცხოვრების პირობებით (საცხოვრებლად ერთ—ერთი ყველაზე იაფიანი ქვეყანა), მაღალი დონის უფასო სამედიცინო მომსახურეობით (აქ სი-ცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ერთ—ერთი ყველაზე მაღალია მთელს მსოფლიოში), განვითარებული ტურიზმითა, სოფლის მეურნეობით და ა.შ.

## ომარ გაბუნია

ვანის არქეოლოგიური-მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

ვანის არქეოლოგიური გათხრებისა და მუზეუმ-ნაკრძალის ისტორიის

ვანის გათხრები, ჯერ მხარედმცოდნეობის, ხოლო შემდეგ არქეოლოგიურ მუზეუმთან ერთად არა მარტო ვანელის, არამედ ნებისმიერი ქართველისათვის სამშობლოს უძველესი და უზარმაზარი კულტურის, სიამაყისა და ლირსების ადგილია. იგი უნდა ნახო და დარწმუნდე „რა განძი გვქონია, რა მხნე რა მდიდარი...“

1947 წლიდან, როდესაც ქვეყანამ არნახული მასშტაბის ომისაგან სული მოითქვა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მითითებით ვანში იწყება არქეოლოგიური გათხრების შედარებით ინტენსიური ეტაპი, რომელიც მთელ რიგ ობიექტურ ფაქტორთა გავლენით შეწყვეტილი იყო და ადრე ჩატარებულ საძიებო-დაზვერვით სამუშაოებს თითქმის არ გასცილებია. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა პირველი არქეოლოგი ქართველი მანდილოსანი, ქალბატონი ნინო ხოშტარია, რომლის იდეაც იყო ნაპოვნი ფასდაუდებელი მასალების საფუძველზე, შექმნილიყო მუზეუმი. პროცესები დაიძრა და მანვე გადასცა მუზეუმს პირველი ექსპონატებიც, რომელთაც გზადაგზა დაემატა ახვლედიანების გორაზე მცხოვრებ ივანე, ფედოსი, პოკია, და ონისიმე ახვლედიანების, ჯულიეტა გაბუნიას, უორა და ბაგრატ კალაძების მიერ შემთხვევით ნაპოვნი ნივთებიც.

მუზეუმისათვის, რომელიც ამ დროს „მხარეთმცოდნეობის მუზეუმის“ სახელით იყო ცნობილი, რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გამოიყო დაბა ვანის ცენტრში არსებული რედაქციის შენობის პირველი სართული, სადაც სარაიონო ბიბლიოთეკამაც დაიდო ბინა. პირველ დირექტორად დაინიშნა ისტორიკოსი შალვა ბელთაძე. მასვე დაევალა სამუზეუმო მასალების შეგროვებაც, ასევე, რაიონის მაშინდელ ხელისუფალთა გადაწყვეტილებით საქმის კურირება თხოვეს ბატონ მანუილ მესხს, რომელსაც იმ დროს რაიონულ ხელმძღვანელ რგოლში მაღალი თანამდებობა ეჭირა, იყო პრინციპული და განათლებული პიროვნება. მან და მუზეუმის თანამშრომლებმა მოიძიეს და თავი მოუყარეს მრავალ წერილობით და ყოფით ექსპონატს, მათ შორის არა ერთი უნიკალურიც იყო, რომლებიც ჩააბარეს მხარედმცოდნეობის მუზეუმის ფონდს. გასვლითმა ექსპედიციებმაც უკვე პროგრამული ხასიათი მიიღო, რამაც შეამზადა საფუძველი რაიონის ხელმძღვანელობას, ეფიქრა მხარედმცოდნეობის მუზეუმისათვის, ახალი, უფრო ტევადი შენობის აგების თაობაზე. 1951 წელს დაბის ცენტრში ააგეს ორსართულიანი შენობა, რომლის პირველ სართულზე განთავსდა რაიონული ბიბლიოთეკა, მეორე სართული მთლიანად სამუზეუმო ექსპონატებს დაეთმო და მასში წამყვანი ადგილი არქეოლოგიამ დაიკავა. გაჩინდნენ პირველი დამთვალიერებლებიც, ამის დასტური შთბეჭდილებათა წიგნის ჩანაწერებია.

ამრიგად, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი იქცა რაიონში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ორგანიზაციად, რომელშიც პროგრამული ხასიათი მიიღო კვლევებმაც და დაგეგმილმა თემატურ—თეორიულმა კონფერენციებმა. 1951 წელს მუზეუმის ახალდანიშნული დირექტორის ლეილა ძაგნიძის მცდელობით ეს საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდა, ხოლო მას შემდეგ, რაც მუზეუმი სრულყოფილად დაკომპლექტდა კადრებით, იწყება რაიონში არსებული სიძველეთა სხვა ძეგლების ზუსტი აზომვები, ფოტოფირებზე აღიბეჭდა ძეგლების მდგომარეობა და შეიქმნა ფოტოაღმიც.

როგორც ვთქვით ვანში 1947 წელს გამოგზავნილ ექსპედიციას, 1969 წლამდე ხელმძღვანელობდა ქალბატონი ნინო ხოშტარია. იგი საქმიანად დაუდგა გვერდით ახლადშექმნილი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელობას. მისი მითითებითა და კონსულტაციებით აქვე შეიქმნა თემატური გამოფენაც. ხოლო ქალბატონ ნინოს მიერ რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები ახალი აღმოჩენების შესახებ, ინტერესს ბადებდა ანტიკური ისტორიით დაინტერესებულ პირთა შორის გათხრებთან ერთად მოენახულებინათ ვანის ახალდაფუძნებული მუზეუმის ექსპოზიცია, სადაც გამოფენილი იყო უძველესი ხანის საინტერესო მასალები.

აქ აღმოჩენილმა ნეოლითისა და ენეოლითის საინტერესო ექსპონატებმა ნათლად დაგვანახა, რომ ახალი ქვის ხანაში დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ პირველყოფილი, უძველესი ხანის ადამიანები. მოსახლეობის ასეთმა ინტენსიურმა

განლაგებამ და ცხოვრების პროგრესირებამ რიგ ფაქტორებთან ერთად განაპირობა ვანის ტერიტორიაზე ადრეანტიკურ ხანაში ესოდენ დიდი ცივილიზაციის კულტურის შექმნა, რომელიც ვანის ნაქალაქარის სახელწოდებითაა ცნობილი. ნაქალაქარი, როგორც შემდგომმა კვლევებმა ცხადყვეს, ძვ. წ. აღ-ის. VIII-1 საუკუნეებითაა დათარიღებული. აქ, ამ დროს გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო მაგისტრალი, იგივე საქარავნო გზა, რომელიც დასავლეთს აღმოსავლეთთან აკავშირებდა. ბუნებრივია, მდ. რიონი, რომელიც ანტიკურ ხანაში მდ. ფასისის სახელს ატარებდა, საკომუნიკაციო ურთიერთობის თვალსაზრისით მთავარ როლს ასრულებდა მაშინდელი იალქნიანი გემების მიმოსვლისათვის და დიდად შეუწყო ხელი იმ გზის განვითარებას, რომელიც მესხეთის გავლით ინდოეთამდე მიემართებოდა. ეს გზა იყო განმაპირობებელი მაშინდელი სავაჭრო და სტრატეგიულ ურთიერთობათა მოთხოვნის დონეზე განვითარებისათვის და ცხადია დადებითად აისახებოდა მის ირგვლივ განლაგებულ დასახლებებზე, მათ შორის უძველეს ვანზეც. როდესაც ამ გზამ მნიშვნელობა დაკარგა ქალაქი დასუსტდა და შემდგომში მტრის მიერ განადგურდა. ეს ყველაფერი ხდება დაახლოებით ძვ. წ. აღ. I საუკუნისთვის.

ანტიკური ვანის მეცნიერული კვლევის სრულიად ახალი ფაზა და მძლავრი აღმოჩენები იწყება, მას შემდეგ რაც 1966 წელს სასოფლო გზის მშენებლობას შემთხვევით მოჰყვა ნაქალაქარის ტერიტორიაზე თლილი ქვისა და ქვაფენილის აღმოჩენა. გზის გაყვანა შეჩერდა. მომზდარის შესახებ შეატყობინეს ბატონ ოთარ ლორთქიფანიძეს. ექსპედიციის ხელმძღვანელის ნინო ხოშტარიას ავადმყოფობის გამო, ვანში ექსპედიციის წევრები ჩამოვიდნენ ოთარ ლორთქიფანიძესთან ერთად. დაინტყო ტერიტორიის შესწავლა, გამოიკვეთა თლილი ქვის კვადრები. რიყის ქვის ქვაფენილი, ხოლო ცოტა მოგვიანებით კარიბჭის გათხრამ დასრულებული სახე მიიღო. ქალაქის გადარჩენილი კარიბჭის ნაწილი და მისი არქიტექტურა დღესაც აოცებს ელინისტური ხანის არქიტექტურით დაინტერესებულ მეცნიერებსა და ტურისტებს. შემოსასავლელში თიხის ჯამები და დანახშირებული ხის ძელი აღმოაჩინეს, ხოლო კარიბჭის შესასავლელში აღმართული უნდა ყოფილიყო მფარველის ქანდაკება, რასაც არსებული ბერძნული წარწერა ადასტურებს: „გევედრებით შენ, მეუფეო ქალღმერთო“. კარიბჭეს ორი კარი უნდა ჰქონოდა; ერთი დიდი ზომის რეინის კარი „კატარაქტა“, ხოლო მეორე, რეინის ჩარჩოში ჩასმული ხის კარები, რომელიც ბრინჯაოს დამცავი ფირფიტებით იყო შეფუთული. ნაპოვნი იქნა მეორე წარწერაც „არსანასა“, რაც შესაძლებელია რომელიმე მშენებელმა ამოკვეთა კედელზე. მთავარი განყოფილება კი შესანირავთანაა დაკავშირებული, სადაც აღმოჩნდა ქვის საკურთხეველი, შენაწირი შესანიშნავი ჭურჭლით, რომელიც თიხისგანაა დამზადებული. აქ აღმოჩენილი კერამიკული მასალები, ბრინჯაოს კარის სამაგრი ფირფიტები დაცულია ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში.

1967 წელს დასრულდა კარიბჭის შესწავლა და ძირითადი სამუშაოები გაიმართა ქსენია გიორგაძის ყოფილ ეზოში, რომელიც წარმოადგენდა ქალაქის ცენტრალურ ადგილს. სადაც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ძვ. წ. აღ. II-I ს. მრგვალი ტაძარი, სამსხვერპლო იატაკით, რომელშიდაც სრულდებოდა საკულტო რიტუალი. საინტერესო იყო ქვისაგან შექმნილი ლომის სამი თავის სკულპტურა, რომელთაგანაც ორი - წვიმის წყლის სადინარის ფუნქციას ასრულებდა, ხოლო მესამე ტაძრის გასაფორმებელ სამკაულს წარმოადგენდა. ცნობილია რომ, ლომების გამოსახულებანი აქემენიდური ირანისათვის იყო დამახასიათებელი, როგორც ჩანს, ელინისტურ ხანაში ეს სიმბოლიკა კოლხეთშიც ფეხს იკიდებს და კოლხებიც სიძლიერის ამ სიმბოლოს დიდ პატივს მიაგებდნენ. ამავდროულად ლომი კავკასიაში მობინადრე ცხოველი იყო.

1968 წელს აღმოაჩინეს 17 მეტრიანი საზეიმო საკურთხეველი, ხოლო 1969 წელს ზედაპირული ფენიდან ხუთი მეტრის სიღრმეზე მეომარ „დედატოსის“ სამარხი. ამ უბანზე სამუშაოებს ომარ ლანჩავა ანარმობდა. სამარხში არქეოლოგთათვის საინტერესო მასალების, მათ შორის ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსი, ალექსანდრე მაკედონელის მამის, ფილიპე II ოქროს სტატურის აღმოჩენას, რომელიც სამარხს კარგად ათარიღებდა, უზარმაზარი მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა.

1969 წელს დედატოსის სამარხიდან 50 მეტრის მოშორებით, სამხრეთით, გამოიკვეთა ძვ. წ. აღ. V- ს. მეორე ნახევრის სამარხი ქალისა. როდესაც დედატოსის სამარხის ინვენტარის პირველადი სახის დამუშავება სრულდებოდა, გახსნილი იქნა კიდევ ერთი ახალი სამარხი. ეს აღმოჩენები იმდენად სენსაციური და რეზონანსული გამოდგა, რომ გათხრებს სპეციალურად, სხვა თანმხლებ პირებთან ერთად, ენვია საქრთველოს რესპუბლიკის

მაშინდელი პირველი ხელმძღვანელი ვასილ მუავანაძე. ამდენად ორი სამარხის ერთდროულად შესწავლა ექსპედიციას ახალ „სასიამოვნო“ თავსატეხს უჩენდა და დაძაბულ საქმიანობას მოითხოვდა. ამასთან, დიდი ისტორიული ღირებულების ოქროს ნივთების ასეთი რაოდენობა და მათი უსაფრთხოდ დაცვა სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ დღისით მუშაობა გრძელდებოდა, ღამით კი არქეოლოგებთან ერთად მილიციაც იდგა დაცვის სამსახურში.

ერთი კვირის მუშაობის შემდეგ სამარხის გაწმენდა დასრულდა. თბილისიდან გამოიძახეს ტელევიზია, საქმეში ჩაერთო როგორც ადგილობრივი ისე რესპუბლიკური პრესა, გაიზარდა დამთვალიერებელთა რაოდენობაც, ოქროს ნივთებს ჩაუტარდა პირველადი დამუშავება და მომზადდა საქართველოს დედაქალაქში გადასატანად. 1969 წელს ზაფხულის მიწურულს უსაფრთხოების ზომების სრული დაცვით თბილისში გადაიტანეს 2500 წლის წინ დაკრძალული კოლხი მეომრისა და ქალის სამარხების საინტერესო ინვენტარი.

1967 წელს არქეოლოგიური სამუშაოები ნაქალაქარის სამხრეთ ტერასაზეც მიმდინარეობდა. ჭაჭია ახვლედიანის ეზოს შესყიდულ ნაწილს ქალბატონი რუსუდან ფუთურიძე თხრიდა. ეს უბანი ძალზე საინტერესო აღმოჩნდა. იპოვეს ნიკეს, პანის, სახემშვენიერი მენადებისა და არიადნას ბრინჯაოს შესანიშნავი ფიგურები. აგრეთვე აღმოჩნდა კედლის სანგრევი ურნალი, კორინთული ტიპის „კაპიტელი“, პონტოს სამეფოში მოჭრილი ამისოს 124 ვერცხლის მონეტა და მოზაიკური იატაკი, სადაც მაღლივ საკურთხეველი იდგა. მასალები თბილისში გადაიტანეს, რადგან იმ დროისათვის ვანის მუზეუმის შენობის მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას.

დიდად საინტერესო აღმოჩენად ითვლება ძვ. წ. აღ. VIII–VII სს. დათარიღებული ფანტასტიკური ცხოველების ქანდაკებები და ბრინჯაოს ტორსი, რომელიც ანტიკური ქალაქის, ცენტრალურ ტერასაზე იქნა მიკვლეული. განსაკუთრებით ტორსის აღმოჩენა იწვევს ინტერესს, რადგან ასეთი აღმოჩენებით თვით საბერძნეთი და რომიც კი არაა განებივრებული. ზემოთჩამოთვლილმა აღმოჩენებმა კიდევ უფრო მოჰყინა ნათელი ანტიკურ სამყაროსთან ვანის ურთიერთობას. უძველესი აქემენიდური ირანის, საბერძნეთის, ქალაქცენტრების: ათენის, ქიოსის, როდოსის, კნიდის თასოსის, მეგარის, კოსის, ჰერაკლიას, სინოპეს, ძველი რომისა და მცირე აზიის არქეოლოგიურად საინტერესო მასალები უხვადაა აღმოჩენილი ვანის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში. სწორედ ამან დაბადა დიდი ინტერესი ისტორიულ სიძველეთა მოყვარულ საზოგადოებას შორის. მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს არგონავტებში მოხსენიებულ კოლხეთის დედაქალაქად ვანი მიაჩნდა, რადგან ვანში აღმოჩენილმა უძვირფასესმა ოქროს ნივთებმა, რომელთა დიდი ოსტატობით შესრულებამ განაცვიფრა მსოფლიო, დააჭვა მეცნიერთა ნაწილი, ხომ არ იყო რაიმე გაუგებრობა ქრონოლოგიაში და ხომ არ წარმოადგენდა ვანი აიეტის საბრძანებელ ქალაქს.

ქალბატონი ნინო ხოშტარია ვანს ქალაქ სურიუმთან აიგივებდა. საბოლოოდ მეცნიერთა უმრავლესობა ამ აზრს იზიარებს. თუმცა ბატონ ოთარ ლორთქიფანიძეს მიაჩნდა, რომ ვანი შეიძლება ქალაქ „ლევკოთეასთან“ გაიგივებულიყო, მაგრამ ბოლო დროს ბრინჯაოს ფირფიტაზე აღმოჩენილმა ძველბერძნულმა წარწერამ, რომელიც საკულტო ხასიათის წარწერაა და ძვ. წ. აღ. I საუკუნითაა დათარიღებული, ეს საკითხი საბოლოოდ „სურიუმის“ სასარგებლოდ შემოაბრუნა. წარწერა ქალბატონმა თინათინ ყაუხეჩიშვილმა და სანკტ-პეტერბურგელმა ლინგვისტმა ო. ვინოგრადოვმა გაშიფრეს.

ტექსტი სრულად წაიკითხეს და გაუგებარი და აუხსნელი არაფერი არ დარჩენილა. მაგრამ ტექსტის დიდი ნაწილი დაკარგულია, რაც აძნელებს საბოლოო მტკიცებულებას ქალაქ სურიუმის შესახებ. ეს წარწერიანი დაფა ინახებოდა ვანის აქეოლოგიური მუზეუმის ექსპოზიციაში. ამჟამად იგი თბილისში ეროვნული მუზეუმის ფონდშია მოთავსებული, ხოლო არქეოლოგიური მუზეუმის რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ ვანში გამოიფინება.

პერმანენტულმა აღმოჩენებმა და მისმა უდიდესმა მნიშვნელობამ განაპირობა ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და გათხრების ბაზაზე შექმნილიყო ვანის არქეოლოგიური მუზეუმ- წარმოადგინდა. აქ უკვე აუცილებელი იყო ექსპოზიცია მთლიანად დათმობოდა არქეოლოგიურ მონაპოვარს.

მუზეუმის პროფესიონალის შეცვლით დაინტერესებული იყო პროფესიონალი ოთარ ლორთქიფანიძე, რომელიც 1969 წლიდან ხელმძღვანელობდა ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას და პარალელურად ქვეყნის არქეოლოგიის კვლევის ცენტრს. აღმოჩენილი მასალების სიუხვემ, უნიკალურობამ და ისტორიისათვის განუზომლად დიდმა მნიშვნელობამ უკარნახა მას რაიონის

ხელმძღვანელობასთან ერთად ებრძოლა ვანის არქეოლოგიური მუზეუმის ასაგებად, რომელიც დააპროექტა არქიტექტორმა გიორგი ლეჟავამ, თუმცა იმ დროისათვის მისი განხორციელება ვერ მოხერხდა. ამიტომ 1983 წელს ედუარდ შევარდნაძის ვანში სტუმრობისას რაიონის ხელმძღვანელმა ნოდარ ანდრიაძემ და ბატონმა ოთარ ლორთქიფანიძემ მოკრძალებულად ითხოვეს არმოჩენილი ექსპონატებისათვის მაქსიმუმ თრი ფინური ბინის გამოყოფა. თუმცა იქვე შეახსენეს, რომ კარგა ხანია არსებობდა არქეოლოგიური მუზეუმის შესატყვისი პროექტიც. საკითხი დადებითად გადაწყდა. დაიწყო ახალი, სპეციალური, მუზეუმის აგების სამუშაოები და დასრულდა 1985 წელს. შენობა აგებულ იქნა ვანის საკოლმეურნეობათაშიროს სამშენებლო ორგანიზაციის მიერ და პარალელურად რაიონის ხელმძღვანელთა ინიციატივით, რაიონის სახრებით. აქვე აგებულ, იქნა დაკიდებული ხიდი, რომელმაც მუზეუმი ნაქალაქართან დააკავშირა.

ოთარ ლორთქიფანიძის უშუალო ხელმძღვანელობით დაიგეგმა და დაიწყო საექსპოზიციო სამუშაოები, რომელშიც ჩართული იყვნენ არქიტექტორი გურამ ყიფიანი (დღეს პროფესორი, ციხესულორისარქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი) ნოდარამაშუკელი. სარესტავრაციო სამუშაოებს ანარმობდა იგორ ქირია. ამდენად ახალაშენებულ მუზეუმში ექსპოზიციას დაეთმო მესამე და მეოთხე სართულები, რომლებშიც განთავსდა ძვ. წ. ა-ის. VIII- I საუკუნეებით დათარიღებული მასალები. გამოიფინა უძვირფასესი კოლხური ოქრომჭედლობის ადგილობრივი და იმპორტული კერამიკული ნიმუშები, ნუმიზმატიკა, უდიდესი ოსტატობით შესრულებული ბრინჯაოს პლასტიკა, არქიტექტურული დეტალები, თიხის ქანდაკებები, საბრძოლო იარაღები და ა. შ. ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან აქ გადმოიტანეს არქეოლოგიური მასალები, ხოლო ყოფილი მუზეუმის პირველი სართული დაეთმო მხარეთმცოდნეობის მასალებს, მეორე სართული, დაეთმო სამხატვრო გალერეას.

მუზეუმი გაიხსნა 1985 წლის სექტემბერში. იგი გახსნა საქრთველოს ცკ-ს პირველმა მდივანმა ბნ. ჯუმბერ პატიაშვილმა და ლენინგრადის ერმიტაჟის დირექტორმა აკადემიკოსმა- პორის პიოტროვსკიმ. სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოს მაშინდელი მთავრობის თანამდებობის პირები და საზღვარგარეთელი მეცნიერები: ესპანეთიდან მარია ბლასკესი და ჰაინე ალვარი, იტალიიდან -ეტორე ლეპორე, გერმანიიდან ველთაგან შელერი, რუსეთიდან ა. მილიუკოვა, ტ. არსენიევა, ა. კოროვინა, ა. აფანასიევი, საქრთველოს მეცნიერებათა აკადემიიდან შ. ძიძიგური, ნ. ლომოური, დ. ხახუტაშვილი და სხვები. იმავდროულად რაიონის ხელმძღვანელთა ძალისხმევით ვანში დასრულდა ოთხვარსკვლავიანი 104 -ადგილიანი სასტუმრო „არგოს“ მშენებლობაც.

ექსპედიციის ხელმძღვანელმა ბატონმა ოთარ ლორთქიფანიძემ გადაწყვიტა მსოფლიოს არქეოლოგთა მესამე სიმპოზიუმი, რომელიც შავიზღვისპირეთის პრობლემებისადმი იყო მიძღვნილი, წყალტუბოდანვანშიგადმოეტანა. ასერომ, ყოველნაირი პირობა შეიქმნა სიმპოზიუმის ჩატარებისთვის და მასში მონაწილე მეცნიერთა მომსახურების უზრუნველსაყოფად.

სიმპოზიუმები, რომლებიც ტრადიციად იქცა, ხელს უწყობდა მეცნიერებს ერთად განესაზღვრათ, დაედგინათ ანტიკური პერიოდის ქალაქ—სახელმწიფოების ურთიერთობა კოლხეთთან, თუ რა როლს თამაშობდა კოლხეთი იმდროინდელი მსოფლიოს კულტურულ-სავაჭრო ურთიერთობებში.

სიმპოზიუმი ყოველ სამ წელი დამტკიცებული ერთხელ იმართებოდა ვანში. ამ სამეცნიერო ურთიერთობამ გააღვივა და გააფართოვა მსოფლიო მეცნიერთა ინტერესი ვანის მიმართ. ხელი შეუწყო კოლხური კულტურის პოპულარიზაციას. ბატონი ოთარი აირჩიეს მსოფლიოს შვიდი ქვეყნის აკადემიის საპატიო წევრად და კოლხეთის ისტორიის საკითხებზე მიწვევით კითხულობდა ლექციებს გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, ინგლისში, საბერძნეთსა და ა. შ. იმავე საკითხებზე მისი ნაშრომები გამოიცა უცხოურ ენებზე. ასე დაფუძნდა ვანში პირველი არქეოლოგიური მუზემი, რომელიც დღეს მისი დამაარსებლის, ოთარ ლორთქიფანიძის სახელს ატარებს. წლების განმავლობაში მის გვერდით მუშაობდნენ მეცნიერები რ. ფუთურიძე, გ. ლორთქიფანიძე, გ. ლეჟავა, კ. თოლორდავა, მ. მიწიშვილი, ბ. მჭედლიშვილი, ა. ჭყონია, ნ. მათიაშვილი, ნ. კილურაძე, თ. ჯავახიშვილი, ე. გიგოლაშვილი, ი. ცუხიშვილი, მ. ავალიანი, დ. კაჭარავა, ო. ლანჩავა, მ. ფირცხალავა, გ. ყიფიანი, დ. ახვლედიანი, ვ. ლიჩელი, გ. კვირკველია, გ. ინაური, ი. ქირია, ნ. ამაშუკელი და სხვა. ექსპედიციას გვერდით ედგნენ და სამუშაოებში ჩართული იყვნენ მუზეუმის თანამშრომლებიც.

მუზეუმის გახსნიდან დაიწყო ტურისტების მასობრივი შემოსვლა, მაგრამ 1986 წელს, როცა ვანი ჩართეს საკავშირო ტურისტულ მარშრუტში, კიდევ უფრო გაიზარდა

დამთვალიერებულთა რაოდენობაც. ვანში ტურისტები შემოჰყავდა წყალტუბოს, ბათუმის, ლანჩხუთის, ქუთაისის, სხვა რაიონებისა და ქალაქების საექსკურსით ბიუროებს. საქართველოს ხელისუფლების ინიციატივით ხშირად სტუმრობდნენ უცხოელები, ელჩები და საელჩოთა წარმომადგენლებიც.

1987 წელს მუზეუმის გამოფენას დაემატა ბრინჯაოს, ხოლო ერთი წლის შემდეგ ოქროს საცავი, რომლებმაც კიდევ უფრო გაამდიდრა ექსპოზიცია და მოიზიდა არქეოლოგით დაინტერესებული სპეციალისტები.

პოპულარიზაციის მიზნით გერმანიაში გამოფინეს ძვ. წ. აღ.VIII- VII საუკუნეების თიხის ქანდაკებები, ხოლო საბერძნეთის ქალაქ სალონიკში 1997 წლისთვის გამოიფინა თიხის ჯამები, ბრინჯაოს და ოქროს ნივთების ასლები. გამოფენამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა უცხოელ სპეციალისტებში. ალბათ არაერთ მნახველს ახსოვს ძვ. წ. II-I ს. ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც არა მარტო ისტორიული ღირებულებით, არამედ ნატიფი ხელოვნებითაც ანცვითორებდა მათ. იგი ოქროს ნივთებთან ერთად ჯერ ევროპაში, მოგვიანებით კი აშშ-ში გამოფინეს, სადაც სამასი ათასზე მეტმა დამთვალიერებელმა მოინახულა. თბილისში დაბრუნების შემდეგ ეს განძი ეროვნულ მუზეუმშია გამოფენილი და ალბათ, ვანის მუზეუმის რეკონსტრუციის შემდეგ დაუბრუნებენ ვანს.

მუზეუმმა 1991- წლიდან 2004-2005 წლამდე გაიარა ურთულესი პერიოდებიც. განვითარებულ ცნობილ მოვლენებს თან მოჰყვა ექსკურსიების შემცირებაც. კრიმინოგენური მდგომარეობის უკიდურესი გაუარესების შედეგად აშკარა გახდა მნიშვნელოვანი ექსპონატების დაკარგვის საფრთხე, ამის გამო მუზეუმის ძვირფასეულობა შეფუთეს, შენიღბეს, ჯერ ადგილობრივ ბანკში, ხოლო შემდეგ თბილისში უსაფრთხო ადგილზე გადამალეს. მუზეუმში დარჩენილი საინტერესო მასალები გადატანაც სახიფათო იყო. ელექტროენერგიის მუდმივად გათიშვის გამო ჭირდა ექსპოზიციის დათვალიერება. შეწყდა დაფინანსება. ვანის ექსპედიციაში სამუშაოები ტარდებოდა თითქმის მარტო ენთუზიაზმით. ამ ბაზაზე უფრო მოგვიანებით ვალიკო ახვლედიანის ეზოში აღმოჩინეს გვირაბი და საფორტიფიკაციო ნაგებობანი.

ოთარ ლორთქიფანიძემ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გერდარ ჰენკელის ფონდში წარადგინა პროექტი. პროექტმა გაიმარჯვა და ექსპედიციას გამოეყო 150000 ევრო. ბატონი ოთარის გარდაცვალების მეორე დღეს ამ ფონდიდან მოვიდა ცნობა, რადგან ეს თანხა ბატონ ოთარს ეკუთვნოდა, ფონდმა მისი სახელის პატივსაცემად ეს თანხა ექსპედიციას შეუნარჩუნა და ქალბატონი დარეჯან კაჭარავა, რომელიც ოთარ ლორთქიფანიძის გარდაცვალების შემდეგ აირჩიეს ექსპედიციის ხელმძღვანელად ხუთი წელი მუშაობდა ამ გრანტით და მნიშვნელოვანი აღმოჩინის მონმენიც გავხდით. 2003 წელს აღმოჩენილი იქნა ძვ. წ. IV ს. კოლექტიური სამარხი და ბრინჯაოს ქანდაკება დიონისეს გამოსახულებით. 2004 წელს ისევ ძვ. წ. IVს. მდიდრული სამარხი. საგანგებოდ ამოჭრილ თირის სამარხში აღმოჩენილი იქნა პირქვე დამხობილი ბრინჯაოს 18 სმ. სიმაღლის სამკაულებით მორთული ქანდაკება, რომელიც ძვ. წელთ. აღ III ს-თაა. დათარიღებული და მიგვანიშნებს რიტუალური დაკრძალვის წესრჩეულებაზე ანტიკურ ვანში. მასალები გადაიტანეს თბილისში, მანამდე კი ორდღიან გამოფენაზე ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა დაათვალიერეს ეს საინტერესო ექსპონატები.

2007 წელს ექსპედიციამ შეისყიდა ი. ცაბაძის ეზოს პატარა ნაკვეთი. რომლის შესწავლა 2006 წლიდან დაიწყო და ხელმძღვანელობდა დიმიტრი ახვლედიანი, უსწორმასწოროდ გაჭრილ თირის ორმოში აღმოჩინეს სიჩქარის გამო მოურიდებლად ჩაყრილი ბრინჯაოს ინვენტარი, ტაძრის გასანათებელი ბრინჯაოს ხუთპატრუქიანი ჭრაქები ეროტის ქანდაკებით და სპილენძის სარიტუალო ჭურჭელი, ტაძაში დასაჯდომი სარეცელის ფეხები, რკინის ისრისპირები, აგრეთვე ბრინჯაოს ჭრაქი, არნივის მიერ მოტაცებული განიმედის და სირინოზების გამოსახულებით. ამ აღმოჩენამ დიდი ინტერესი გამოიწვია მეცნიერებში.

2007 წლის აღმოჩენების შემდეგ არქეოლოგიური სამუშაოები ვანში ფართო მასშტაბით არ ჩატარებულა თუ არ ჩავთლით შევიცარიელი ქალბატონის, კეტრინის, ექსპედიციას, რომელთანაც მეცნიერული სამუშაოები ჩაატარა დ. ახვლედიანმა. ხოლო 2013 წელს პროექტში გამარჯვებულმა ნანა მათიაშვილმა თავის უბანზე განაახლა მუშაობა.

როგორც ვხედავთ, დიდი აღმოჩენების მონმენი ვიყავით. ქალაქი, რომელიც 7-8 ჰექტარს მოიცავს, გარშემორტყმული იყო ღრმა ღელებით. ეს ტერიტორია საგანგებოდ იყო შერჩეული თავისი სტრატეგიულობის გამო. ქალაქს ძვ. წ. II ს-ში, გალავანი ჰქონდა გარშემორტყმული. ეს ის დროა, როდესაც ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი საკულტო და რიტუალურია, რომელ-

შიც საკულტო წესებს ქურუმები განაგებდნენ. გარეთა ნაწილი კი დასახლებულია. ამიტომაც შესასწავლი ტერიტორია საკულტო ქალაქზე მნიშვნელოვნად დიდია. დაახლოებით ორჯერ აღემატება სამლოცველო - სარიტუალო ქალაქ-ცენტრს, რომელიც გარშემორტყმულია გალავნებით. დღეს ამ ნაწილს პროფესორ გურამ ყიფანის ხელმძღვანელობით შეისწავლის ექსპედიცია და ადგენს მის საზღვრებსა და მნიშვნელოვან ორგანულ ნაწილს.

უკანასკნელმა აღმოჩენებმა ვანის ნაქალაქარზე ნათელი გახადა, თუ რა როლს თამაშობდა ანტიკურ სამყაროში ძეველი ვანი. ის დაკავშირებული იყო იმდროინდელ ცივილიზებურ მსოფლიო სახელმწიფოებთან, რაზეც მეტყველებს აქ აღმოჩენილი იმპორტული, სხვადასხვა კუთხით დან შემოტანილი საკულტო თუ საყოფაცხოვრებო ინვენტარი.

ნაქალაქარის ნახევარი თითქმის არ არის შესწავლილი, რაც იმას გვავარაუდებინებს, რომ შესწავლის შემდეგ შეასაძლებელია მრავალ საიდუმლოს აეხადოს ფარდა და დიდი აღმოჩენების თანამონანილენი გავხდეთ. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ექვთიმე თაყაიშვილმა ივარაუდა ვანის დიდი მომავალი და საინტერესო აღმოჩენები, რაც შემდგომში ცხადყო არქეოლოგიურმა გათხრებმა. ამის გამოც ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის სახელი დაკავშირებულია ვანის არქეოლოგიური გათხრების დასაწყისთან.

ვანის არქეოლოგიური მუზეუმი 2005 წლამდე საქართველოს ძეგლთა დაცვის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო 2006 წლიდან ის ახალშექმნილი ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაშია, რომელსაც აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს.

უხვი და საინტერესო მასალები, რომლებიც უკანასკნელ წლებში იქნა აღმოჩენილი ვანის ნაქალაქარზე, ის დიდი ინტერესი, რომელიც გამოიწვია კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშების საზღვარგარეთ მოგზაურობამ და გააჩინა ინტერესი ვანის გათხრებისა და აღმოჩენების ადგილზე გაცნობასთან დაკავშირებით გახდა წინაპირობა დაგეგმილიყო ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეკონსტრუქცია. ასეთ ვითარებაში რეკონსტრუქცია და მასში ექსპოზიციის განახლება აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობამ დააინტერესა მსოფლიო ბანკი, რომელმაც აილო ვალდებულება მუზეუმის მთლიანი რეკონსტრუქციის შესახებ.

2012 წლის ივლისში საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებისა და ეროვნული მუზეუმის შეთანხმების საფუძველზე დაიწყო ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ევაკუაცია. აგვისტოს ბოლოს მითითებული სამუშაო დასრულდა. დაცლილი შენობა გადაეცა სამშენებლო კომპანია „სანი-2“-ს. ეს ის დროა, როდესაც საარჩევნო კამპანია ძალაში შედიოდა და ნაციონალური მოძრაობა ცდილობდა მასების ყურადღების მიპყრობას. მათივე მითითებით სასწრაფოდ მოშალეს სახურავი და შენობა ჩაისვა ხარაჩოებში. მას შემდეგ უკვე ორი წელია მუზეუმი ასეთ დღეშია, კომპანია გაკოტრდა, მუზეუმი კი ახალი ტენდერის მოლოდინშია. რომლის ადმინისტრაცია ამჯერად არქეოლოგიური მუზეუმის ბაზაზე იმყოფება, სადაც პირველ სართულზე განლაგდა მუზეუმიდან გადატანილი მასალები, ძვირფასი ლითონები, ნუმიზმატიკა. ქანდაკებები და სხვადასხვა ექსპოზიციი გადაიტანეს ეროვნული მუზეუმის ფონდებში. აღნიშნული სიძეველები მუზეუმის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, როგორც სჩანს კვლავ დაუბრუნდება ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს.

და ბოლოს, ყურადღებას ერთ მნიშვნელოვან დეტალზე გავამახვილებთ, ესაა გათხრებისა და არქეოლოგიური მუზეუმის ეროვნულ — საგანმანათლებლო დატვირთვა. აღმოჩენილი მასალები, კვლევები, გამოფენები, სამეცნიერო სიმპოზიუმები, შეხვედრები ემსახურება ვანის და აქედან სრულიად საქართველოს უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის წარმოჩენებას. ქართველობაშ უნდა გააცნობიეროს თავისი ქვეყნის უზარმაზარი და უზადო კულტურული მემკვიდრეობის ფესვები, გაუჩნდეს ეროვნული სიამაყის გრძნობა, უნარი მისი დაცვისა და გაკეთილშობილებისა, რათა ქართველმა საქართველოში, მის გარეთაც ქართველად იგრძნოს თავი და ყველგან შეინაჩუნოს ღირსების გრძნობა. ამ ფენომენის ჩამოყალიბებასა და წრთობას ემსახურება ყოველივე ის რაზეც ზემოთ იყო საუბარი, ეროვნული ცნობიერების გაღვივებას ემსახურება გათხრებზე მომუშავე მეცნიერთა და მუზეუმის თანამშრომელთა შეხვედრები ექსკურსანტებთან მაღალკურალიფიციური საუბრები ძველი და ახალი საქართველოს ისტორიაზე, რომ ის, რაც აქ არის და რითაც ვამაყობთ, ჩვენი წინაპარების თავდადებით, დიდი პროფესიონალიზმითა და საქმის სიყვარულითაა შექმნილი. დრო იცვლება, მოვლენები ერთმანეთს ცვლიან, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ „ვისი გორისა“ ვართ, რას ვაკეთებთ ერის, მამულის, მისი წარსულის, დღევანდელობისა და მომავლის წინაშე.

## ავთანდილ ნიკოლებიშვილი

„ძველი მრავილი . დანგრეული სანაოები“...  
(ნაწყვეტი მონოგრაფიიდან: „ტიციან ტაბიძე. ცხოვრება და შემოქმედება“)

1927 წელს გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსში ტიციან ტაბიძე წერდა:  
ერთი ოცნების, ერთი გვარის ვართ ტყუპის ცალი,  
ერთად ლპებიან ჩვენ მამების კუბოს ფიცარი.  
ორპირის ფშანის ერთად ვწოვეთ ჩვენ უუმურები  
და ლექსებითაც ერთმანეთს არ დავემდურებით...  
გაუყოფელი დაგვრჩა ეზო, სახლი და კარი,  
რიონის ტალღად დაგვედევნა სიტყვა ანკარა,  
ერთია ჩვენი სამუდამო ხაშმის ემბაზი,  
ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით.

იმ დროს, როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, ქართული ლექსის „ევროპული რადიუსით“ გამართვის პროცესი გალაკტიონისა და ტიციანს თითქმის დამთავრებული ჰქონდათ. მართლია, მათი შემოქმედება მომდევნო წლებშიც მრავალი პოეტური შედევრით გამდიდრდა, მაგრამ ქართველი მკითხველისათვის უკვე იმხანადვე წარმოადგენდა უდავო ჭეშმარიტებას ის ფაქტი, რომ ერთ ფუქეზე ამოზრდილი გალაკტიონისა და ტიციანის ლექსები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ პოეზიაში. მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო დროის მანძილზე ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა და გადაფასდა, მათი შემოქმედებისადმი გამოვლენილი ინტერსში კიდევ უფრო მძაფრდება და ფართოვდება.

ტიციან ტაბიძეზე, როგორც პოეტური სიტყვის დიდოსტატზე, ბევრი თქმულა და დაწერილა ჩვენშიც და უცხოეთშიც; მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მისი პოეზიის იდუმალი არსი ჯერ კიდევ არ არის სათანადო შეცნობილი და საჭირო სიღრმით გააზრებული.

გალაკტიონისა და ტიციანის წინაპრები მე—19 საუკუნის დამდეგს ჩამოსახლებულან ჭყვიშში ხონის მაზრის სოფელ ივანდიდიდან. იმერეთის მეფეს, სოლომონ მეორეს, მათი წინაპრისათვის —— გიორგი ტაბიძისათვის —— უბოძებია „წყალობის წიგნი“, რითაც ირკვევა ჩამოსახლების დრო და მიზეზი. ასე იწყება ჭყვიშის ტაბიძეთა საგვარეულო ისტორია.

კოლხეთის ფართოდ გაშლილ დაბლობზე, რიონის პირას, გაშენებული სოფელი ჭყვიში, მსგავსად ახლომახლო მდებარე სხვა სოფლებისა, მალარიისა და ციების ბუდეს წარმოადგენდა. ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებანი სამუდამოდ აღიბეჭდნენ ტიციანის მეხსიერებაში და მისი შემოქმედების განუყოფელ ნაწილად იქცნენ.

ნოდარ ტაბიძემ გალაკტიონზე დაწერილ თავის საინტერესო წიგნში („გალაკტიონი“, 1982 წ.) მდიდარ ლიტერატურულ მასალაზე დაყრდნობით კარგად დაახასიათა გასული საუკუნის დასასრულის სოფელი ჭყვიში, რომელიც იმხანად ქუთაისის მაზრაში შედიოდა და სამტრედიის საბოქაულოს ექვემდებარებოდა. სხვადასხვა გარემოებათა წყალობით, სოფელი თანდათანობით დაცლილა მოსახლეობისაგან. ეს პროცესი განსაკუთრებით დაუჩიქრებია სარკინიგზო კვანძად სამტრედიის გახდომას.

მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, გალაკტიონისა და ტიციანის მშობლები, მათი წინაპრების მსგავსად, ბოლომდე შერჩნენ მშობლიურ კუთხეს და არსად გადასულან საცხოვრებლად. მართალია, გალაკტიონისა და ტიციანის მომავალი ისე წარიმართა, რომ მათ წინაპართა ნაფუძარზე არ გაუგრძელებიათ ცხოვრება, მაგრამ მშობლიური კუთხისადმი სიყვარულს ორივე მათგანი ატარებდა სათუთად მთელი სიცოცხლის მანძილზე. სწორედ ამ სიყვარულის ანარეკლია მათი არაერთი შესანიშნავი პოეტური ქმნილება.

სადაც არ უნდა ვლიდეს  
ეს საპარო გემი,  
მაინც ფაზისის კიდეს  
უვლის ოცნება ჩემი,-

წერდა გალაკტიონი ერთგან, ხოლო ტიციანი ამბობდა:

- ყველა პანთეონს, თუ მერგება, თვითონ დიდუბეს,  
მე ვარჩევ მაინც ჩემ ორპირის გამომპალ უბეს...

ტიციანის წინაპრები მღვდელმთავრები ყოფილან. მღვდელი იყო გიორგი ტაბიძეც, რომელიც, როგორც ითქვა, გასული საუკუნის დამდეგს გადმოსახლებულა ჭყვიშში. აქედან მოყოლებული, მღვდელმსახურება თაობიდან თაობას გადაეცემოდა („არ დალეულა ჩვენს მოდგმაში ჯერე მლოცველი, გადახდილ წირვის დათვლა თვითონ ღმერთს დააბერებსო“, — წერდა პოეტი ერთგან) და ეს ტრადიცია არც ტიციანის მამას დაურღვევია.

პოეტის მეხსიერებას სამუდამოდ შემორჩენია „დაღვრემილი საყდრის“ ხატება, როგორც საგვარეულო გერბი მისი წინაპრებისა. ამის შესახებ ტიციანი ხშირად საუბრობს, როცა მამასა და ბავშვობისდროინდელ შთაბეჭდილებებზე წერს. ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ თუნდაც ასეთი მაგალითი მისი პოეზიიდან:

გრძელია უამი, მღვდელმსახურობს

რაც ჩემი გვარი.

ვინ დათვლის წირვას, რაოდენი  
გამოიყანეს.

ახლაც ეზოს წინ დაღვრემილი

მოსჩანს საყდარი,

ეს გერბი არი ამაყ მგოსანს

რომ დამიხატეს.

ლოცულობს მამა მწუხრის ლოცვას,

მუნჯად ვუცქერი,

ფსალმუნი სულში შეფრინდება

და იმარხება.

შავ ანაფორას მეწამული

გადაკრავს ფერი

და ვხვდები ახლა, თუ ქალდეა

რად მენატრება.

ტაბიძეთა საგვარეულო ისტორია ყურადღებას იქცევს მწიგნობრობითაც. ამ თვალსაზრისით მრავალ საგულისხმო ცნობას ვპოულობთ როგორც გალაკტიონისა და ტიციანის ჩანაწერებში, ისე მათ, ბიოგრაფთა მიერ მიკვლეულ დოკუმენტებში. „ჩემი წინაპრები —— მამის მხრით, —— იგონებს ერთგან გ. ტაბიძე, —— იყვნენ მწიგნობრები. დაწყებული XIV საუკუნიდან კი განუწყვეტელი რიგით, თაობიდან თაობაზე მოდის საგვარეულო ეკლესიისადმი ფანტასტიური, შეუცვლელობით უერთგულესი მღვდელმსახურება“.

ეს საგვარეულო ტრადიცია ვასილმაც და იუსტინემაც —— გალაკტიონისა და ტიციანის მამებმაც —— გააგრძელეს. მათ დიდი წვლილი შეიტანეს თავიანთი სოფლის კულტურულ — საგანმანათლებლო დონის ამაღლების საქმეში. ისინი უანგაროდ ზრუნავდნენ მოსახლეობაში სწავლისადმი ინტერესის გასაღვივებლად და თავიანთი ხარჯით შეძენილი წიგნებით ამარაგებდნენ ბავშვებს. ამ მზრუნველობის დასტურად აქ გავიხსენებ გალაკტიონის სტატიას —— „შენიშვნები ერთი წერილის შესახებ“, რომელშიც საუბარია 1888 წელს ვასილის მიერ ძმისადმი გაგზავნილ ბარათზე.

აი, ფრაგმენტი ამ წერილიდან: „მოგეხსენებათ, ჩვენ გვაქვს საეკლესიო სამრევლო სკოლა, რომელზედაც ცნობა კიდევაც წარდგინდა, ვისდამიცა ჯერ იყო. ამ სკოლების მონაფეებთა შორის არის იმისთანა მონაფენი, რომელიც არიან მომზადებული მეორე განყოფილებისათვის და მომზადებული არიან რუსულზე სასწავლოდ და კიდევაც დავაწყებინე. ჩემდა და ჩემს მონაფეთა სამწუხაროდ, აღმოჩენდა ერთი ხელის შემშლელი გარემოება. შემოიღეს, როგორც სახალხო სკოლებში, აგრეთვე მათი წაბაძვით, სამრევლო სკოლებში სასწავლო წიგნი „რუსკოე სლოვო“... ვერსად ეს წიგნი ვერ ვიპოვე სასყიდლად. ქუთაში ჭილაძების მაღაზიაში არ არის. ბევრის ხვეწნით და მუდარით თავს ვერ შეგაწყენ: სამ მანეთს გიგზავნი, ამით მიყიდე წიგნები, ზემო აღნიშნული შვიდი ეგზემპლიარი და მერვეც მისი რუკოვოდსტვოც, თუ იქნა დაბეჭდილი... რაც შეიძლება, საშობაოთ დაჩქარებით გამომიგზავნე, შეგირდები მიცდებან...“

ეს წერილი მნიშვნელოვანი დოკუმენტია იმ ზრუნვის დასტურად, რითაც ძმები მშობლიურ კუთხეში სწავლა — განათლების საქმის მოსაწესრიგებლად იღვნოდნენ სავსებით უანგაროდ.

როგორც გალაკტიონის მიერ წერილისთვის დართული კომენტარებიდან ჩანს („რა სჩანს ამ წერილიდან?“), ვასილი „ცოტათი ოფიციალური“ ტონით მიმართავს იუსტინეს.

მაგრამ პოეტის სხვა ჩანაწერებიდან ნათელი ხდება, როგორი სიყვარული და პატივისცემა ჰქონიათ ძმებს ერთმანეთისა. ერთ თავის ბიოგრაფიულ ესკიზში („მამაჩემი“) გაღაერთიონი, აღწერს რა დედისგან მოთხოვობილ ამბავს მამის სიკვდილის შესახებ, საგანგებოდ იხსენებს იმ სიტყვებს, რითაც მომაკვდავ ვასილს დაუმშვიდებია მეუღლე: „არა გიშავს რა, იუსტინე (მაზლი) კარგი კაცია, შენ ნუ დაიმჩნევ“.

თუმცა აქვე ისიც სათქმელია, რომ რძალ—მაზლის ურთიერთობაში დროდადრო გარკვეული ნინააღმდეგობანიც იჩენდა ხოლმე თავს. ეს, ეტყობა, იმითაც იყო გამოწვეული, რომ იუსტინე მაკრინესა და მის შვილებს ყოველთვის ვერ უწევდა საჭირო მზრუნველობასა და მატერიალურ შემწეობას. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა გ. ტაბიძის ერთი პატარა ჩანაწერი —— „ქუთაისში გამგზავრება“, რომელშიც პოეტი ასეთ ფაქტს იგონებს:

„მახსოვს: მე - პატარა, დედაჩემი და ბიძაჩემი ვართ ბიძის აივანზე, ბიძა წამოწოლილი სკამლოგინზე. მე და დედაჩემი ფეხზე ვდგევართ.

- კარგი, მიდიხართ, მიგყავს ბავშვი ქუთაისში. შენ მას იქ თავს უნდა დაადგე. აქ სახლს რას უშვები?

- სახლს ჩავკეტავ. შიგ მაინც არაფერია ისეთი.

- არის. ვიცი, რომ არის.

- სახლი თქვენი სახლის ნინა დგას. თქვენ მიხედავთ ხოლმე.

- არაფერსაც არ მივხედავ. არავითრი საშუალება თქვენ არა გაქვთ, რომ ბავშვი აღზარდოთ. დარჩით სოფელში. ბავშვი ნურსად მიგყავთ. ეს არის ჩემი რჩევა.

—არ შემიძლია. საწყალი ვასილის (მამაჩემის) სიკვდილის ნინ უკანასკნელი სიტყვები იყო: „ბავშვებს მიხედე, ბავშვები გაუნათლებელნი არ დატოვო; ჩემი ძმა იუსტინე დაგეხმარებაო...“

მახსოვს დედაჩემს თვალთაგან ცრემლები გადმოსკდა.

—მე არაფრის დახმარება არ შემიძლია. მე თვითონ საშინელ გაჭირვებაში ვარ.

—მე თქვენ არაფერსა გთხოვთ, — უპასუხა დედაჩემმა, — მე მხოლოდ რჩევისათვის მოგმართეთ.

აღარ მახსოვს, რა უპასუხა ბიძაჩემმა“.

იუსტინე ტაბიძე (1860—1919 წწ.) ფრიად წიგნიერი და განათლებული პიროვნება ყოფილა, რასაც ნათლად ადასტურებს გ. ტაბიძის მოგონებები ბიძაზე. იგი კარგად იცნობდა ქართული კულტურის ისტორიას და თაყვანს სცემდა ჩვენი ერის სასიქადულო შვილებს.

იუსტინე ტაბიძის ფართო განსწავლულობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მას ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დაუმთავრებია, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარიაში გაუგრძელებია სწავლა, სადაც დაკავშირებია ხელისუფლების ნინააღმდეგ მებრძოლ პირებს და გატაცებით ჩაბმულა არალეგალურ საქმიანობაში. იგი ერთ—ერთი აქტიური წევრი ყოფილა მოწაფეთა იმ ჯგუფისა, რომლის წარმომადგენელი იყო მოსწავლე ლალიაშვილი, რომელმაც 1886 წელს სიცოცხლეს გამოასალმა სემინარიის შავრაზმელი რექტორი ჩუდეცკი.

ამის გამო, სხვებთან ერთად, ი. ტაბიძეც გარიცხეს სასწავლებლიდან. იგი ერთ ხანს სოფელში ბრუნდება, შემდეგ კი კვლავ თბილიში ჩადის და მუშაობას იწყებს სასამართლო უწყებაში. 1891 წელს იუსტინე ქუთაიში გადავიდა, მღვდლად ეკურთხა და სოფელში გამწესდა.

თავდაპირველად ის თურმე კატეგორიული წინააღმდეგი ყოფილა მღვდლობისა, რაც იმითაც იყო განპირობებული, რომ გამორიცხულ სემინარიელებს შეფიცული ჰქონდათ, არც ერთი მათგანი სასულიერო სამსახურში არ შესულიყო. ამ ცნობას ტიციანის ძმა სიმონი გვაწვდის თავის მოგონებაში. „მამაც ამ მიზეზით ამბობდა უარსო, —განაგრძობს იგი. —მაგრამ პაპა სტეფანე ჯიუტობდა. იგი ხშირად მიდიოდა ქუთაისში შვილთან და ეხვეწებოდა, რომ მღვდლად კურთხეულიყო. ხალხიც მიუჩინა“. (იხ. გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, საქმე № 244596).

მაგრამ არაფერი გამოდიოდა. იუსტინე გადაწყვეტილებას არ იცვლიდა. მაშინ სტეფანეს ხერხი უხმარია: ქუთაისში მყოფი შვილისთვის სოფელში მიმავალს გაცილება უთხოვია, რიონის ნაპირას რომ მისულან, უთქვამს, თუ ჩემს თხოვნაზე არ დამეთანხმები, ახლავე წყალში გადავვარდები და თავს დავიხრიობო. იუსტინეს კარგად ცოდნია მამის ხასიათი,

რასაც იტყოდა, უთუოდ შესარულებდა თურმე, შეშინებია და თანხმობა მიუცია. გახარებულ მამას მაშინვე წაუყვანია იუსტიციე ეკლესიაში და მღვდლად უკურთხებიათ.

სოფლად გამწესებული ახალგაზრდა მოძღვარი აქტიურ მოღვაწეობას შედგომია. ორი წლის განმავლობაში სამრევლო სკოლის შენობა აუგია, გზები გაუყვანია, ეკლესია შეუკეთებია და ხელმეორედ მოუხატავს.

იუსტიციე უკურნალისტურ საქმიანობასაც ეწეოდა. მისი კორესპონდენციები და პუბლიცისტური წერილები დროდადრო ისტამბებიდა XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პერიოდიკაში. იუსტიციეს ლიტერატურული გატაცების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ტიციანი. „მთელ თავის სიცოცხლეში,— წერს პოეტი მამამისზე, — იგი თაყვანს სცემდა რუს სამოციანელებს — ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვს, დ. პისარევს და სიცოცხლის ბოლომდე ზეპირად ახსოვდა მთელი ნეკრასოვი. მაგრამ მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ცდებიდან არაფერი არ გამოვიდა.“

მიუხედავად ლიტერატურულ საქმიანობაში ნაკლებწარმატებულობისა, იუსტიციეს მაინც არ შეუწყვეტია მაშინდელ უკურნალ—გაზიეთებში თანამშრომლობა. მისი პუბლიცისტური წერილებისა და კორესპონდენციების შინაარსს ძირითადად განსაზღვრავდა თანასოფლელთა ყოფა—ცხოვრების აღწერა—დახასიათება, ქართველი გლეხების საფიქრ—საწუხარი, მაშინდელი სწავლა—განათლების საჭიროობო საკითხები.

თანასოფლელებს სათანადოდ დაუფასებიათ იუსტიციეს საგანმანათლებლო და სამღვდელმსახურებლო ამაგი და გარდაცვალების შემდეგ, 1919 წელს, სამრევლო კრების გადაწყვეტილებით, ნიშნად დიდი პატივისცემისა, იგი სოფლის წმინდა გიორგის ეკლესის გალავანში დაუკრძალავთ.

ტიციანის დედა — ელისაბედ ოქროპირის ასული ფხაკაძე (1865—1951 წწ.) მახლობელი სოფლიდან — ფარცხანაყანევიდან ყოფილა. ელისაბედს ექვსი ქალი და ერთი და ჰყავდა. ორ ქალს სასულიერო აკადემია ჰქონიათ დამთავრებული, სამს — სემინარია. ერთი ქალი — ნესტორი — სტავროპოლის სასულიერო სემინარიის რექტორი იყო.

ელისაბედს, მიუხედავად იმისა, რომ თავად სკოლაში არ უსწავლია, კარგად სცოდნია წერა—კითხვა. იგი მეტად გამრჯე და ჯანიანი ქალი ყოფილა. „შვილები ძალიან უყვარდაო,— იგონებს სიმონი,— მაგრამ არც ერთ შვილს მისი კოცნა არ გვახსოვს. ვერასოდეს ვერ გავიგებდით მის უკმაყოფილებას ან კმაყოფილებას. იყო პირდაპირი და პირში მთემელი. თავის მოგონებებში ტიციანი დედას „ოთარაანთ ქვრივს“ უწოდებდა.

ელისაბედსა და იუსტიციეს ხუთი შვილი ჰყოლიათ: ტიტე (ტიციანი), სიმონი, იოსები, სონია (სოფიო) და ქეთევანი. ტიციანი ყველაზე უფროსი ყოფილა. „დედამო, — აგრძელებს თავის მოგონებას სიმონი, — იცოდა ძველი ზღაპრების მოყოლა. განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. იცოდა უამრავი გამოცანები, თვლასაც იგი გვასწავლიდა... მართალია, პედაგოგი არ იყო, მაგრამ თვლა და წერა—კითხვა ბავშვებმა მისგან ვისწავლეთ“.

ტიციანი დედის ამაგის დიდად დამფასებელი იყო. ლექსებსა და წერილებში პოეტი ხშირად გამოხატავს თავის განსაკუთრებულ პატივისცემას დედისადმი. აი, რას წერდა, მაგალითად, იგი 1917 წელს მოსკოვიდან გამოგზავნილ ბარათში დედას:

„მე თუ რამეს წარმოვადგენ ქვეყანაზე, ეს სულ ერთიან შენი შემწეობით, შენი მძლეობით და ჭურის დარიგებით.

მომაგონდა ჩემი სტუდენტობა და მოსკოვში სწავლა, მომაგონდა შენი წერილები და დაიმედება, რომ სწავლა არ დამეგდო — თუმცა მამა ავად იყო.

მე ვერასოდეს ვერ გადავიხდი შენს ამაგს და სიყვარულს. მაგრამ როდის ყოფილა, რომ შვილს დედის ამაგი ერთბაშად გადაეხადოს. დედა იმიტომ არის დედა, რომ სიყვარულით იყოს მუდამ. მაგრამ შენ სხვა დედებშიც გამოირჩევი: გულმაგარი, კეთილი და გამრჯე, მეოჯახე.

თუ მერგო წილად ხალხის დაფასება და სიყვარული, ეს სულ შენ გეკუთვნის. მე რომ შენსავით შრომა და მუყაითობა შემეძლოს, ბევრჯერ მეტს გავაკეთებდი, მაგრამ მამისაგან გამოყოლილი გულის სისუსტე მიშლის მეტ მუშაობას.

ჩემო საყვარელო დედიკო, მე არაფერი ისრე არ გამახარებდა, ერთი შენ დამჭერარ ძებულებს ვაკოცებდე და შენ გამრჯე და პატიოსან ხელებს ცრემლებით დავკოცნიდე. მაგრამ იცოდე, შენზე უფრო არავინ არ მიყვარს ქვეყანაზე და არც არავინ ლირს ასეთ სიყვარულად“.

ტიციანი ზაფხულობით ხშირად ეწვეოდა თურმე საყვარელ სოფელს. „შუაცეცხლზე შემომდგარი, მძიმე ჯაჭვზე ჩამოკიდებული ქვაბის ყურება ქვეყანას ერჩივნაო, —იგონებს პოეტის მეუღლე.—აქ, ცეცხლთან, პატარა მაგიდას დაუდგამდნენ ხოლმე, სამფეხა სკამზე ჩამოჯდებოდა და ასე მიირთმევდა კერძს...“

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში აშკარად იგრძნობა კულტი მდინარე რიონისა, მისი სახლიდან სულ რაღაც ასიოდე მეტრის დაშორებით რომ ჩამოედინებოდა. გალაკტიონთან ერთად, ბავშვობაში, იგი მთელ დღეებს მდინარის პირას ატარებდა. სახლთან ახლოს ერთი მომცრო კუნძული ყოფილა, რომელიც განსაკუთრებით ყვარებიათ ბიძაშვილებს, ზაფხილის ცხელ დღეებში თურმე ხშირად განმარტოვდებოდნენ ამ მყუდრო კუნძულზე და თავდავიწყებულნი ეძლეოდნენ სიყმანვილის ფერად ოცნებას.

შშობლიური მდინარისადმი ეს რომანტიული სიყვარული ბოლომდე გაჰყვათ გალაკტიონსა და ტიციანს. ამის დასტურია მათი შემოქმედების არაერთი ნიმუში. გავისხენოთ, მაგალითად, ფრაგმენტი ოლია ოკუჯავასადმი გაგზავნილი გალაკტიონის ერთი წერილიდან:

„წარმოიდგინე სოფელი, ქალაქის დროვინვას და მოუხეშავ ცხოვრებას დაშორებული, შორი, თვალუწვდენი მინდვრები, იქით კიდევ მუდმივი მწვანით შემოსილი მთები. ახლა მინდვრებზე სულ სიმინდია დათესილი. ალაგალაგ გაუვალი ტყეებია, მათ სიგრილეში დასვენებას და ოცნებას არა სჯობს—რა. ჩვენი სახლის მახლობლად, სულ 40 საუენზე, მდინარე რიონი ჩამოდის. მე და ტიტე (ტიციანი — ა. 6.) დღეში სამჯერ ვპანაობთ ხოლმე შიგ. დილას, შუადღისას და საღამოს, ვკითხულობთ ერთად წიგნებს, რაც კი გაგვაჩნია. შეღამებისას გავალთ რიონს გალმა ყანებში, დავსხდებით რიონის პირზე ვერხვის ძირში, გვაქვს თან დოქით ღვინო, თან ვსვამთ და თან ვსაუბრობთ....“

მთვარე ამ დროს მაღლა სივრცეზე ასული; ნიავი ქრის, რიონის ზვირთების ბუტ-ბუტი არღვევს მყუდროებას.

შემდეგ მივსეირნობთ ნავით. ვერ წარმოიდგენ, რა საუცხოო რამაა ნავით სეირნობა მთვარიან ღამეს.“

შშობლიურ კუთხეს ტ. ტაბიძე, როგორც წესი, ორპირის სახელით მოიხსენიებს ხოლმე. ისტორიული ორპირი, რომელიც მდინარეების — რიონისა და ცხენისწყლის შესართავთან მდებარეობდა, დროთა მსვლელობის შედეგად გაპარტახდა. პოეტის ლექსებსა და მინიატურებში კონტრასტული საღებავებითაა დახატული საყვარელი სოფლის სპეციფიკური პეიზაჟები, რომლებიც სავსეა კოშმარული ქიმერებითა და ბავშვური მოჩვენებებით. ჭლექი, ციება, მალარია, გადაშენება, ადგილის დედას დაპატრონებული უუმური და ჭინკა, დანგრეული სანაოები, ჭაობიან ფშანებში მოყიყინე ბაყაყები, აშმორებულ გუბებსა და შხამიან ნოყოებში მომრავლებული ყანჩები — აი, როგორ აღიბეჭდა მშობლიური კუთხე და ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებანი პოეტის შემოქმედებაში.

აზრისა და განწყობილების ამდაგვარ გამოხატვას თავის განმსაზღვრელ დალს ასვამდა სიმბოლისტური ესთეტიკით ნაკარნახევი მოთხოვნებიც. ტიციანი თვლიდა, რომ სწორედ ეს იყო ის ახალი პოეტური სამყარო, რომლის წარმოსახვაც მის უმთავრეს შემოქმედებით დანიშნულებად უნდა ქცეულიყო. აი, ამ სამყაროს ტიციანისეული ხილვის ორიოდე ფრაგმენტი:

ძველი ორპირი. დანგრეული  
სანაოები.

ეწყება მთვარეს ხაშმიანი  
ცხელების სრესა.

მამის ოლარზე ობობების  
ქსელი მოება.

ღამეა თეთრი და შავია  
ქალდეას მესასა...

ატირდნენ ერთად ბაყაყები  
დამშრალ ფშანებში.

თითქო ახველებს ჭლექის ხველით

Miss Lea Lee-s,

თითქო ყანჩები გაერიენ

ფარშავანგებში.  
მიბორგავს მთვარე, ყვითელ  
საბანს მიასრიალებს...

ან კიდევ:

ორპირი ლპება ——როგორც ლეში ლევიაფანის,  
რიონის ფშანებს აედევნენ გრძელი ყანჩები.  
მოილუნება ჩემი სული —— წნელი ლაფანის,  
მხოლოდ ყანჩები —— ჭაობების მჭლე ლამანჩები.  
ჩამორჩენილან ბაყაყები მღვრიე ბუშტებში,  
იმათაც სცივათ ამონგრეულ ნოყო ბუდეში.  
მოაქვს ნოემბერს გაციება, სურდო, ანთება  
და დილიუანსით აქ სეზონი ჩამობრძანდება.  
პირველი სიტყვა საქართველოს, ქება სამშობლოს,  
დღეს იმერეთის მდარე ღვინოც დამათრობს ბოლოს,  
სცივა ქვეყანას, როგორც ზამთრის ნაგვანებ კრუხს,  
თუ დამიჯერებთ, ჩემი სული მხოლოდ ამას სწუხს.

უურნალ „მეოცნებე ნეამორებში“ (1922 წელი. № 7) დასტამბულ წერილში — „ორპირის ოქროპირი მალდარორი“ ტიციანი შეეცადა მკითხველისათვის გასაგები გაეხადა იმუამინდელი მისი პოეტური შთაგონების მთავარ იმპულსებად ქცეული ამ გატაცების არსი, ეჩვენებინა, რატომაა კულტირებული მის ლირიკაში ორპირი, ოქროპირი და მალდარორი.

„ორპირი, — წერს პოეტი, — ეს ძველი სახელია. ოდესლაც აქ იტვირთებოდნენ შუა ზღვისკენ მიმავალი გემები, სიმინდით, წაბლით, ყავრებით და ბევრი კიდევ სხვა საგნებით, რომელნიც ეხლა გამოვიდნენ ხმარებიდან. დღესაც ამ ადგილს დარჩენილა დანგრეული სანაოები და დიდი ბეღლები... დღეს ამ მხარეს ანათებს მარტო მალარია და შეიძლება მარტო ამისთვისაც იყოს გამართლებული პოეზიაში. ეს რაც შეეხება ორპირს. ოქროპირს კი რაც შეეხება, ესეც ადვილი ასახსნელია, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც არ არის სხვა პირი გარდა ოქროსი, განსაკუთრებით პოეტებში. ამიტომ შეიძლება ეს ასახსნელი არც იყოს, მითუმეტეს, რომ ეს სრულებითაც არ არის მეტაფორა.

მთავარი საქმე, მაშასადამე, არის მალდარორი. მაგრამ ეს სიტყვა სრულიად არ არის ქართული. არც ეს მოეთხოვება ვინმეს უთუოდ იცოდეს — მალდარორი.

მალდარორი პოეზიის თუ ლიტერატურის ისტორიაში ისეთი პიროვნებაა, როგორც პამლეტი და როგორც ფაუსტი. ლოტრეამონის იმ წიგნს სადაც პირველად ალაპარაკდა მალდარორი, ჰქვია „Poesiae“.

ავტორები, რომელნიც გულწრფელად არიან განწყობილი ლოტრეამონთან, ამბობენ, რომ მთელ საპალნე ტომებს წმიდა და დასრულებულ წიგნებისას არ გაცვლიან ამ სომნამბულა პოეტის ნახევრად შემლილ სტიქონებზე. პირადად მეც ყველა მონოლოგებს ყველა ტრაგედიებისას არ გავცვლიდი ამ ყვითელ გომბეშოს ატირებაზე, რადგან ეს არის კოსმიური ორეული თვითონ პოეზიის, პოეზიის გილიოტინაზე, სადაც ჯალათი თვითონვე პოეზიაა“.

ორპირზე დაწერილ ლექსებში სათუთი ფერებით იძერწება მარტოშენილი დედის სახე. „მომაგონდება ორპირის ფშანი, დედის ბუძუსთან ვწოვდი უუმურებსო“, — წერს პოეტი. წვიმით დამპალ და უუმურებით სავსე ამ მშობლიურ პეიზაჟთა ფონზე სანთელივით ანთია მიმქრალი ხატი დედისა, რომელსაც ამ ქვეყანასთან დამაკავშირებელ ძალად მხოლოდა შვილის მოლოდინი და დაღუპული ქმრისთვის საკურთხის წადგმა გადაქცევია: „ვიცი: ყოველდამ აცხობ კვერებს დაღუპულ ქმარზე, დაკარგულ შვილზე, ყველა დაშორდა დავსებულ კუთხეს და მარტო დავრჩით გამოტირილზე“.

ძველი ორპირის სიყვარული თუმცა სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია პოეტს, მაგრამ ოციანი წლების ბოლოდან მის შემოქმედებაში აშკარად იცვლება მშობლიური კუთხისადმი დამოკიდებულება და კოლხეთზე დაწერილ ნაწარმოებებში უკვე მთავარი ხდება ამ მხარის ეკონომიკური აღორძინებით გამოწვეული სიხარულის გამოხატვა.

## გალეაზ ერქვანიძე

ეთნომუსიკოლოგი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი.

### ვანის მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციები ზოგად შრიღვი

ქართულმა ხალხურმა მუსიკამ კარგა ხანია დაიმკვიდრა ლირსეული ადგილი მსოფლიო კულტურის ისტორიაში. ქართველმა ერმა, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, შექმნა დამოუკიდებელი მუსიკალური ენა და ორიგინალური მუსიკალური აზროვნება, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი მრავალხმიანობაა. 2001წელს იუნესკომ ქართული მრავალხმიანი სიმღერა მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედევრად აღიარა.

ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, საქართველო მრავალფეროვანი დიალექტური სპექტრის მქონე ქვეყანაა. მრავალფეროვანია ამ კუთხეების მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციებიც - „გვაჯვს უთვალავის ფერითა“. თუმცა კილოთა და ფორმათა სიჭრელე ხელს არ უშლის ქართული მუსიკალური ენის ერთიანობას; მეტიც - მუსიკალური დიალექტები ერთმანეთშია გადაჯაჭვული: კახური სიმღერა არ იარსებებდა იმერულის გარეშე, გურული - მეგრულის, რაჭული- სვანურის და ა.შ...

იმერეთი საქართველოს ერთ-ერთი დიდი ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონია. ამ კუთხის ფოლკლორი საკმაოდ მრავალფეროვანია, იმერული სიმღერა კი ერთიანი ქართული მუსიკალური ფოლკლორის ორგანული შემადგენელი ნაწილია.

იმერული მუსიკალური დიალექტი გარკვეულწილად გამყოფიცაა და აღმოსავლეთ-დასავ-ლეთ საქართველოს ფოლკლორული ტრადიციების გამაერთიანებელიც. მასთან ყველაზე მეტ სიახლოვეს ქართლის, რაჭის, სამეგრელოსა და გურიის მუსიკალური დიალექტები ავლენს. მე საგანგებოდ მოვეძნე უმეტესად იმერულ - გურული, ხოლო შემდეგ იმ-ერულ - მეგრული, იმერულ - ლეჩეუმური და იმერულ - ქართლური იდენტური სიმღერების პარალელები. ამ სიმღერების ერთმანეთთან შედარებისას ზოგჯერ ცალსახად ვერც კი გაავლებ პარალელს, იმდენადაა სახეშეცვლილი ორი იდენტური სიმღერა - ტემპის, რიტ-მული ნახაზის თუ შესრულების განსხვავებული მანერის შედეგად. თუმცა, თუ კარგად დააკვირდები, ადვილად დარწმუნდები მათს იდენტურობასა და ერთიან წარმომავლობაში, ეს კი, თავის მხრივ, ერთიანი ქართული ტრადიციისა და ზოგადქართული მუსიკალური ენის არსებობის მყარი არგუმენტიცა.

იმერული მუსიკალური დიალექტი პირობითად იყოფა ზემო და ქვემო იმერულ კი-ლოკავებად. ზემო იმერულ კილოკავს, მოსაზღვრე ეთნოგრაფიულ რეგიონებთან საერთო მახასიათებლების გამო, გარდამავალ დიალექტურ ერთეულადაც განიხილავენ.

ქვემო იმერულ სიმღერას (განსაკუთრებით ბარის იმერეთის ფოლკლორს) გაცილებით ნაკლები აქვს საერთო ზემო იმერულთან, ვიდრე მეგრულთან და განსაკუთრებით, გურულთან.

იმერეთში გვხვდება მრავალხმიანობის ყველა ტიპი: ბურდონული, ოსტინატური, სინქრონული, თავისუფალ-კონტრასტული. შესრულების ფორმებიდან დამახასიათებელია ერთ-პირულობა, ორპირულობა - ორგუნდოვნება (განსაკუთრებით ნადურ და მაყრულ სიმღერებში), ტრიო-გუნდის მონაცვლეობა, ხოლო სიმღერა.

პოლიფონიური აზროვნება იმერულ სიმღერებში იმდენად განვითარებულია, რომ ხშირად ხმები გადაკვეთს ერთმანეთს. ბანი იმერულ სიმღერებში მოძრავია, ბევრად მოქნილი და განვითარებული: როგორც ცნობილი ლოტბარი ბენია მიქაძე იტყოდა, „იმერული სიმღერის ბანი იმღერისო“.

ყველაზე ახლოს ერთმანეთთან იმერული და გურული მუსიკალური დიალექტები დგანან. XIX საუკუნის 80-იან წლებამდე იმერული და გურული ფოლკლორი დაახლოებით ერთ დონეზე იყო განვითარებული. ეს ცხადი ხდება იმერული და გურული სადა და გამშვენებული სიმღერების ერთმანეთთან შედარებისასაც. ფორმით ერთი და იგივეა, მაგალითად, გურულ-იმერული „ალილოები“, „მრავალუამიერები“ და სხვა. ზოგიერთი სიმღერა მუსიკალურად იდენტურია და მხოლოდ ტექსტი აქვთ განსხვავებული, ზოგი

კი ერთი და იგივე ჟანრის, მუსიკალურად ერთმანეთის მსგავსი ნიმუშებია. ამიტომაც ხშირად მოისმენთ მომღერლების კამათს: იმერლები ამბობენ - გურულებმა წაიღეს, ბიძია, ჩვენგან სიმღერებიო; სანაცვლოდ გურულები ირწმუნებიან - იმერლებმა რა იციან სიმღერაო... ამის მოსმენა ფრიად სახალისო და ლიმილის მომგვრელია. სიმართლე კი ისაა, რომ ამ ორი რეგიონის უამრავ სიმღერას ერთი და იგივე ძირი და წარმომავლობა აქვს.

ეს მსგავსება ნაკლებად ეხება ნადურებს: ზოგადად დასავლეთ საქართველოს ყველა ნადური ერთნაირი დინამიკით ვითარდება; მუსიკალურად კი, თუ შევადარებთ ერთმანეთს იმერულ-გურულ, ან იმერულ - მეგრულ ნადურებს, ბევრ საერთოს ვერ დავინახავთ. აქ გამონაკლისია ვანის რაიონის იმ სოფლების ნადურები, რომლებიც ესაზღვრებიან გურიის მთიან სოფელ სურებს. მაგალითად სოფ. ყუმურისა და სურების ნადურებს თითქმის ერთნაირი მელოდიკა და სტრუქტურა აქვთ. თავის მხრივ სურების ნადური განსხვავდება ე.წ. გურულ-აჭარული ნადურებისაგან.

მრავალი გარკვეული თუ გაურკვეველი მიზეზის გამო მეოცე საუკუნეში, განსაკუთრებით კი მის მეორე ნახევარში იმერული სიმღერა ჩრდილში მოექცა. ქალაქის მეორეული ანსამბლების რეპერტუარში იყო მხოლოდ რამდენიმე იმერული სიმღერა. ძირითადად მღეროდნენ „ცხენოსნურსა“ და „მგზავრულს“. შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს იმერლები ცხენზე ჯდომის და მგზავრულის მღერის მეტს არაფერს აკეთებდნენ. მეოცე საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ქართულ სინამდვილეში გამოჩნდა სამტრედის უხუცესთა ანსამბლი „სანავარდო“, ცოტა ხნის შემდეგ, ბორჯომის საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულ ფოლკლორულ კონცერტებში გაიბრნებინა ავთენტიკურმა ფოლკლორულმა ჯგუფმა ვანის რაიონის სოფელ ყუმურიდან. მე წილად მხვდა ბედნიერება ძალიან ახლოს მედევნებინა თვალყური ამ ორი უნიკალური ჯგუფის მოღვაწეობისადმი. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ამ ორმა ანსამბლმა აღუდგინა დაკარგული ლირსება არა მარტო ქვემო იმერულ, არამედ ზოგადად იმერულ სიმღერას. „სანავარდო“-მ წარმოადგინა საზოგადოებისათვის სრულიად უცხო და მივიწყებული უნიკალური სიმღერები დახვეწილი გემოვნებითა და დარბაისლური საშემსრულებლო მანერით, ხოლო ყუმურის ფოლკლორული ჯგუფის მიერ შესრულებული „ნადური“, რომელიც ფართო მსმენელმა პირველად ბორჯომში მოისმინა, იყო ნამდვილი „გლეხური“ სიმღერისა და ხალხური საშემსრულებლო მანერის ფეიერვერკი. ეს ნადური უდაოდ ერთ-ერთი საუკეთესოა ზოგადად ქართულ ნადურებში. ყუმურის გუნდს ხელმძღვანელობდა შესანიშნავი ლოტბარი და მთქმელი გივი ჭაფოძე. სხვათა შორის, ეს გუნდი იყო საქართველოში ბოლო ვინც ცოცხლად ასრულებდა ნადურს ყოფაში - ყანის თოხნისას.

1850-იანი წლებიდან ქალაქ ქუთაისში წარმოიშვა და თანდათან თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა ქართული ქალაქური სიმღერების იმერულმა შტომ. მეტიც - ზოგან ისე გაბატონდა, რომ ტრადიციული გლეხური რეპერტუარიც კი დაჯაბნა. ეს ტენდენცია საერთოდ არ შეხებია ვანის რაიონის ფოლკლორს. ამ რაიონში ბოლო დრომდე შეურყვნელად მოიტანა თავისი კუთხის მუსიკალურ - ფოლკლორული ტრადიციები. ვანის ტრადიციული სასიმღერო მუსიკალური ენა განსაკუთრებულ სიახლოეს ავლენს გურულთან; თუმცა აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ რომ ქართულ ფოლკლორში იმერული სიმღერის ვანის კილოკავს გამორჩეული ადგილი აქვს: განუმეორებელი კოლორიტით, სიმღერების ორიგინალური ვარიანტებით, საშემსრულებლო ხერხებითა და მანერით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია სოფლები: დუცხუნი (ყუმური), ტობანიერი და სულორი. ეს სოფლები მუდამ სამართლიანად იწვევდნენ სპეციალისტთა ინტერესს. 1980-90-იან წლებში არაერთი ფოლკლორული ექსპედიცია მოეწყო, მათ შორის ჩემ მიერაც და გამოიცა კიდეც აქაური ფოლკლორული ჯგუფების აუდიოჩანაწერები. 2000-იან წლებში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ხმის ჩამნერი მოძრავი სტუდიით ჩაიწერა ყუმურის, სულორის, „სულორისა“ და ტობანიერის „ადილას“ რეპერტუარი. ამ ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში, ბუნებრივია შეიცვალნენ, შემსრულებლები თუმცა რეპერტუარი ძირითადად ტრადიციული, ადგილობრივი შენარჩუნდა.

**დუცხუნის (ყუმურის) სიმღერები**

„ჩვენ მშვიდობა“, „ნადური“, „მაყრული“, „დათვმა ლხინი“, „სატრფიალო“, „თაგვის სიმღერა“, „სიმღერა ბახმაროზე“, (ბახმარომ თინი მიყო), „სიმღერა ყუმურზე“.

**სულორის სიმღერები:**

„ალმართული“, „ალილო“, „ჩვენ მშვიდობა“, „მაყრული“, „ნადური“, „ბატონების ნანინეი“, „ყაჩალი დვალიშვილი“, „მე შენ გელი“.

**ტობანიერის სიმღერები:**

„შვიდკაცა სუფრული“, „მაყრული“, „2 ვარიანტი“, „პატარა საყვარელო“, „შეღმართული“ (იგივე ალმართული), „ეიევო“, „მხედრული“, „ნანინა სუფრული“, „ჯარიანობის სიმღერა“ (იგივე „სახუმარო“), „ბედი და ილბალი“, „ინწკირველი“ (იგივე თაგვის სიმღერა).

ერთხელ გივი ჭაფოძეს ვკითხე რას ნიშნავს შენთვის მრავალხმანი სიმღერა და რა აზრი და იდეა დევს ქართულ სიმღერაში - მეთქი ? მან დაუყოვნებლივ მიპასუხა: სიყვარული ! ჩვენ ვეთანხმებით და ვფიქრობთ, ქართული გალობა-სიმღერის უნიკალობის უმთავრესი საიდუმლო, განსაკუთრებულ მუსიკალურ ნიჭიერებასთან ერთად, ღვთისა და მოყვასის, მოციქულისამებრ გარდარეული სიყვარულია.

## აკაკი თევზაძე

ვანის რაიონის ქველი, ახალი და უახლესი ისტორიის, ეთნოგრაფიისა  
და ფოლკლორის კვლევის ცენტრის თანამშრომელი.  
პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი.

### ხალხური და ავტორმთელები ვანის რაიონის სოფლებიდან

ფოლკლორი ინგლისური სიტყვაა და ხალხურ ზეპირ შემოქმედებას წიშნავს. ამ სი-  
ტყვის ცნება შემდგომში საკმაოდ გაფართოვდა. ნებისმიერი ქვეყნის კულტურის ისტო-  
რიაში მას მეტად მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი მოიცავს  
როგორც სულიერ, ასევე მატერიალურ მოვლენათა სფეროს. ფოლკლორულად ითვლება  
ნაწარმოებები, რომელთაც ინდივიდუალური ავტორები არ ჰყავთ, სულერთია, რომელ  
უანრს მიეკუთვნება ესა თუ ის ნიმუში. ქართული ხალხური სიტყვიერების დაუცხრომელი  
შემკრები და მკვლევარი კოტეტიშვილი წერდა: „ხალხური პოეზია ზღაპრული ჭა არის  
- რამდენიც უნდა იღო წყალი, მაინც არაფერი აკლდება. ვინ იცის, რამდენი ძვირფასი  
პოეტური განძეული მოიპოვება ჩვენი ხალხის წიაღში “...

„ღმერთი რომ ერს, ქვეყანას მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე  
კაცს პოეზიის მადლით ცხებულსა. როცა ადამიანს სურს შეიტყოს ლირსება და დიდება  
ერისა, ყოვლთ უწინარეს ამას იკითხავს, - რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო.  
ლირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი “ ... - წერდა იღია.  
ამა თუ იმ ხალხის განვლილი ცხოვრების, მისი იდეალების, განცდების, ჭირ-ვარამის  
შესასწავლად არც ერთი დარგი ხელოვნებისა არ იძლევა იმდენ მასალას, რამდენსაც  
ხალხური ზეპირსიტყვიერება.

ბრძოლის ველზე მიდიოდა, გუთანს ეკიდა თუ საფიხვნოს თავში იჯდა, ჭირშიც  
მდეროდა და ლხინშიც ქართველი კაცი, ულექსოდ ერთი დღეც არ უცხოვრია. მეტად  
მრავალფეროვანი და მრავალმხრივია ქართული ხალხური პოეზია. ხალხმა შექმნა საუკე-  
თესო ნაწარმოებები უანგარო შვილებზე, სააშეარაოზე გამოიყვანა ყველა ორგული და  
მოღალატე, გულწრფელად უმდერა მამულისათვის თავდადებულ გმირებს...

შორსმჭვრეტელი და ყოვლისმხილველია ხალხის გონების თვალი. გულში ჩამწვდომი  
და უშუალოა მისი ყოველი სიტყვა. ხალხს არ უყვარს ბერების ტყველება. საერთოდ,  
ყოველი პოეტური სახე ნათელი და შთამბეჭდავია. შეუზღუდავია ხალხის ფრთალალი  
ფანტაზია. მისი აზროვნების წიაღში დაიბადა მრავალი მაღალმხატვრული ნაწარმოები,  
რომლებშიც შესანიშნავად არის ასახული ადამიანის სულის მოძრაობის ყველა ნიუანსი.  
ხალხის შემოქმედებითი გენის ნაყოფია ლექსები: „ვეფხვისა და მოყმის ბალადა“,  
„ბინდისფერია სოფელი“, „ზეცას შენ შუქურ-ვარსკვლავო“, „ეპა, განთიად აღსდგები“, „  
შემომეყარა ყივჩალი“ და ა.შ.

ხალხის მეხსიერების წყალობითაა შემონახული, იმათ „სულის ქურაში“ათასჯერ გად-  
ადნობილი და გადამუშავებული უმნიშვნელოვანესი ლირიკული თუ ეპიკური ზეპირ-  
სიტყვიერების ნიმუშები. მუდამუამს საშურ საქმედ ითვლებოდა ხალხური მთქმელების  
მოძიება და მათგან მასალების ჩაწერა. ვინ იცის, რამდენმა მთქმელმა საფლავში ჩაიტანა  
ხელიხელსაგოგმანები პოეტური სტრიქონები.

ფასდაუდებელია: ილიას, აკაკის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა- ფშაველას, ი. გოგებაშვი-  
ლის, პ. უმიკაშვილის, თ. რაზიკაშვილის, გ. ბაგრატიონის და სხვათა ღვაწლი ამ საშვილშ-  
ვილო საქმეში — ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებაში. ხალხის გენიალობის, მისი  
მძლავრი ხელოვნების, ამოუნურავი შემოქმედებითი ენერგიის უმაღლესი გამოვლინებაა  
ჯვარი, სვეტიცხოველი, ნიკორწმინდა ...

ხალხს ხელოვნების ყველა სფეროში უთქვამს თავისი სიტყვა და განსაკუთრებით  
კი— პოეზიაში. მოედინება საუკუნეთა წიაღიდან ეს უშრეტი წყაროსთვალი, გზადაგზა  
იწმინდება და კრისტალდება ობოლ მარგალიტებად.

რაიონში ფოლკლორული მასალების შეგროვებასა და შესწავლას XX საუკუნის 70-  
იანი წლებიდან მიექცა სათანადო ყურადღება. სარაიონო კულტურის სახლთან, გ.  
ტაბიძის სახლ-მუზეუმთან, გაზეთ „საჩინოს“ რედაქციასთან, XX საუკუნის 80- იან

წლებში კი განსაკუთრებულად მედიცინის მუშაკთა პროფესიონერების ვანის კულტურის სახლთან შეიქმნა და ფუნქციონირებდა ფოლკლორის სექციები, რომლებიც ერთგვარ ორგანიზებას უწევდნენ ამ დიდებულ წამოწყებას. პროცესში აქტიურად ჩაებნენ რაიონის სკოლების მასწავლებლები, მოსწავლეები, კულტურის დარგის მუშაკები, ცალკეული ორგანიზაცია-დაწესებულებების თანამშრომლები. მათი აღმოჩენილია არაერთი ხალხური მთქმელი, ავტორ-მთქმელი, საოჯახო ანსამბლი, მუსიკის ინდივიდუალური შემსრულებელი, ხალხური რეწვის ოსტატი, ფოლკლორული ჯგუფი. მოკვლეული და შეგროვებულია საკ-მაოდ მდიდარი ფოლკლორული მასალები: ლირიკულ-ეპიკური ნაწარმოებები, ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, ნაკვესები, ანდაზები, გამოცანები, შელოცვები, შაირები, გათვლები... რომელთა შესწავლა, დამუშავება, გამომზეურება მიმდინარეობდა და ამჟამადაც მიმდინარეობს. ამ საშვილიშვილო საქმეს დღესდღეობით კოორდინაციას უწევს და წარმართავს ვანის რაიონის ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი. მალე დაიბეჭდება კრებული, რომელშიც გარკვეული ადგილი დაეთმობა ადგილობრივი მთქმელებისა და ავტორმთქმელების ნაწარმოებების თემატურ-უან-რობრივი პრინციპით მიმოხილვას. გაზეთ „საჩინოს“ ფურცლებზე, როგორც ეს ადრე ხდებოდა, პერიოდულად გამოქვეყნდება ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშები, რუბრიკით „ხალხური საუნჯე“. მომზადდება გამოსაცემად წიგნი „ვანელი მთქმელები და ავტორმთქმელები“.

ვანის რაიონში რამდენჯერმე ჩატარდა ხალხური პოეზიის საღამო. ეს საღამოები უშუალო გამოძახილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქალაქში, რაიონში გამართული საღამოებისა, რომელთაც პროფესორი ვახუშტი კოტეტიშვილი უძღვებოდა. მე კარგად მახსოვს ბატონი ვახუშტის სტუმრობა ვანში და მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული პოეზიის საღამო (1985.6) რომელსაც უსწრებდა ჩვენ მიერ კულტურის სახლში გამართული ხალხური პოეზიის საღამო. თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურ საზრუნავად უნდა იქცეს რაიონში მცხოვრები ხალხური მთქმელების, ავტორმთქმელების მოძიება, მათგან მასალების ჩანერა-შეგროვება, რასაც, რასაკვირველია, დიდი სიფრთხილე და გულისყური სჭირდება. ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ისე უნდა ჩაიწეროს რომ დაცული იქნას მთქმელის ენობრივი კოლორიტი, თავისებურებანი. გაუმართლებელია ჩანერილი ფოლკლორული მასალების შეფერადება-შელამზება, ჩასწორება თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით. ამით დაგვეკარგება ის ძირითადი და მთავარი, რისი შემცველიცაა მოკვლეული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ამჟამად მიმდინარეობს ჩვენს ხელთ არსებული ადგილობრივი ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალების უანრობრივ-თემატური კლასიფიკაცია. კერძოდ, ცალ-ცალკე გამოიყოფა პატრიოტული, სატრადიციო, საგმირო (ომის თემაზე შექმნილი ლექსები და სხვა.) საყოფაცხოვრებო ლირიკა, თავისი მრავალხრივი წახნაგებით.

უპირველეს ყოვლისა, მინდა მკითხველს გავაცნო ვანელი მთქმელებისა და ავტორმთქმელების სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსები, ვაგრძნობინო მათი პატრიოტული აღტკინება, სულის ღაღადისი. ამ მოტივზე შექმნილი ხალხური ლექსები გვხიბლავენ თავიანთი სისადავით, უშუალობითა და აზრობრივი სიღრმით. ლოცვასავით ჩაგვესმის ლევან ადეიშვილის (შუამთა) პოეტური აღსარება:

„თუ ლოცვად მუხლმოყრილი ვარ-  
შენს თავს ვავედრებ გამჩენსა...  
ჩემი- მეწყერმაც წაილოს,  
შენი სახელი დარჩესა.  
ვალი ვერ გადაგიხადე,  
თუმც ოფლის ღვარი დამდისა,

სულაც არ ვითხოვ, მამულო,  
რომ ამამაღლო ცამდისა,  
ამ გულის ფეთქვაც ნიადაგ  
შენს მაჯისცემას ერთვისა,  
დაგჭირდე?- მიხმე, ქარცეცხლშიც  
დავიფერფლები შენთვისა!“

ხალხური მელექსე ჯანი დადუნაშვილი (ამაღლება) მამულისადმი მიძღვნილ ერთსტროფიან ლექსში ასე შთამბეჭდავად გადმოგვცემს თავის პატრიოტულ გრძნობას:

„მამულო, შენთვის კავკასიონსაც  
მხრებზე მოვიგდებ ,ვით ნაბადს-მწყემსი,  
ამას მავალებს ეს ცა, ეს მიწა,  
სატრადიციო გული და პატარა ლექსი“

ხალხური ლექსისთვის დამახასიათებელი სილალითა და სიმსუბუქით გამოირჩევა კარლო მეფარიშვილის (ტობანიერი) სამშობლოსადმი მიძღვნილი ეს სტრიქონები:

„მე ხოტბა რატომ შეგასხა?  
ან ქება რატომ გჭირდება?!  
ჩემი ხარ - მიტომ მიყვარხარ,  
შენთან რა გამიჭირდება?!  
ცაც მიყვარს, ზღვაც და ხმელეთიც,

მასთან სიცოცხლე მჭირდება ...  
რატომ გიყვარსო? -რომ მკითხონ,  
ნამდვილად გამიკვირდება,  
მოვკვდებით, მიწის შვილნი ვართ,  
იქაც სამშობლო გვჭირდება...“

არანაკლებ სულისშემძვრელი და ამაღლვებელია ავტორმთქმელ რუსუდან ადეიშვილის (დიხაშხო) ელეგიური ხასიათის ეს მშვენიერი სტროფი:

„ამ საფიცარ მთას და მდელოს  
ზურმუხტი რომ ჰყენია,  
ერთხელაც რომ ვერ შევხედავ -  
ვერ წარმომიდგენია .“

საინტერესო მასალები ჩავინწერეთ ავტორმთქმელ ნატო მეფარიშვილისაგან (ფერეთა). მას არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი სამშობლოსადმი. ,

„შენგან - ფიქრო და ოცნებავ,  
სიკვდილმაც ველარ გამყაროს,  
გიმღერი, ჩემი მგონია  
უკიდეგანო სამყარო .“

ეს თემა შემდგომში უფრო ვრცლად იქნება გაშუქებული.

ახლა მინდა გიამბოთ ვანში შექმნილ ხალხურ სატრფიალო ლირიკაზე. სიყვარულ-მა შექმნა მსოფლიოს მატერიალური და სულიერი კულტურის უიშვიათესი ძეგლები. „ქართული ხასიათი, ჩვენი კლასიკის (პირველ რიგში, რუსთაველის) მიხედვით, ბედნიერების მაძიებელი ხასიათია, ხოლო სიყვარული ამ ხასიათისთვის ბედნიერებით აღვსების უმწვერვალეს ფორმად წარმოდგება ... ქრისტიანობამ ბედნიერებისა და სიყვარულის საკუთარი მოდელი შექმნა“ (გ. ასათიანი).

კარგა ხანია ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ხალხურმა სატრფიალო ლექსმა „შემიყვარდა ერთი მერი“, რომლის სახეცვლილ ვარიანტს წარმოადგენს ლექსი „ბიქტორას ნათქვამი“ რომელიც ვენერა გოგიბერიძე-ხურციძისაგან 1983 წელს ჩაიწერა ირინე ხურციძემ.

„შემიყვარდა ერთი მარგო,  
ბედმა მეტი არც რა მარგო,  
ცხრა მთა, ცხრა ზღვა გადვიარე  
მისამართი რო გამეგო,  
მარა სახლში არ წამომყვა  
მერე გავიცანი ვერა,  
მივეფერე, მომეფერა,  
სხვა რამე რო დოვუპირე  
შიგ სიფათში მომაკერა...  
არა და რა ლამაზია  
როცა თვალებს მორცხვად ნაბავს,  
ჭრელ პეპლებით მოხატული  
უფრიალებს ჩითის კაბა.  
თვალს შევავლებ -მომიმატებს  
მე საცოდავს გულის ძერა,  
გამომხედავს - გულს წარმტაცებს  
ვითარცა კრუხს წინილს ძერა,  
ჰეი, სად ხარ ჩემო ვერა,

მისთვის მახე რო დამეგო.  
მერე შემიყვარდა მერი,  
იყო ჩემი შესაფერი,  
წელიწადი კვალში ვსდიე -  
ვერ გავაწყვე ვერეფერი.  
შენზე ფიქრმა დამაბერა.  
მერე შემხვდა ტურფა ლიდა,  
კოცნის მადა მომივიდა,  
რო არ გავქცეულიყავი,  
მოსაკლავად დანას შლიდა.  
ბოლოს მოვიყვანე კატო,  
თუმც არ ვიცი მაინც რატო,  
პირველ ლამეს საწოლიდან  
კისრიტებით გადმომაგდო  
- არაფერი შეგძლებია,  
შენთან როგორ დავწვებიო,  
მეტად რომ არ გავჯახირდე -  
სხვაც ბევრია კაცებიო.

ამ ლექსის გავრცობილი ვარიანტი ჩავიწერეთ სოფელ ონჯოხეთში მცხოვრებ შოთა ადეიშვილისაგან. ლექსი თავისი რიტმული წყობით, პოეტური ხერხებით, ძალიან ახლოს დგას ძირითად ტექსტთან:

„რატომ გავჩნდი ქვეყანაზე  
უბედური ამ ქვეყნისა,  
ზოგ-ზოგს ორი ცოლი ჰყავს და  
მე კი ერთიც არ მეღირსა.  
გზაზე შემხვდა ერთი ზინა,  
გოვუცინე, გამიცინა.  
რიდით ვკადრე - „გამომყევი“,  
მამის სული შემიგინა.  
კიდევ შემხვდა ერთი ლიზა,  
ვთქვი - ცოლობას ეს კი იზამს,  
ხელი ვთხოვე - დამიბლვირა,  
იკაპასა „ იკაპრიზა“.

მერე შემხვდა ერთი ვერა,  
მივეფერე, მომეფერა,  
როცა კოცნა მოვუნდომე,  
ლანძლვა მიწყო მან უშვერად.  
ბოლოს შემხვდა ვინმე სონა,  
მოვეწონე, მომეწონა,  
ცოლად როგორ მოვიყვანდი -  
ოქრო მთხოვა ჩემი წონა.  
ამიტომაც გადავწყვიტე  
ქვრივი ქალის შეყვარება,  
მაგრამ, ჩემი ცოდვით სავსე,  
ახლოს არვინ მეკარება.“

ზემოთ მოყვანილი ლექსი თავისი ფორმითა და სიტყვების ერთგვარი თამაშით გავს გურიაში კარგად ცნობილ ხალხურ „ჩარი-რამას“. ორივე ლექსში იგრძნობა მთემელის აზრისა და გრძნობის სიღალე, უშუალობა.

ვის არ ჰყვარებია, სიყვარულის გამო ვინ არ მისძალებია ღვინოს, მაგრამ სატრფოს ეშით მთვრალისათვის სასმელს შევება ვერ მოუტანია.

სიყვარულის მოტივზეა შექმნილი შუამთელი ავტორმთქმელის ლევან ადეიშვილის არაერთი ლექსი, მათ შორის მინდა გამოვარჩიო რამდენიმე, რომლებშიც იგი შესანიშნავად გადმოგვცემს თავის გულისნადებს, სურვილსა და სულიერ ექსტაზს:

„გუშინ რომ გზაზე შემომხვდი ოქროს საკინძი გეკეთა,  
შვლის ნუკრის დანაფეთები თვალები შემომეფეთა.  
მე, შენი ეშით დამწვარმა, ვერა ვქმენ რამე მეკეთა, -  
ნახველ, უსიტყვოდ გამშორდი მხარ-მკლავი ჩამომეკვეთა.“

ურიგოდ არც ეს ლექსი უღერს, ხორციელ სამოსელში გახვეული ზეშთაგონება „შიშველ ვნებას“ ამზეურებს :

„წყალსაც წაულია ყველაფერი:  
სახლი, კარი, ეზო და ქონება, -  
ოლონდ შენ მალირსე შემოგევლე,  
მაგ ტკბილ ტუჩ-ბაგეზე დაკონება.“

სიყვარულით შეჭირვებული კაცის განცდები ბრწყინვალედაა ასახული ამ პატარა ლექსშიც :

„ნახვა დამიძვირე, თავი მომანატრე,  
მოდი, ეგ თვალები მზისებრ მომანათე.  
ლამით ვერ ვისვენებ, ძილშიც მელანდები,  
ლამის შევიშალო - ისე მენატრები.  
ზამთარში — სიცხეები, ზაფხულში — შემცივნება,  
ასე სცოდნებია სიყვარულს შეჭირვება.“

მეორე ავტორმთქმელი შუამთელი გერმანე დვალიშვილი კი ასე უმღერის სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალას:

„მე სიძლერით უნდა მოვკედე - ასეთია ჩემი ბედი,  
შენს სიყვარულს ვუგალობო, თუმც, კეთილო, ქე დავბერდი.  
მიმატოვე, შენი სახე თვალწინ მიდგას ღვთაებრივი,  
თავს ამითი ვინუგეშებ - გულში ქველი ცეცხლი ღვივის.  
მომაწოდე ჩემი ჩანგი, მწველ გრძნობების შევსვა ბანგი...  
რა ყოფილა სიყვარული - სულის მახე და ხაფანგი.

ხალხურ კილოზეა დაწერილი და ძალუმად ვგრძნობთ განსაკუთრებულ სატრფიალო ექსპრესიას ნიჭიერი ავტორმთქმელის ელენე ქიმუცაძის ლექსში „შემომხედე ხანდახანო“. 50

ეს ნაწარმოები საკმაოდ მდიდარია შედარებებითა და ეპითეტებით:

ჩამოჰკარი ჩანგის სიმებს, შემომხედე ხანდახანო,  
გიშრისფერი კულულები სურნელს აფრქვევს ქარდაქარო.  
ნეტავ ვისთვის იფურჩქნები? ნეტავ ვისთვის ყვავილობო?!.  
მინდა ერთი ჭერი გვქონდეს, მინდა ერთი ღობე ვლობოთ.  
ცისფერ თვალთა სასოება მომაშუქე შვების მგვრელი,  
რომ როგორმე გავინელო გულის ცეცხლი დამდაგველი.  
უკვდავების წყარო მასვი მწყაზარო და ტანტატანო,  
ჩამოჰკარი ჩანგის სიმებს, შემომხედე ხანდახანო!“

ხალხურობის ბეჭედი აზის ელენე ქიმუცაძის სხვა ლექსებსაც, მათში მომეტებულად იგ-  
რძნობა ფიქრისა და აზრის სილალე, ქართული სიტყვის შნი და ლაზათი:

„რა გვარისა ხარ, ნეტავი? სახელს რას გეძახიანო?!-  
ნაზო ფერიავ, სიტურფით „მზის დასადარო, მზიანო.“  
თუ ასეთ ცეცხლს დამინთებდა მაგ წარბ-წამნამთა მარაო,-  
საბედისწეროდ გზაზედა სულ არ შემყროდი, არაო!“

სიყვარულის ამალლებულ და კეთილშობილურ გრძნობას, ქალის მშვენიერებას მიუძღვნა  
ოორამ ჩხაიძემ (ბზვანი) ეს მშვენიერი სტრიქონები:

„პირიმზევ, შენი დანახვა ტანში ურუანტელს მგვრისაო,  
ამ გულს ალმური ედება აგვისტოს ცხელი მზისაო.  
ედემ-სამოთხედ მეგულვის შენი სიტურფის ჩეროო,  
ენა ვერ დავიმორჩილე, რომ შენთვის დავიმღეროო.  
ირმისფეხებას ფარულად აგავლ - ჩაგავლებ თვალსაო,  
ნუ გეწყინება, გეთაყვა, თვალს ვალევინებ წყალსაო.“

ახლა ავტორმთქელ მარგალიტა ადეიშვილის (მიქელეფონი) ერთი სატრფიალო ლექსიც  
დავაჭაშინებოთ:

„ქალო, ტკბილად მოუბარო, ლამაზო და ხალიანო,  
გულში ცეცხლის დამნთებელო შემიყვარდი ძალიანო.  
მომეც შვება - სიხარულის ცრემლებმა რომ იღვარდვაროს,  
თუ სხვის გულში გედო ბინა, რად შემფიცე - „მიყვარხარო?!”

გულწელად უნდა განვაცხადო, რომ მთისძირელი ხალხური მელექსის კლადია  
ბუბუტეიშვილის სატრფიალო ლექსებსაც არ აკლია მარილი, სილალე და სიმსუბუქე:

სანამ დაგვითოვდაო, თებრო გაგვითხოვდაო,  
მოკლე კაბა ჩაიცვა, თუმცა გრძელიც ჰქონდაო.  
კარის მეზობლებშიაც ასე დადიოდაო,  
ქელეხშიაც ქე ვნახეთ, არც არაფერს ვცოდაო,  
ჭრელაჭრულა იმ კაბით აქაც კეკლუციობდაო,  
მკერდმოხატულ შველს ჰეგავდა სამი შვილის დედაო,  
ბარეორჯერ მეც დამრჩა თვალი იმაზედაო.“

საყოფაცხოვრებო ლირიკის ნიმუშებით მდიდარია ქართული ფოლკლორი. ხალხ-  
ური პოეზიის ოორმეტტომეულის VII — VIII და IX ტომები ძირითადად ასეთ ლექსებს  
მოიცავს. მასალაც ძალზედ უხვია: კაფია, შაირი, წუთისოფელი, სოციალური მოტივები-  
ბატონები, მოხელეები, მოჯამაგირეობა, სილარიბე, ობლობა, ჩარჩ-ვაჭრები; სამონადირეო,  
მწყემსური საოჯახო, საბავშვო.

კაფიის მშვენიერი ნიმუში ჩავინერეთ 1985 წელს ვანის რაიონის სოფელ შუამთაში.  
აქაური ხალხური მელექსეები სულიკო ბუბუტეიშვილი და სევერიანე ინასარიძე გაე-  
პაექრნენ ერთმანეთს.

-,,სევერო, ჩემო ძამია, რა დაგმართნია ესაო?!  
შიმშილით ძროხა მოგიკლავს გუშინ — შუამთას თქვესაო.  
ღვინოს „ბაკლებით“ რომ ურტყამ, იძახი: „ჩქარა-ჩქარაო,-  
ის არ გერჩია, ზამთრისთვის გქონდა ბზე და ჩალაო?!”

-,,სულიკო, ჩემო ბიძია, შენ როგორ მოგდის ესაო?-  
დღეში ათ მანეთს შოულობ, ოცს აძლევ ინსპექტორსაო.

მწამს - ბევრ რამეში კარგი ხარ, გიტარაც იცი, ნოტებიც...

დედა არ გყავდეს ცოცხალი, ალბათ, შიმშილით მოკვდები.“

ვაზი უხვადაა შექებული ქართულ ხალხურ პოეზიაში: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი“ - ამბობს უფალი. ნელსურნელებით იღვრება საუკუნეთა წიაღიდან ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი, სიცოცხლისა და უკვდავების საგალობელი - „შენ ხარ ვენახი“( დემეტრე I). ტანდაკორძილი, წვივებდაშაშრული, ოქროს მტევნებით დახუნდლული , ქალივით სათნო და მშვენიერი ვაზი, ჭეშმარიტად, სიმბოლოა მრავალჭირნახული საქართველოსი.

„ვაზო შვილივით ნაზარდო ულვაშებ გადგიგრებია,

ჩაჰკონებიხარ ჭიგოსა შუაზედ გადგიტებია.“

„ვაზო მოგივლი , მოგივლი, არ დაგაკლდება ხელია,

ისე მოგრთო და შეგკაზმო, როგორც საჯდომი ცხენია.“

„გენაცვალე ვაზის ძირო , შე ბრუნდე და შე ლამაზო,  
მინამ პირში სული მიდგა, შენი ძირი ვალამაზო.

ცოცხალი შენ შემინახე, მკდარიც უნდა მალამაზო.

„ჰე, ლმერთო, ქვეყნის გამჩენო, გამჩენო ვენახისაო;

იყავი ჩვენი მზრუნველი, ამ ჩვენი კოხტა ზვრისაო...“

მსგავსი უამრავი მაგალითის გახსენება შეგვიძლია. მართლაც რომ შვილივით დაჲ-ფოფინებდა და დაჲფოფინებს თავს ქართველი კაცი ამ ღვთაებრივ, წმინდა მცენარეს. მაინც რამდენი ფერება სჭირდება. ვაზი გამრჯელი კაცის შრომისმოყვარეობისა და ნებისყოფის გამოცდაა უთუოდ.

1980 წელს ვანის რაიონის სოფელ მთისძირში მხოვრებ ავტორმთქმელ ჭიჭიკო შენგელიასაგან ჩავიწერეთ ლექსი „ქება ვაზისა“. იგი არაფრით არ ჩამოუვარდება ვაზზე შექმნილ სხვა ხალხურ ლექსებს, მხატვრულობის თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესოა, თუმცა იგრძნობა ერთგვარი რემინისცენცია.

„ ვაზო, მშრომელ კაცს მოუხმობ, საქმე მომდგარა კარსაო,

ვით გულისსწორი გულისსწორს, ჩაჲკონებიხარ სარსაო.

საცაა უკვე იფეთქებ, ვენაცვლე მზისა ძალსაო,

დაიყვავილებ, დაისხამ, ვერ მოგაშორებ თვალსაო.

მუდამ შენს ძირში ვფუსფუსებ და ვხარობ შენი ზრდითაო,

დღითიდე დამშვენდებოდე, ქალ-პატარძალივითაო.

მტლად დაგედები შვილივით საფიცარ-სალოცავსაო,

ველარ იტევდეს მარანი ოქროსფერ მტევნის ხვავსაო .“

ვაზის მოვლა-პატრონობას დიდი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება, ერთ დროს ხუმრობით ვწერდი: „,კაცს რომ ვენახში არც გაუვლია და სადღეგრძელოს ამბობს მამულზე, ასე მგონია - დიდი ხანია ჩაქენეული აქვს ხელი ნამუსზე.“ მართლაც რომ ასეა: უცოდინარი კაცის გასხლული ვენახი იმის ნახევარ მოსავალს ვერ მოგვცემს, რაც უნდა მოვიდეს წესითა და რიგით. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ავტორმთქმელ ნიკოლოზ კიკვაძის (სალხინო) ლექსი „ვაზმა თქვა“.

„ვაზმა თქვა: ადრე ნუ გამსხლავთ თოვლი მაღნება თავზედა,

უცოდინარი ნუ გამსხლავს ცრემლი მადგება თვალზედა,

ვაი იმ მევენახესა, რო არცხენს მეზვრის სახელსა,

უშნოდ გადაჭრის ლერწებსა ვაზის დაკორძილ ტანზედა,

ვერ არჩევს რქას სამამულეს - რომელი დარჩეს შტამპზედა.“

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მამული ოდითგან ვენახიან აღგილს ერქვა. კარგად გაშენებული და მოვლილი ვენახით თავი მოჰქონდა ქართველ კაცს. რა დიდებული მამულის პატრონიაო - ხშირად გვსმენია მავანსა და მავანზე. კარგი მამულის მქონე ღირსეულ სასიძოდ ითვლებოდა:

„,სიდედრო, შავგვრემანობით არ დაიწუნო სიძეა, -

სოფელში მიდი , იკითხე გრძელი ვენახი ვისია.“

„ტყიდან გამორბის ნადირი, ფეხი აქვს ტალახიანი,

კაცი არ დაიწუნება, თუკია ვენახიანი.“

საქართველოში ვაზის 500-ზე მეტი ჯიში ხარობს. „მრავლდება თვალწინ დალოცვი-

ლის ათასი ჯიში, ასე მგონია ზოგჯერ - მართლაც ვაზიდან ვიშვით.“ უნებლიერ მახ-სენდება სიმღერა: „,ვაზის ფესვები ჩემი ფესვია, ქართული ლვინის ზღვა შემისვია, ზღვა შემისვია!“. მხოლოდ ვაზი იძლევა ბახუსის საყვარელ ამ ღვთაებრივ სითხეს, რომელსაც გონივრული მოხმარება უნდა, რომ ჭკუიდან არ გადაიყვანოს ჭკუათმყოფელი. ლვინოა ჩვენი ჭირისა თუ ლხინის სუფრის დამამშვენებელი, „ვინც ზომაზე არა ყლაპავს, სიმ-ნრით დაახველებს.“ უპრიანია, გვახსოვდეს ხალხური ლექსები ლვინოზე, ყურძენზე:

„ლვინოვ, შენ ჭაჭანაისძევ,  
უცეცხლოდ ამაზდულდები,  
ჭკვიანთაი ხარ სასმელი,  
უჭკოსთან ამაშულლდები.“

ამ და მსგავსი ლექსების გავლენით შეიქმნა ხალხური ავტორმთქმელის ილია ლეჟავას (ზედავანი) მშვენიერი პოეტური ნიმუში „, მე და ლვინო“:

„წავიჩუბეთ მე და ლვინომ, ხელჩართული გვქონდა ბრძოლა,  
ჭკუიდან გადამიყვანა და ავტეხე ქვების სროლა.

ვენახს ვუვლი, ლვინოს ვუვლი, მე ვარ მისი მამა-პაპავ.  
ან რატომ მწყენს მე არ ვიცი, ცოტასაც თუ გადავყლაპავ.

არ იქნა და ვერ შევთანხმდით - რომ არ მწყენდეს ჩემი ლვინო,  
კაკლის ჩრდილქვეშ უდარდელად აღარ უნდა მოვილხინო?!

ჯანმრთელობას ნუ შემირყევ, ნუ გახდები შიშის მგვრელი,  
პატრონი ვარ - გამიცანი, ნუ აიღე ჩემზე ხელი.

თუ დაგლიო ნამლად იქეც, ნარბი არც როს შეგიხარო,  
ჭკუიდან ნუ გადამიყვან - თუ გინდა რომ შეგიყვარო.“

**გაგრძელება შემდეგ ნომერში.**

## სოფო რამიშვილი

ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ - თანამშრომელი

30 წელი ახალი არმონავტების კოლეგი მოგზაურობიდან

30 წელი გავიდა, რაც „ახალი დროის არგონავტები“, კვლავ ეწვივნენ კოლხეთს. „თანამე-დროვე არგონავტთა“ ეს ლაშქრობა მიზნად ისახავდა იაზონის 33 საუკუნის წინანდელი მოგზაურობის მარშრუტის განმეორებას, არგონავტთა მითის რეალური და ისტორიული ფესვების ძიებას. მათ მოგზაურობას კოლხეთში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურისა და მისი ისტორიის ფართო პროპაგანდისათვის.

„თუ რაოდენ სახელგანთქმული იყო ეს ქვეყანა, ამას მოწმობს მითები იაზონის ლაშქრობაზე, ამ ქვეყნის სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით და რკინით იყო ნამდვილი მიზეზი ამ ლაშქრობისა“ - ასე წერდა ძვ. წელთ. აღ. I საუკუნის უდიდესი გეოგრაფი სტრაბონი კოლხეთზე-იმ ქვეყანაზე, რომელსაც ბერძნებმა უძლვნეს ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული თქმულება ოქროს საწმისზე. მითი არგონავტებზე ანტიკური ცივილიზაციის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ქმნილებაა, ამასთან ქართული კულტურის ისტორიის განუყოფელი ნაწილიც. მასზე შეიქმნა ევრიპიდეს, აპოლონიუს როდოსელის, ოვიდიუსის, სენეკას, დანტეს, დარიუს მიოს, პიერ კორნელის, აკაკი წერეთელის, ოთარ ჭილაძის, გალაკტიონის და სხვათა უკვდავი ნაწარმოებები. ეს მითი და მისი ლიტერატურული ვერსია-ინტერპრეტაციები დიდი ხანია სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მუდმივი ყურადღების და საგანგებო შესწავლის საგნად იქცა.

„ახალი დროის არგონავტების“ მოგზაურობის ხელმძღვანელი ცნობილი ინგლისელი მოგზაური, მეცნიერი, მწერალი ტიმ სევერინი იყო. ექსპედიციას იგი აპოლონიუს როდოსელის „არგონავტიკით“ ხელმძღვანელობდა. სევერინი სტუდენტობიდანვე იყო დაინტერესებული გეოგრაფიული აღმოჩენებით. მან იმოგზაურა მარკო პოლოს ნაკვალევზე ვენეციიდან ჩინეთამდე, შემდეგ მდინარე მისისიპზე, აზიაში, აფრიკაში, ანტალიის კუნძულებზე. იყო ექვსი წიგნის ავტორი. დიდი პოპულარობა მოუტანა 1976-1977 წლების „ბრენდენის მოგზაურობამ“, 1980 წელს — „სინდბადის მოგზაურობამ“ და 1984 წელს „იაზონის მოგზაურობამ“ ანუ „გმირთა მოგზაურობამ“. ამ მოგზაურობის გამო ინგლისელმა უურნალისტებმა მას „მითების კონტროლიორი“ შეარქეს.

ტიმ სევერინის ამ უკანასკნელი ექსპედიციის მზადების ამბავი მსოფლიომ 1984 წლის იანვარში გაიგო. ცნობილი გახდა, რომ საბერძნეთის კუნძულ სპეცოსზე ბერძენმა ოსტატმა ვასილის დელიმიტროსმა ტიმ სევერინისათვის ააგო ოცნიჩბიანი გალერა, რომელიც „არგოს“ ერთგვარ ასლს ნარმოადგენდა. მისი სიგრზე 16 მეტრი, სიგანე 3 მეტრი, წონა 5 ტონა, ტვირთამწეობა 3 ტონა. თითოეული ნიჩბის სიგრზე 4 მეტრი იყო. მას მართავდნენ ორნიჩბიანი საჭის მეშვეობით. ხომალდი აგებული იყო კუნძულ სამოსზე დამზადებული ალეპის ფიჭვისაგან, ყოველგვარი ლურსმნის გარეშე, იმავე ტექნოლოგით, რომლითაც, ალბათ, თვითონ „არგო“. კორპუსი ცხვრის ქონითა და ფიჭვის ფისით ჰქონდა გაუდენითილი. „არგო“ ინგლისელი კოლინ მიუდისა და ამერიკელი ტომ ვოსმერის პროექტით იქნა აგებული, 12 მეტრიანი ანძა მთლად ხისა იყო. „არგოს“ იალქნისა და ცხვირის მოხატულობა ტომ ვოსმერს ეკუთვნოდა. მან ეს გრაფიკული მოტივები, ანტიკური ნახატებიდან ისესხა. ხომალდის სწორეულთხა იალქნიზე წითელი სალებავებით სამი ანტიკური მეომრის სილუეტი ეხატა, ცხვირი კი დელფინის თავს მოგვაგონებდა, მასზე ორივე მხარეს დიდი თვალები იყო დახატული.

„არგომ“ პირველი გამოცდა არგოლოკოსის ყურეში გაიარა. იგი პირველი ხომალდია, რომელსაც საკუთარი სახელი ერქვა. არგო ბერძნულად სწრაფს ნიშნავს. ასე ხსნიდა ხომალდის სახელს დიონისე სიცილიელი. სხვა წყაროებში კი მიუთითებენ რომ „არგო“, ამ ხომალდის მშენებლის სახელი იყო. სევერინმა როგორც ბრწყინვალე ორგანიზატორმა, ამ ხომალდის ასაშენებელი თანხები იოლად გამონახა. 50 ათასი გირვანქა სტერლინგი ბი-ბი-სის კომპანიამ გაიღო და თან ამ მოგზაურობაზე გადაღებული ორსერიანი კინოფილმის გადაღების კონტრაქტიც გააფორმა.

ტიმ სევერინის მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ ემოგზაურა არგონავტების ნაკვალევზე, ხელი შეუწყო აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიდის სტატიამ „ადრეული ანტიკური პერიოდის კოლხეთი და მისი ურთიერთობა ბერძნულ სამყაროსთან“, ეს სტატია პოლონურ უურნალ „არხეოლოგიაში“ დაიბეჭდა, რომელიც ტიმ სევერინს ირლანდიელმა აკადემიკოსმა ჯორჯ ჰაქს-

ლიმ გააცნო. სტატიის წაკითხვის შემდეგ, 1984 წლის 14 მარტს, სევერინმა გაუგზავნა წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს ოთ. ლორთქიფანიძეს „თქვენ - კოლხეთის ისტორიის წამყვანი სპეციალისტი ბრძანდებით და იმედი მაქვს, რომ შევხვდებით იმ ადგილებში, სადაც თქვენ იკვლევთ ანტიკურ ქალაქებს. გარდა ამისა, იმედი მაქვს, რომ დამეხმარებით მიკენური საბერძნეთისა და კოლხეთის შესაძლო კონტაქტების შესახებ შედეგების შეჯამებაში.“

მოგზაურობა ახალი დროის არგონავტებმა 1984 წლის 3 მაისს დაიწყეს. სტარტი აიღეს ქ. ვოლოსიდან, არგოლოკოსის ყურიდან, იქიდან, საიდანაც მოგზაურობა დაიწყო იაზონმა. არგოს ეკიპაჟი ინტერნაციონალური იყო, მის შემადგენლობაში შედიოდა ცამეტი ახალგაზრდა ინგლისელი და ირლანდიელი, მათ შორის ორი ექიმი, თავგაადასავალთა მაძიებელი სტუდენტები, მენიჩბები საბერძნეთიდან და თურქეთიდან, საქართველოში შემოსვლისას კი მათ დაემატებოდათ ქართველი მენიჩბები.

მაშინ, როცა დიდი სამზადისი იყო საქართველოში თანამედროვე არგონავტების დასახვედრად, „არგოს“ უკვე გამოვლილი ჰქონდა ეგეოსის ზღვა, ანტიკური ჰელოსონტი (დარდანელის სრუტე), პროპონტიდა (მარმარილოს ზღვა), ბოსფორის, ანატოლიის, პაფლაგონიისა და თემისკირის სანაპიროების გასწვრივ სერავდა შავ ზღვას (მიკენურ ეპოქაში „ევესინოს პონტო“ ე. ი. არასტუმართმოყვარე ზღვა). 1984 წლის 24 ივნისს „არგო“ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემოვიდა. მის შესახვედრად ბათუმიდან გავიდა იახტებისა და კატერების ფლოტი, აფრიანი ხომალდის „ტოვარიშჩის“ ფლაგმანობით. ხომალდ ტოვარიშჩიდან“ არგოზე გადავიდნენ ნუგზარ ფოფხაძე-საქართველოს ტელერადიოკომიტეტის თავჯდომარე და მაშინდელი საკავშირო ტელევიზიის კინომოგზაურთა კლუბის ხელმძღვანელი იური სენკევიჩი. ისინი საქართველოში ამ ღონისძიებების მომზადების ორგანიზაციორები იყვნენ. აქვე ჩამოართვეს პირველი ინტერვიუ ტიმ სევერინს, რომელმაც თქვა: „ჩვენი მოგზაურობა უფრო გამოძიებას ჰგავს, ჩვენი ექსპედიციის მიზანია უძველესი მითის, რეალობის დამტკიცება, მთავარი შეხვედრა ქართველ არქეოლოგებთან გვექნება, მათი მეცნიერულ კვლევების შედეგად უნდა დამტკიცდეს ჩვენი პიპოთეზა, რომ გვიან ბრინჯაოს ხანაში ადამიანებს შეეძლოთ ასეთი მოგზაურობის მოწყობა“. აქ შეხვდნენ ერთმანეთს პირველად ტიმ სევერინი და ოთ. ლორთქიფანიძე

-თქვენ ჩემი იდეის სრულფასოვანი თანავტორი ხართ“- უთხრა სევერინმა და გულთბილად გადაეხვია ქართველ მეცნიერს.

-გზაში ჩვენ არანაკლები სიძნელეები გადავიტანეთ, ვიდრე არგონავტებმა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველა სიძნელეს და გაჭირვებას აანაზღაურებს ჩვენი კვლევა-ძიების შედეგები. პირადად მე ვთვლი, რომ კოლხეთი ძველ ბერნებს განვითარებული მეტალურგიითა და მედიცინის მაღალი დონით იზიდავდა. გასაოცარია, რომ ჩვენი მოგზაურობის დროს გამართლდა ძველი ავტორების თითქოს დაუჯერებელი ცნობები მაგალითად - ცნობა „ჯადოსნურ ღამებზე“, რომელიც იაზონის თანამგზავრებს ესმოდათ. ასეთი ხმები ჩვენს ყურამდე აღწევდა, როცა იმავე ადგილებში სასმელ წყალს ვიღებდით.... საერთოდ, მოგზაურობის განმავლობაში ჩვენ ვცდილობდით გავჩერებულიყვავით ყველა პუნქტში, რომელიც კი მითში იხსენიება, თუმცა ამათგან მხოლოდ ხუთი თუ ექვსი ადგილის იდენტიფიკაცია მოხერხდაო“- ისაუბრა სევერინმა უურნალისტებთან.

ცოტაოდენი შესვენების შემდეგ „არგომ“ გეზი ლეგენდალური ფაზისისაკენ აიღო. ფოთში მას იახტა „კოლხიდა“ შეუძლვა. ჯერ კიდევ პიპოკრატე წერდა 2400 წლის წინათ იმის შესახებ, რომ „ფარიანები ანუ კოლხები ქვეითად მხოლოდ ქალაქესა და ბაზარში დაიარებიან“, რომ „ისინი ნავით დაცურავენ არხებზე, რომლებიც აქ მრავლად არის“. ფოთის საზღვაო სადგური ხალხით იყო სავსე. ტიმ სევერინმა აქ გაიცნო ქართველი მეცნიერები. აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე, პროფესორები: ალექსანდრე ალექსიძე, რისმაგ გორდეზიანი, ილია ტაბაღუა, ამირან კახიძე დ სხვები. ამ გულთბილი შეხვედრის შემდეგ „არგომ“ გეზი მდინარე რიონისაკენ აიღო.

22 ივნისს, დღის 1 საათზე, დადგა მოგზაურობის ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი მომენტი. „არგო“ შევიდა ფასის-მდინარეში, რომელმაც, ლეგენდის მიხედვით, არგონავტები აიეტის მძღვანელ სახელმწიფოში მიიყვანა. საინტერესოა, რომ ფასის-რიონის შესართავი, მითში მოხსენიებული უკანასკნელი გეოგრაფიული პუნქტია. რიონში შესვლისთანავე მკვეთრად შეიცვალა წყლის ფერი. მდინარეში შესვლისას ესკორტს იახტები გამოაკლდა, გაიზარდა კატერების რაოდენობა. გართულდა მდინარეში დინების საწინააღმდეგო ნიჩბის მოსმა, იყო მეჩერი-

ზე გარიყვის საშიშროება. პირველი სერიოზული დაბრკოლებაც გამოჩნდა, ეს იყო საკმაოდ დაბალი კამარის ხიდი, რომელიც ხალხით იყო გაჭედილი, აუცილებელი შეიქმნა აფრის მოხსნა, შემდეგ კი ხალხისაგან ხიდის დაცლა. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე სირთულე შეექმნა „არგოს“. თან დაერთო კოკისპირული წვიმები, უამინდობა, მდინარე რიონის ადიდება და აი 1984 წ. 24 ივლისს, ნაშუადღევს ტიმ სევერინის ხომალდმა, რომელმაც სამიათასი მიღი გამოიარა, მშვიდობით მოაღწია ვანს. ჭყვიშში თანამედროვე არგონავტებს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს გალაკტიონის ეზოში. აქ თავმოყრილი იყო რაიონის მოსახლეობა, დედაქალაქიდან და რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული უამრავი სტუმარი. ჭყვიში საერთაშორისო მნიშვნელობის ნავსადგურად გადაიქცა. აქვე მოეწყო დიდი კონცერტი რაიონისა და მონვეული შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით. ჭყვიშში სევერინს მიართვეს კავკასიური ნაბადი და ქამარ- ხანჯალი, ცხენი მაკლიაო, — გაიხუმრა მან. თანამედროვე იაზონს ეახლა თეთრ კაბაში გამოწყობილი თანამედროვე მედეა (საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ნინო კაციტაძე.) რიონის პირას ვეება ხეზე „ოქროს საწმისი“ ეკიდა. ჭყვიშში, გალაკტიონის ეზოში სახელდახელოდ აღმართეს ქვის სტელა ქართულ-ინგლისურ-რუსული წარწერით „აქ ჩაუშვა ლუზა ტიმ სევერინის ექსპედიციამ, რომელმაც 33 საუკუნის შემდეგ გამოიარა არგონავტების ნაკვალევზე და მშვიდობით მოაღწია კოლხეთს“. სევერინმა ქვის სტელაზე თავისი ავტოგრაფი დატოვა, ავტოგრაფები დატოვეს აგრეთვე „არგოს“ ეკიპაჟის წევრებმა და ქართველმა მეცნიერებმა. სოფ. სალხინოს სტადიონზე გაიმართა სპორტული სანახაობა, ქართული საცხენოსნო თამაშობანი: ცხენბურთი, ისინდი. აქ შედგა სევერინის ორთაბრძოლა სენკევიჩთან. ეს ცხენებით დუელი სევერინის გამარჯვებით დასრულდა, როგორც შემდგომ გაირკვა სევერინის მამა თავის დროზე ინგლისის ჩემპიონი ყოფილა ცხენოსნობაში. ეს დაუვიწყარი საღამო დღესაც კარგად ახსოვთ ვანელებს.

ვანიდან დაინტყო სევერინის მეცნიერული მოგზაურობა საქართველოში. იგი ეწვია ვანის არქეოლოგიურ გათხრებს, გულდასმით დათვალიერა ნაქალაქარი, გაეცნო არქეოლოგიური ექსპედიციის მუზეუმს და ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატებს. ანტიკური ქალაქის გაცნობის შემდეგ იქვე, ლია ცის ქვეშ, გაიმართა მეცნიერული სჯა-ბაასი და პრესკონფერენცია. ტიმ სევერინმა დამსწრეებს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები და გამოთქვა რწმენა, რომ ვანის არქეოლოგიური გათხრების მასალა დიდად დაეხმარება მას არგონავტთა მითის ისტორიულობის საბოლოოდ დამტკიცებაში. სევერინის ვანში დაბანაკება და მისი მეცნიერული შედეგების შეჯამება გადაწყდა არა იმიტომ, რომ ვანი მიაჩნდა ძველი კოლხეთის დედაქალაქად და მეფე აიეტის ადგილსამყოფლად, არამედ იმიტომ, რომ ძველი კოლხეთის დედაქალაქი აპოლონიუს როდოსელთან, „კუტაიად“ წოდებული, ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, ხოლო ანტიკური ხანის კოლხური ცივილიზაცია მდინარე რიონის გაყოლებაზე ჯერჯერობით ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ვანშია გამოვლენილი და კოლხეთის „ოქრომრავლობის“ დამადასტურებელი არქეოლოგიური ძეგლები ჯერჯერობით ყველაზე უხვად და მრავალფეროვნად ვანში არის წარმოდგენილი.

ვანში მიღებული შთაბეჭდილებები განამტკიცა და გააღრმავა ნოქალაქევის ნახვამ. უცხოელები აღტაცებას ვერ მაღავდნენ ნოქალაქევის დათვალიერებით, აქედან სევერინი სვანეთი-საკენ გაემართა. ზარების გუგუნით, კოშკებზე დანთებული ცეცხლით და მაშხალებით დახვდნენ სვანები. სტუმარს საბჭოთა კავშირის ოთხზის ჩემპიონი, ცნობილი ქართველი მთამსვლელი, სპორტის დამსახურბული ოსტატი ბექნუ ხერგიანი შეეგება. მან გადასცა სევერინის სიმბოლური ოქროს საწმისი. ლეგენდის მიხედვით, ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან მოიპოვებდნენ სვანეთში ოქროს ცხვრის ტყავის საშუალებით. მესტიაში უცხოელ სტუმრებს აჩვენეს მდინარიდან ოქროს მოპოვება უძველესი წესით, რომლითაც დასტურდება, რომ ბერძენ მწერალთა ცნობები, რომლებმიც ოქროს საწმისის რაობას განმარტავენ, რეალურ საფუძველს ემყარება. კოლხეთის მდინარეული ქვიშების ოქროს შემცველობა კარგად ცნობილი ფაქტია, ხოლო ბერძენ მწერალთა მიერ აღნერილი ოქროს მოპოვების წესი თითქმის უკანასკნელ დრომდე შემორჩია სვანეთში- ისტორიული კოლხეთის მთიან რაიონში. ეთნოგრაფი ლუბა ბოჭორიშვილი წერს „ოქროს მოპოვებას სვანები ცხვრის ტყავის დახმარებით ახერხებდნენ. ფიცარზე გაჭიმულსა თუ სხვა ხერხით გაშლილ ცხვრის ტყავს სათანადოთ დაამაგრებენ, რომ წყალს არ მოეტაცნა, ტყავის ბენვიანი მხარე ზევით უნდა ყოფილიყო მოქცეული, ბენვი ოქროს დაიჭერდა წყალი კი გადაივლიდა. ტყავს წყლიდან ამოიღებდნენ გასაშრობად. გაშრალ ტყავს დაბერტყავდნენ და ოქროს კენჭებს გადმოყრიდნენ.“ ოქროს მოპოვების ეს წესი განსაკუთრებით აინტერესებდა

სევერინს, ამიტომაც შარვალდაკაპინებული იდგა ციფ მდინარეში, ამ წესის თითოეულ დეტალს ინტერესით უცქერდა და ინიშნავდა. ტიმ სევერინმა დაათვალიერა სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის უკანასკნელ ხანებში მოპოვებული არქეოლოგიური ნიმუშები. -ამ ნივთების ნახვა ჩემი ექსპედიციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო, რადგან ერთი სამარხიდან ამოღებული ეს ნიმუშები იმავე პერიოდისაა, რა პერიოდსაც არგონავტების ლაშქრობა განეკუთვნება. ამ ნივთებზე დაყრდნობით, მე მივდივარ დასკვნამდე, რომ ვერძის, ცხვრის კულტი საქართველოში გავრცელებული იყო ორი ათასი წლის წინათ.“ ვერძის კულტის ამსახველ მასალებს ტიმ სევერინი საგანგებოდ სწავლობდა და აკვირდებოდა, ალბათ ამიტომაც იყო, რომ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბაგრატის ტაძრის შესასვლელში სვეტის კაპიტელზე გამოსახულ ვერძის თავებს. ქუთაისში სევერინი ეწვია უქიმერიონის ციხესა და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს. მან მოინახულა აგრეთვე „მეორე იერუსალიმად“ წოდებული გელათი. გელათის სახალხო აკადემიაში გაიმართა საგანგებო მეცადინეობა, მეცნიერული სჯა-ბასი, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ აკადემიკოსი, შოთა ძიძიგური, საქ. მეც. აკადემიის წევრ — კორესპონდენტი მარიკა ლორთქიფანიძე, პროფესორი ოთ. ლორთქიფანიძე, რისმაგ გორდეზიანი, ლევან სანიკიძე. აქვე დააარსეს არგონავტების საზოგადოება, რომელიც შეისწავლის არგონავტთა მითთან დაკავშირბულ ისტორიულ, ფილოლოგიურ თუ გეოგრაფიულ საკითხებს. აკადემიკოს შოთა ძიძიგურის წინადადებით, ტიმ სევერინი ერთხმად აირჩიეს გელათის აკადემიის საპატიო წევრად. ქუთაისში კონფერენციის მთავარი თემა იყო აიეტის სამეფოს მთავარი ქალაქის ლოკალიზაციის საკითხი. აპოლონიუს როდოსელი აიას მთავარ ქალაქსა და მეფე აიეტის რეზიდენციას „კუტიას“ უწოდებს. იგივე აპოლონიუს როდოსელის და სხვა ბერძენ ავტორებს კუტაისა სწორედ დღევანდელი ქუთაისის მახლობლად ეგულებოდათ.

ქუთაისში დაწყებული მეცნიერული საუბარი გაგრძელდა თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც დოქტორ სევერინს შეხვდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ევგენი ხარაძე, პრეზიდენტის წევრები, მათ სევერინს მიუღოცეს ექსპედიციის წარმატებით დამთავრება. სევერინმა ქართველ მეცნიერებს აუწყა ერთი ახალი, საინტერესო აღმოჩენის შესახებ. ანტიკური იოლკოსის გათხრისას, ბერძენი არქეოლოგების მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით დადგინდა, რომ აქ ერთ ან ორ თაობას უცხოვრია. ამასთან, ქრონოლოგიურად ნასახლარი არგონავტების ლაშქრობის ხანას ემთხვევა. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ შესაძლოა, ახლად აღმოჩენილი სასახლის ნაშთი და აკლდამა იაზონის მამას ეკუთვნოდეს. იოლკოსში აღმოჩენილი კულტურული ფენები ადასტურებენ, რომ ამ ქალაქის კულტურული დონე უთანაბრდებოდა სხვა მიკენური ცენტრების დონეს, მაგრამ ამავე დროს ყურადღებას იქცევს იოლკოსის ოქროს სიმცირე სხვა ცენტრებთან შედარებით. იბადება კითხვა, - იოლკოსში ოქროს სიმცირე ხომ არ იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. თავგანწირული ლაშქრობისა, რომლის მიზანიც გახდათ კოლხური ოქრო, მისი მოპოვებისა და დამუშავების საიდუმლოს გაგება.

მეცნიერებათა აკადემიას მოჰყვა შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით სევერინი დაჯილდოვდა თბილისის უნივერსიტეტის უმაღლესი სამეცნიერო ჯილდოთი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით.

თბილისიდან გამომგზავრების შემდეგ სევერინი საქართველოს ქველ დედაქალაქს, ქალაქ-მუზეუმ მცხეთას ეწვია. აქ მან დაათვალიერა მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი, სამთავრო და ძალისის გათხრები.

**1984წ. 2 აგვისტოს ვანელებმა გამოსამშვიდობებელი საღამო გაუმართეს სტუმრებს. ისინი უკვე ერთგულ მეგობრებად ემშვიდობებოდნენ არგონავტებს. სევერინმა ვანში კიდევ ერთი შემაჯამებელი პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც ბატონი. ოთარ ლორთქიფანიძე უძღვებოდა.**

-არგონავტთა მითის რეალობაში თვალნათლივ დაგვარწმუნა ტიმ სევერინის მიერ ასე ბრწყინვალედ განხორციელებულმა ექსპერიმენტმა -თქვა მან.

- და კიდევ, ქართველ მეცნიერთა, განსაკუთრებით კი თქვენმა აღმოჩენებმა! - დაუმატა ტიმ სევერინმა....

ამ მოვლენის ისტორიულმა მნიშვნელობამ, მეცნიერულმა ღირებულებამ და, თუ გნებავთ, საგანმანათლებლო -შემეცნებითმა ფაქტორმა მისცა ბიძგი რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელობას მიეღო გადაწყვეტილება, რომ აგებულიყო არგოს ზუსტი ასლი და აშენებული-

ყო არგონავტიკის სპეციალური მუზეუმი. ბათუმის თევზჭერის სამმართველოს დახმარებით შეირჩენ ბერძნი სპეციალისტები— გროგოლი და დანიელ პოლიხრონიდები, რომლებმაც ააგეს ხომალდი არგო. რამდენიმე თვეში ფუნქციონირება დაიწყო არგონავტიკის მუზეუმმაც. სამუშაოს მთლიანი მოცულობა დაფინანსდა რაიონის სახსრებით. ამდენად, არგოს ზუსტმა ასლმა არგონავტიკის ახალ მუზეუმში, რიონის ყურესთან , გალაკტიონის ეზოში დაიდო ბინა. სამწუხაროდ, გარკვეული დროის შემდეგ ყოველივე ეს ხანძარმა შთანთქა.

უკანასკნელი მხარე, რომელსაც სევერინი ესტუმრა, აჭარა იყო. ბათუმისაკენ მიმავალმა, გზად ისევ არქეოლოგიურ გათხრებს მიაშურა, აქ მან დაათვალიერა ბობოყვათის, ციხისძირის, ჩოლოქისა და საკუთრივ ფიჭვნარის გათხრების დროს მოპოვებული ბრინჯაოს, ადრე რკინის, ანტიკური და ელინისტური პერიოდის მასალები. მისი ყურადღება მიიქცია თიხის კერამიკაზე გამოსახულმა გველის ფიგურამ. არგონავტთა მითის მიხედვით, გველებაპი იცავდა არესის ჭალაში ოქროს საწმისს, გველი კი ითვლებოდა ოჯახის მფარველ კულტად.

საქართველოში მოგზაურობისას ტიმ სევერინი დარწმუნდა, რომ მითიური კოლხეთი არ დარჩენილა მხოლოდ მითიურ ქვეყნად, რომ მან თავისი სიტყვა თქვა როგორც ანტიკურ ხანაში, ისე ადრექრისტიანულ, შეუა საუკუნეებსა და ახალ დროში. საინტერესოა ტიმ სევერინის ბოლო ინტერვიუ, რომელიც მან პროგრამა „ვრემიას“ და საქართველოს ტელევიზიას მისცა.

-იაზონის ნაკვალევზე მოგზაურობა მეტად საინტერესო იყო, საინტერესო და მნიშვნელოვანი მეცნიერული თვალსაზრისით. ჩვენ აქ ვიპოვეთ დიდძალი საინტერესო მასალა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეცნიერული ჰიპოთეზის დასამტკიცებლად... ჩვენ კარგად მიგვიღეს ყველა ქვეყანაში, მაგრამ განსაკუთრებული ხასგასმით უნდა აღინიშნოს ქართული სტუმართმოყვარეობა, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ჩვენ დავამტკიცეთ, რისი დამტკიცებაც გვინდოდა, ახლა ჩვენთვის უკვე აშკარაა, რომ ბერძნებს მიკენურ ეპოქაში შეეძლოთ მოელნიათ კოლხეთისათვის და რომ იაზონი მართლა იყო კოლხეთში. ამ დასკვნამდე მივედი მოპოვებული გეოგრაფიული თუ არქეოლოგიური მასალების შეჯერების შემდეგ. მე ვიპოვე ოქროს საწმისი, მაგრამ, იაზონისაგან განსხვავებით, იგი „არგოთი“ კი არა, გულით მიმაქვს. ჩემი „ოქროს საწმისი“ ეს გახლდათ შეხვედრები თანამედროვე ქართველებთან, შთამბეჭდავი და დაუვიწყარი შეხვედრები... ვემშვიდობები საქართველოს და ვიტოვებ იმედს, რომ კვლავ დავბრუნდები ამ წარმტაც ქვეყანაში“.

**რედაქციისაგან:** შეიძლება ბევრმა, განსაკუთრებულად ახალგაზრდობამ, არ იცოდეს, რომ 1988—2000 წლებში ვანის რაიონის სოფ ყუმურში ფუნქციონირებდა ობსერვატორია.

1988 წელს მას ეწოდა ვანის კოსმოფიზიკური გამოკვლევების პრობლემური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია ობსერვატორით. ხოლო 1996 წლიდან კოსმოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ყუმურში ასეთი ცენტრის შექმნის ინიციატორი და საქმიანი კოორდინატორი იყო ამავე სოფლის მკვიდრი, თეიმურაზ ადეიშვილი, ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

## თეიმურაზ ადეიშვილი, პროფესორი

### ვანის ობსერვატორის მოქლე ისტორია

საქართველოს მთავრობის 1988 წლის დეკემბრის № 1016 განკარგულებისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის შესაბამისი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე ქუთაისის აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა და წლების მანძილზე წარმატებით ფუნქციონირებდა კოსმოფიზიკური გამოკვლევების პრობლემური სამეცნიერო—კვლევითი ლაბორატორია—ობსერვატორითურთ. ქვეყნის დასავლეთ რეგიონში დაარსებული ფიზიკურ—მათემატიკური და ეკოლოგიური პროფილის მქონე პირველი სამეცნიერო ორგანიზაციის საქმიანობა დაკავშირებული იყო რიგი აქტუალური პრობლემის შესწავლა-გადაწყვეტასთან. კერძოდ, ხორციელდებოდა ახლო კოსმოსში მიმდინარე ფიზიკურ—ქიმიური პროცესების კვლევა, მიწისძვრების სხვადასხვა სახის წინამორბედთა შესწავლა; შესაბამისი ტექნიკური საშუალებების დამუშავება და სხვა ფუნდამენტური და პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადაჭრა.

ობსერვატორია, რომელიც ოფიციალურ საბუთებში ვანის კოსმოფიზიკურ ობსერვატორიად იწოდებოდა, აშენდა დღევანდელი ვანის მუნიციპალიტეტის ყუმურის თემის განაპირა ტერიტორიაზე, სუფთა ეკოლოგიური პირობებისა და მინიმალური პარაზიტული სიგნალების მქონე მაღალმთიან ზონაში. ასეთი ადგილის შერჩევისას წლების მანძილზე ხორციელდებოდა რეკოგნოსცირებადი გაზომვითი სამუშაოები, რომლებშიც მონაწილეობდნენ დარგის წამყვანი სპეციალისტები ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტიდან (ხელმძღვანელი—პროფესორი ლეონიდ ბარანსკი), კოსმოსური გამოკვლევების ინსტიტუტიდან (ხელმძღვანელი—აკადემიკოსი იური გალპერინი; თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (ხელმძღვანელი—პროფესორი ზურაბ შარაძე), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტიდან (ხელმძღვანელი—პროფესორი არჩილ ხანთაძე) და ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტიდან (ხელმძღვანელი ამ სტატიის ავტორი). სხვა მრავალ შერჩეულ ადგილს შორის (სათაფლია, შაორი, საირმე) უპირატესობა თავისი გეოლოგიური და გეოფიზიკური მახასიათებლების მიხედვით ყუმურის მიმდებარე ზონას მიენიჭა.

საერთოდ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერსპექტიული და უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაშინდელმა პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ და ამავე აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის აკადემიკოს—მდივანმა (შემდგომში ვიცე—პრეზიდენტი), აკადემიკოსმა ჯუმბერ ლომინაძემ; ამავე აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ბენედიქტე ბალავაძემ; ყოფილი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური გამოკვლევების ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა როალდ საგდევემა (ამჟამად აშშ—ს მერილენდის უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის განყოფილების გამგეა) და ამავე ინსტიტუტის აქტიური მართვადი ექსპერიმენტების განყოფილების გამგემ, პროფესორმა გიორგი მანაგაძემ; ასევე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკად. ოტო შმიდტის სახელმწიფის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე სადოვსკიმ და ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგემ პროფესორმა ვალერია ტრიოცკაიამ (ძალზე დიდი წვლილი შეიტანა მან ობსერვატორის მშენებლობის დაფინანსებაში და აპარატურით აღჭურვაში). სხვადასხვა ეტაპზე ადმინისტრაციულ მხარდაჭერას გვიწევდა საკავ-

შირო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე—პრეზიდენტი აკადემიკოსი ალექსანდრე იანშინი. ამ დიდ მამულიშვილურ საქმეში უდიდესი მხარდაჭერა და დახმარება გაგვიწია ქუთაისის 6. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მაშინდელმა რექტორმა პროფესორმა ნოდარ ვალიშვილმა, ამავე ინსტიტუტის პრორექტორმა, პროფესორმა თენგიზ შუბლაძემ, ვანის რაიონის მაშინდელმა და მომდევნო წლების ხელმძღვანელობამ და სოფელ ყუმურის მოსახლეობამ.

კოსმოფიზიკურ ობსერვატორიას გააჩნდა დასაკვირვებელი პუნქტები ქ. წყალტუბოში და მის მახლობლად მდებარე ყუმისთავის მღვიმეში. თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი მუშაობდა ტექნიკურ უნივერსიტეტში. დაგეგმილი იყო ანალოგიური პუნქტების გახსნა ოზურგეთისა და მარტვილის რაიონებში, გელათში, საირმეში და სხვა.

მთლიანობაში პრობლემური ლაბორატორია-ობსერვატორია შედგებოდა ხუთი განყოფილებისა და სამეურნეო ნაწილისაგან:

1. დედამიწის ელექტრომაგნიტური მოვლენებისა და ახლო კოსმოსში მიმდინარე პროცესების განყოფილება;
2. გეოქიმიური, ჰიდროგეოდინამიკური და მეტეოროლოგიური პროცესების გამოკვლევების განყოფილება;
3. ბიოსამედიცინო მოვლენებზე და მოსავლიანობაზე კოსმოსური ზემოქმედების გამოკვლევათა განყოფილება;
4. თეორიული გამოკვლევების განყოფილება;
5. რადიოელექტრონიკის, ხელსაწყო—დანადგარებისა და გამომთვლელი მანქანების განყოფილება;
6. სამეურნეო ნაწილი.

პირველ განყოფილებაში მიმდინარეობდა რეგულარული დაკვირვებები დედამიწის იონისფეროში და მაგნიტოსფეროში გენერირებული დაბალი, ძალიან დაბალი, ზედაბალი და ოპტიკური თვისებებისა და მიწისძვრების წინამორბედთა დადგნა—გამოკვლევების მიზნით. ხორციელდებოდა რაკეტა—თანამგზავრებიდან წარმოებული აქტიური და პასიური ექსპერიმენტების საშუალებით ახლო კოსმოსში მიმდინარე ფიზიკურ—ქიმიური პროცესების შესწავლა. მიმდინარეობდა ექსპერიმენტული მასალის პირველადი დამუშავება.

მეორე განყოფილება მოიცავდა გეოქიმიურ, მეტეოროლოგიურ და ჰიდროგეოდინამიკურ პარამეტრებზე ჩატარებულ გაზომვებს მიწისძვრის წინამდღვრების გამოკლენისა და სხვა მონათესავე პროცესების გამოკვლევისა და სეისმური აქტიურობის სწორად შეფასების მიზნით. კერძოდ, წარმოებდა დაკვირვებები რადიონის, ოზონის, ნახშირორუანგის, აზოტის, ატმოსფერული წნევის, ტემპერატურის, მზის რადიაციისა და მიწისქვეშა წყლების დონეების ვარიაციებზე. მიმდინარეობდა მიღებული შედეგების წინასწარი დამუშავება და ფიზიკური ანალიზი.

მესამე განყოფილება ახორციელებდა ბიოსისტემებზე და მოსავლიანობაზე კოსმოსური გამოსხივებისა და კოსმოგენური ფაქტორების გავლენის შესწავლას ბუნების ჩვეულებრივი და არაორდინალური მოვლენების დროს. კერძოდ, მიმდინარეობდა ადამიანისა და სხვა ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ფიზიკურ—ქიმიურ—ბიოლოგიური პროცესების გამომხატველ 20—მდე პარამეტრზე ერთდროული დაკვირვება და მათი ვარიაციების კანონზომიერებათა კორელაციის დადგენა ბუნების ანომალურ მოვლენებთან მოკლევადიანი სამედიცინო პროგნოზისა და მედიკოპიოლოგიური სამსახურის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. დაგეგმილი იყო კოსმოსური ფაქტორების მცენარეთა კულტურულ ჯიშებზე გავლენის შესაბამისი ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარება, მომავალში ბუნებრივ ანალოგებზე მათი გადატანისა და მოსავლიანობის გაუმჯობესების მიზნით.

მეოთხე განყოფილებაში ხდებოდა თეორიული გამოკვლევების შესრულება მიღებული ექსპერიმენტულ—დაკვირვებითი შედეგების ანალიზისა და შესაბამისი ფიზიკურ—მათემატიკური მოდელის შექმნის მიზნით.

მეხუთე განყოფილებაში მიმდინარეობდა ახალი მიწიერი და საბორტო ხელსაწყო-იარაღების შექმნა—კონსტრუირება. ფუნქციონირებდა სამონტაჟო და სარემონტო უბნები, ხორციელდებოდა მიღებული სამეცნიერო შედეგების მანქანური დამუშავება და სხვა.

სამეურნეო ნაწილი ემსახურებოდა პრობლემური ლაბორატორია-ობსერვატორიის ახალი ტექნიკით აღჭურვის საქმეს, მის სამეურნეო საქონლით მომარაგებას, ანარმოებდა

სხვადასხვა სახის სამეუნეო სამუშაოებს.

ამ სამეცნიერო ორგანიზაციის არსებობის მანძილზე მიღებულ იქნა მთელი რიგი ახალი სამცნიერო შედეგებისა, ახლო კოსმოსში მიმდინარე პროცესებისა და სეისმოაქტიური პროცესების შესწავლის საქმეში. კერძოდ, ჩატარდა მთელი რიგი გამოკვლევები იონოსფეროსა და ატმოსფეროს მაღალი ფენების ოპტიკური თვისებების შესწავლისა და მათი შემადგენელი კომპონენტების კონცენტრაციათა განაწილებისა და ცვლილებების დადგენის კუთხით. შესწავლილი იქნა ატომური და მოლეკულური ჟანგბადისა და აზოტის, ჰიდროჟისლის, ლითიუმის, ნატრიუმისა და სხვა ელემენტების მიერ სხვადასხვა უპნებში გენერირებული გამოსხივებების ინტენსივობათა განაწილებები და მათი გამომწვევი ფიზიკურ-ქიმიური მექანიზმები, როგორც აქტიური, ისე პასიური გაზომვების ჰერიოდში, რომლის შედეგადაც აიხსნა მთელი რიგი აერონომიული პროცესები და მიღებული მონაცემები გამოყენებულ იქნა, როგორც ოპტიკური წინამორბედები მიწისძვრის მოკლე, სამუალო და გრძელვადიანი პროგნოზის მეთოდთა სრულყოფის მიზნით. დადგინდა ატმოსფერული ოპტიკური ემისიების ცვლილებათა კანონზომიერებები, როგორც მიწისძვრამდე, ისე მისი მიმდინარეობისა და მოხდენის შემდგომ აქტიურ პერიოდში. ჩატარდა აქტიური გამოკვლევები სეისმური აქტიურობის ინტენსივობის სწორი შეფასებისა და კოსმოგენური სტრუქტურების კომპლექსური შესწავლის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ძლიერი მიწისძვრების გამომწვევი მიზეზებისა და მათი ოპტიკური, ელექტრომაგნიტური, ჰიდროგეოქიმიური, მეტეოროლოგიური, ბიოლოგიური და ჰიდროგეოქიმიური წინამორბედების გამოკვლევას. ამ თვალსაზრისით მიღწეულია გარკვეული პრიორიტეტები როგორც სქართველოს, ისე საზღვარგარეთის მასშტაბით. მიღებული იქნა მონაწილეობა ქვეყნისა და უცხოეთის სხვადასხვა დონის სიმპოზიუმებში და კონგრესებში. შესაბამისი მასალები გამოიცა როგორც სტატიების, ისე მონოგრაფიების და სახელმძღვანელოების სახით.

პრობლემურ ლაბორატორია—ობსერვატორიაში ყოველთვიურად ტარდებოდა სამეცნიერო სემინარები და სხდომები, ჩატარდა მთელი რიგი სამამულო და საერთაშორისო სიმპოზიუმი. მზადდებოდა ასპირანტები, მაძიებლები და მაგისტრანტები. სტუდენტები გადიოდნენ სასწავლო—სამეცნიერო პრაქტიკას. დაცული იქნა 4 სადოქტორო დისერტაცია, შესრულდა რამდენიმე ათეული სამაგისტრო და სადიპლომო ნაშრომი. დამყარებული იყო ახლო ურთიერთობები საქართველოსა და საზღვარგარეთის (შვეცია, ბულგარეთი, რუსეთი, ბრაზილია, გერმანიას, აშშ, უკრაინა და სხვა) შესაბამის სამეცნიერო ცენტრებთან. თანამშრომლობის მიზნით ჩამოდიოდნენ უცხოელი სპეციალისტები.

ფუნქციონირების პერიოდში პრობლემურ ლაბორატორია—ობსერვატორიაში 120—მდე თანამშრომელი მუშაობდა. მათ შორის: ოთხი აკადემიკოსი, 9 მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი, 22 მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი. მისი წლიური ბიუჯეტი შეადგენდა 1,5 მილიონამდე მანეთს, ხოლო სასარგებლო ფართი - 1000 მ2 (მათ შორის იყო სპეციალური დანიშნულების გვირაბი). ფაქტიურად ის სამუალო სიდიდის სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტის დონეზე იყო როგორც კადრების, ისე სამეცნიერო მიღწევების მიხედვით. დაისვა კიდევაც ეს საკითხი და 1996 წელს პრობლემური ლაბორატორია—ობსერვატორია ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა კოსმოფიზიკური გამოკვლევების სამეცნიერო — კვლევით ინსტიტუტად, ხოლო 1998 წელს ჩამოყალიბდა როგორც კოსმოფიზიკისა და ატმოსფეროს ეკოლოგიის სამეცნიერო—კვლევითი და სასწავლო ცენტრი. კერძოდ, სამეცნიერო მუშაობის პარალელურად მან ხელი მოკიდა ისეთი, საქართველოსათვის აუცილებელი კადრების მომზადებას, რომლებიც ქვეყნის დასავლეთ ნაწილის ჯანდაცვის დაწესებულებების სამედიცინო ტექნიკის გამართვასა და ფუნქციონირებას მოქმედისა და გამოყენების მიზნით დაგენერირდა. ამ მიზნით ცენტრის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა „ბიოსამედიცინო აპარატებისა და სისტემების“ კათედრა, რომლის ხელმძღვანელად და პარალელურად დეკანად (ინსტიტუტის დირექტორობასთან ერთად) დაინიშნა თქვენი მონა— მორჩილი . კათედრამ საქმაოდ ეფექტურად იფუნქციონირა და ხუთი (5) გამოშვების მომზადებაც მოასწორო.

კიდევ მრავალი პრობლემური საკითხის გადაწყვეტა იყო დაგეგმილი. პარალელურად გელათში დაიწყო დიდი დავითის დროინდელი ობსერვატორიის აღდგენა, ხოლო საირმეში აქტინომეტრიული ობსერვატორიის დაარსება გადაწყდა. ამ საქმიანობამ პირველ ხანებში

საკმაოდ ინტენსიური ხასიათი მიიღო, რამდენადაც ამ სამი დასაკვირვებელი პუნქტის (გელათი, საირმე, ყუმური) გაერთიანება საშუალებას ქმნიდა ე.წ. ტრიანგულაციური გაზომვები ჩატარებულიყო, რითაც მიწისძვრისა და სხვა კატასტროფული მოვლენების პროგნოზირების მეთოდების სრულყოფის პრობლემა კიდევ ურთო დაზუსტდებოდა. გელათში უწმიდესისა და უნეტარესის საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და ქუთაის—გაენათის მიტროპოლიტის მეუფე კალისტრატეს თაოსნობით ობსერვატორის აღდგენის (აკადემიასთან ერთად) პროცესი თითქმის დასრულდა და ამჟამად მიმდინარეობს მისი აპარატურით აღჭურვის რთული პროცესი. რაც შე-ეხება კოსმოფიზიკის ინსტიტუტს, საირმის აქტინომეტრიულ სადგურსა და ყუმურის კოსმოფიზიკურ ობსერვატორიას მათ ქვეყნის მაშინდელი მთავრობის მეცნიერებისადმი ჩამოყალიბებული პოლიტიკის წყალობით ფუნქციონირება შეწყვიტეს დაფინანსების შე-ჩერების გამო. თუმცა მიღებული მრავალწლიანი დაკვირვებების დამუშავება დღესაც მიმდინარეობს, რაც ახალგაზრდა მეცნიერების აღზრდისა და მომზადების საქმეს უთუოდ არგია.

რას იზამ? როგორც იტყვიან: „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“. ბევრი რამის გაკეთება მინდოდა, როცა დრო ჩვენზე მუშაობდა - კეთდებოდა კიდეც. როცა არა— მუშაობა ჩაკვდა, შეჩერდა, მაგრამ ისევ ღმერთი გადმოგვხედავს და კიდევ მაქვს იმედი, რომ ისევ აყვავდება მეცნიერება, მაგრამ მარტო ღმერთი ვერ გვიშველის თუ ჩვენც არ გავანძრიეთ ტვინი და ხელი.

„ვანის რაიონის ახალი და უახლესი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი „იწყებს სოფლების ისტორიების გამოქვეყნებას. ამ მხრივ კვლევის ცენტრში წარმოდგენილი ნაშრომების ნაწილი კვლევის კვალიფიციურობიდან გამომდინარე თანამიმდევრულად იქნება გამოქვეყნებული.

ამჯერად გთავაზობთ სოფელ ყუმურის მოქლე ისტორიას, რომელიც მომზადებულია პროფესორ თემურაზ ადეიშვილის მიერ.

## თემურაზ ადეიშვილი, პროფესორი

### სოფელ უშაურის ისტორიული მიმოხილვა

დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიაზე ორი ისტორიულ—გეოგრაფიული ერთეული საჩინო და სალომინაო იყო განლაგებული. სალომინაო მოიცავდა მდ. კვინის- წყლის ხეობას და მის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას მდ. კორისწყლამდე, ხოლო საჩინო — მდინარეების ყუმურისა და სულორის ხეობებს. ორივე ისტორიული ერთეული შემოსაზღვრული იყო: აღმოსავლეთით — მდ. კორისწყლით; ჩრდილოეთით — მდ. რიონით; სამხრეთით — მდ. ფერსათის ქედით; დასავლეთით — საჯავახოს მხარით.

საჩინოს ქვეყანა ორად იყოფოდა: ზემო და ქვემო საჩინოდ. ქვემო საჩინოში შედიოდა მდ. ყუმურის ხეობის სოფლები: ჭყვიში, შუამთა, ტობანიერი და ყუმური.

სოფელი ყუმური მდინარის ზემო წელში მდებარეობს. დღეს არსებობს ყუმურის საკრებულო, რომელიც რამდენიმე სოფელს აერთიანებს: შუა სოფელი, ზედა მიქელეფონი, მუქედ — კაკასუბანი, დიდლელე, პაატასეული, დუცხუნი და გაილოური (მსხალთა), ჭალასამზიარი, დობირო, მაისოური, ნიქოური, ვერხვანი და გამოლმა თხილოგანი. სხვა სოფლებიდან აღმოსავლეთით ყუმურს მიჯნავს მთაწმინდის ქედი, ჩრ. აღმოსავლეთიდან მუქედის გორა, ჩრდილოეთიდან ქენიოთის ქედი, დასავლეთით საჯავახოს ქედის აღმოსავლეთ კალთები, ხოლო სამხრეთიდან მდინარეების სუფსისა და ყუმურის წყალგა- მყოფი შავშაკის მთა.

სახელწოდება ყუმურს სხვადასხა ახსნა აქვს. ზოგი ზანურ (მეგრულ—ჭანურ) ტერმინს ც—ომურს უკავშირებს. [1], რაც დღევანდელ მეგრულში ტყემლის აღსანიშნავად იხმარება. ერთი შეხედვით ასეთი მოსაზრება მისაღები უნდა იყოს რომ არა ერთი ნიუანსი. ზანურში არსებული ც ასონიშნით გამოხატული ბერა და ქართული ც—თი გამოხატული ერთმანეთს არ ემთხვევა. ზანური ც უფრო ღრმახორხისმიერია და ქართულ-ში მას შესატყვისი არა აქვს. ის მიახლოებით რუსულ თ-სა და ქართულ უ—ს შორის არის მოთავსებული. ასე რომ გამოითქმის თვალსაზრისით ქართულ ყ—სა და მეგრულ— ჭანურ ასონიშან ც—ს შორის ძირეული განსხვავებაა. ამ საკითხზე საფუძვლიანი კონსულტაციები გვქონდა მეგრული წარმოშობის ცნობილ ქართველ ენათმეცნიერებთან. კერძოდ, ვესაუბრეთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ტოპონიმიკის ლაპორატორიის ხელმძღვანელს პროფესორ პაატა ცხადავასა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ თანამშრომელს რევაზ შეროზიას. ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისი მათაც დაადასტურეს.

ტოპონიმი ყუმური და ტყემლის მეგრულ—ჭანური სახელწოდება ც—უმური განსხვავებულად გამოითქმის და სხვადასხვა სახელწოდებებად უნდა ჩაითვალოს, ე.ი. სოფლის სახელწოდებების ზანური დიალექტზე არსებული ტყემლის აღმნიშვნელი ცნებით—უმურით ახსნა ძალიან გაძნელდება [2].

ზოგი, ადგილობრივი წარმოშობის ცნობილი პირის აზრით სოფელმა სახელი მდინარი- საგან მიიღო, მაგრამ ეს მოსაზრება პრობლემას მაინც ვერ წყვეტს და ამ შემთხვევაში ჰიდრონიმ ყუმურის წარმოშობა ხდება დასადგენი, რასაც იგივე სახის სირთულეებამდე მივყავართ.

აქედან გამომდინარე, დასმული საკითხის შესწავლა ისტორიული გეოგრაფიის გამოყენებით უნდა გადაწყვეტილიყო. შესწავლილ იქნა ცნობილი ქართველი და უცხოელი სპეციალისტების შესაბამისი შრომები. კერძოდ, განვიხილეთ ძველი ქართველი (ვახუშტი ბაგრატიონის [2], ტიმოთე გაბაშვილის [3], ე. თაყაიშვილის [4] და სხვ. და უცხოელი სწავ-

ლულების (გიულდენშტედტის [5], გორდეევი [6], ტოლოჩანოვი [7], შრომები და რუქები. აღმოჩნდა, რომ ვახუშტის მიერ 1745 წ. შედგენილ რუქაზე სოფელ ყუმურის ადგილას ნაჩვენებია დაბა სახელწოდებით სოფელა, რომელიც სავარაუდოდ ყუმურის ძველი (ვახუშტისდროინდელი) სახელწოდება უნდა იყოს. მართალია რუქა 1745 წ. მოსკოვშია გამოცემული, მაგრამ მასალები ვახუშტის მოსკოვში გამგზავრებამდეა 1724 წ. შედგენილი.

შემდეგდროინდელ რუქაზე ყუმურის ადგილას გვხვდება სხვა ტოპონიმებიც: საპაიჭაო, ხემური (ხიმური) და სხვ. სახელწოდება ხემური, ცხადია, დაკავშირებულია ხესთან, ხეობასთან. თუმცა გაურკვეველი რჩება რა პერიოდში ერქვა სოფელს ხემური. უფრო სავარაუდოა ეს საპაიჭაომდე იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელწოდება ხემური ე. თაყაიშვილის რუქაზე მდინარის სახელწოდებად არის ნახმარი. პირველად ტ. გაბაშვილის მიერ შედგენილ 1737 წლის დასავლეთ საქართველოს რუქაზე ტოპონიმი საპაიჭაო გვხვდება „პაიჭაძის ციხის“ სახელწოდებით. ის მოხსენიებულია გიულდენშტედტთანაც. როგორც ვიცით, სოფ. ყუმურის ერთერთ უბანში, მაისოურში, მდინარე ყუმურის მარცხენა მხარეს, მისგან თითქმის ერთ კილომეტრზე შემორჩენილია ძველი, საკმაოდ დაზიანებული ციხე, რომელსაც საპაიჭაოს ციხეს უნდებენ (გაბაშვილის რუქაზე „პაიჭაძის ციხით“ მოხსენიება). ის აგებულია განმარტოებულ გორაზე, რომელსაც ზვარეს, ზოგჯერ ციხის გორასაც ეძახიან ადგილობრივები. ციხეს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან დელები ჩამოუდის, რომლებიც ჯერ ერთმანეთს უერთდებიან და შემდეგ მდ. ყუმურს ერთვიან. ამ ორივე მხრიდან ციხე პრაქტიკულად მიუვალია. კონცხი, რომელზეც ციხეა აგებული დასავლეთის მხრიდან მთის სხვა ნაწილებიდან ორი ერთმანეთის პარალელური თხრილებითაა გამოყოფილი. როგორც გაირკვა ციხე შედგებოდა დედაციხისა და ორი კოშკისაგან. დედაციხის ფართობი თითქმის 600 მ2 —ია. შედარებით კარგადაა შემორჩენილი დედაციხის სამხრეთი კედელი, რომლის სიმაღლე საფუძვლიდან დაახლოებით 20 მ—ს შეადგენს. კედლის ბოლოში მრგვალი სვეტებია მოთავსებული. სავარაუდო ისინი საზარბაზნის ნაშთებს წარმოადგენენ. ამ ციხიდან შემორჩენილი ერთი ქვემეხი ვანის მხარედმციოდნეობის მუზეუმში იყო დაცული. ციხის სამხრეთის კედელზე ორი მარტივი სათოფურია შემორჩენილი დედაციხე რამდენიმე სართულიანი იყო. მის აღმოსავლეთ მხარეს კიდევ ერთი კოშკი მდგარა, რომლის ნანგრევებილა ამჟამად შემორჩენილი. აღმოსავლეთის მხრიდან ციხე შედარებით ადვილი მისადგომია, ამიტომ ამ მხრიდან თხრილია გაჭრილი. თხრილის აღმოსავლეთით კიდევ ერთი კოშკი ყოფილა, რომლის ნანგრევების ნაშთებმა დღემდე მოაღწია. ციხეს შესასვლელი ჩრდილო დასავლეთი მხრიდან ჰქონდა. გზა კლდის მასივში იყო გაჭრილი. ციხე კარგად დამუშავებული მოჭრილი კლდის ქვითაა აგებული.

ციხის აგების თარიღი ჯერჯერობით დაუდგენელია. ამ მიზნით კარგი იქნებოდა არქეოლოგიური და კერძოდ, პალეომაგნიტური გამოკვლევების განხორციელება. ყოველ შემთხვევაში შუაფეოდალური ხანის დასაწყისიდან (შესაძლო უფრო ადრეც) ეს ციხე მოქმედი უნდა ყოფილიყო.

ყუმურის ციხე XIX საუკუნის დასაწყისშიც მოქმედია. იმერეთის 1810 წლის აჯანყების დროს ეს იყო უკანასკნელი ციხე—სიმაგრე, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ აიღო და საფუძვლიანადაც დაანგრია.

ერთი სიტყვით ყუმურის ციხე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ხეობაში იყო აგებული და სამხრეთ საქართველოდან გადმოსასვლელ ერთერთ სამხედრო გზას კეტავდა, რომელიც ოძრხეს ციხიდან (აბასთუმნის დღევანდელი თამარის ციხე) მოემართებოდა და მეფის წყაროს მწვერვალის გამოვლით სოფელ შუამთაში მთავრდებოდა.

სოფ. ყუმურის ამავე უბანში ე. წ. საყდრის გორის თავზე, დგას წმინდა გიორგის ქვის ეკლესია, რომლის მთავარ წმინდა გიორგის დღესასწაულზე, რომელიც ყოველი წლის 6 მაისს იმართებოდა, მთელი სოფლის მოსახლეობა იყრიდა თავს. ის დარბაზული ტიპის ნაგებობა იყო. მოპირკეთებული იყო თლილი ქვით. მოგვიანებით ის შეულესიათ კიდეც. სავარაუდო მისი აგების თარიღი განვითარებულ ფეოდალურ ხანას უნდა მიეკუთვნოს. ამჟამად ეკლესია ძლიერ დაზიანებულია. ის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (გასული საუკუნის 20—იანი წლები) დაუნგრევიათ სოფლის ათეისტ კომკავშირლებსა და კომუნისტებს.

გარდა ამისა, ყუმურის თემის კიდევ ორ უბანში—ვერხვანში და დუცხუნში ორი ხის

ეკლესია ყოფილა აგებული შესაბამისად 1810 და 1817 წლებში. ამჟამად ისინი ორივე დანგრეულია. ერთერთი მათგანი—დუცხუნის ეკლესია ათეისტებმა დაარღვიეს და სოფ. ყუმურის ცენტრში კლუბად გადააკეთეს. ეს ფაქტი ჩვენი უახლესი ისტორიის ერთერთი სამარცხინო ფურცელია.

ყუმურის ციხის დასავლეთით, 500 მეტრის დაშორებით არის ადგილი „ნადარბაზევი“. სახელწოდება ძალზე საინტერესოა, მით უფრო, რომ მიწის დამუშავების დროს აქ გათლილ და მოჩუქურთმებულ ქვებს პოულობენ დღესაც. შესაძლოა, სწორედ ამ ადგილზე იყო აგებული ყუმურის (სოფელას, ხემურის, საპაიჭაოს) ხევის მფლობელთა (ხევისთავთა, ფეოდალთა) სასახლე.

ყუმურის საკრებულოს ერთ უბანს, რომელიც მდინარე ყუმურის მარჯვენა შენაკადის „დიდღელის“ (მას ადგილობრივები გულმაყარიასაც ეძახიან) ზემო ნაწილში მდებარეობს ადგილი „ნაქალაქევი“, რომელიც სავარაუდოდ ამ ხევისა და მეზობელი ადგილების მკვიდრთა თავმეყრის, ალებმიცემობის ცენტრი უნდა ყოფილიყო. ამ ადგილას დღესაც შენიშნავთ წისქილთა, ქვევრთა, საცეხველთა და სხვათა ნაშთებს. აქვე აღვნიშნეთ, რომ ოძრხედან მომავალი სტრატეგიული გზა სწორედ ამ პუნქტს გაივლიდა. ამ საკითხს შემდგომში უფრო დაწვრილებით შევეხებით.

მდინარე დიდღელის ხეობაში ამავე სახელწოდების სოფელ ყუმურის ერთერთი უბანი მდებარეობს. სახელწოდება „დიდღელეს (დიდი ღელე) წარმოშობა ნათელია. ის მდინარის შედარებით წყალუხვობასთანაა (განსაკუთრებით გაზაფხულზე) დაკავშირებული. მისი მცირე შენაკადები მდინარის სამხრეთ ან ჩრდილო ფერდობიდან ჩამოედინებიან (კაკარონა, ლემოურა, საყორნია, წიფლნარა, ნაჩამურების წყალი, კვირატოულა და სხვა.). ჰიდრონიმების ეტიმოლოგია ზედმეტნაკლებად გასაგებია. რაც შეეხება „ლემოურას“ მისი ჰირველი ნახევარი შეიძლება სვანურ „ლემთან“ იყოს დაკავშირებული (ლემი—სვანურად საძმოს ნიშნავს).

ამ ხეობაში მრავალი მიკროტოპონიმი გვხვდება: მაგალითად კაკასუბანი, მთაწმინდა, ეკანოური, საისლია, ქვაბი, საყორნია, მაღრანი, ბუხაროული, ნაჩამურები, ტევრი, ნაკამორა, ნაბაკევი, პერანოული, ეკლნარა, საჩელოური, გოჭისთავა, საკანაფო, დიდგორი, კვირატოული და სხვა.

სსენებული ტოპონიმების უმეტესთანარმოშობის არსიც გასაგებია. გარდა ნაჩამურებისა, რომელიც მარცვლეულის, კარძოდ ღომის საცეხველის (ჩამური) სახელთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება საჩელოურს, ის ჩვენი აზრით, საჩალეურიდან (ჩალიდან) უნდა იყოს წარმომდგარი.

გარდა დიდღელისა მდინარე ყუმურს სხვა მრავალი მცირე შენაკადი გააჩნია. მაგალითად: ტრაპესოულა, ციხესდელე, ბოყელა, წყაროსძელე, შავშაკურა და სხვა. ამათგან მხოლოდ ბოყელას წარმოშობაა გაურკვეველი. ის ალბათ ყელთან უნდა დავაკავშიროთ და ორყელას უნდა ნიშნავდეს.

ყუმურის საკრებულოში შემავალი სოფლებიდან, რომლებიც მდინარე ყუმურის (ხიმურის, ხემურის) ზემო წელში მდებარეობენ განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი დუცხუნისა და გაილოურის ეტიმოლოგიას. დუცხუნი—ზანურად იგივე ცაცხვნარია (დუცხუ—ცაცხვი). თუმცა მისი სახელი დაცხუნებასაც შეიძლება უკავშირდებოდეს. რაც შეეხება გაილოურს, მისი ეტიმოლოგიის დადგენა უფრო ჭირს. ერთის მხრივ ის თითქოს ზანურს (მეგრულს) გას (მთას) უკავშირდება: გა—ილო—ური—ილოს მთა. მაგრამ არსებობს ერთი უტყუარი ტოპონიმი. სოფლიდან, დაახლოებით ერთ კილომეტრზე, მდინარე ყუმურის ხეობაში, აღმართულია ძალზე დიდი გორაკი რომელსაც „ნასაყდრის გორას“ უწოდებენ. მისი ფართობი 30 ჰექტარამდეა. და ფერდობები კერამიკული ნანარმის ნარჩენებითაა დაფარული, გორის წვერში ძველი სალოცავის ნაშთები შეიმჩნევა, რომლის ზედაპირი ბათქაშითაა მოფენილი. სავარაუდოდ აქ სალოცავები (საყდარი) იდგა. აქედან არის სახელიც ნასაყდრის გორა.

საქმე ისაა, რომ ფარნავაზ მეფის ხანაში, დასავლეთ საქართველოში, (ქუჯის საერისთავოში) და კერძოდ, ვანის რაიონის ტერიტორიაზე დამკვიდრებას იწყებს აღმოსავლურ — ქართულ კულტნაგებობები და კერძოდ, გაისა და გაცის კერპები. ვანში, როგორც კოლხეთის რელიგიურ ცენტრში, მრავლად ჩნდება იბერიული საკულტო ნაგებობები. ასეთია, მაგალითად სოფ. გადიდი (გაი—დიდი), ბაგინეთი და სხვაგან შემორჩენილი

საკურპო ნაშთები. შესაძლოა ნასაყრდის გორაზეც იდგა ასეთი ტიპის კერპი და აქედან მივიღეთ სახელწოდება გაი—ლოური.

საინტერესოა სოფელ ყუმურის საკრებულოში შემავალი ზედა მიქელეფონის წარმოშობის საკითხიც. ალბათ უფრო სწორია ტოპონიმი მიქელაფონი (მიქელასფონი), რომელიც მდ. ყუმურზე არსებულ, ვინმე მიქელას, წყალზე გადასასვლელ ფონს აღნიშნავდა. ის სწორედ იმ სტრატეგიულ გზასთანაა დაკავშირებული რომელიც მდ. ყუმურის (ხიმურის, ხემურის) ხეობის გავლით სამცხედან კოლხეთში გადმოდიოდა.

ყუმურისა და საერთოდ საჩინოს მხარის ისტორიის შესახებ ძალზე ცოტა საბუთებია შემორჩენილი. აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის აზრით შუა ფეოდალურ ხანაში აქ მხარეს და მათ შორის ყუმურის ხეობას ქვაბულიძეები ფლობდნენ [8]. გვიან ფეოდალურ ხანაში მას ჩიჯავაძეები უფლებიან, ამიტომ საჩინოს ხშირად საჩიჯავაძეოსაც უწოდებდნენ. 1735 წ. ამ მხარეს, ალექსანდრე V იმერთა მეფის ძმა მამუკა ბატონიშვილი დაუფლებია და ჩიჯავაძეებს უმა—მამულები ჩამორთვა [9]. მხოლოდ 1791 წ. დაიბრუნა ჩიჯავაძეთა გვარეულობამ საჩინოს ნაწილი (ზედა საჩინო), ხოლო რაც შეხება ქვემო საჩინოსა და კერძოდ, ყუმურის ხეობის სოფლებს: ჭყვიშს, შუამთას, ტობანიერსა და ყუმურს. ის ისევ მეფის გამგებლობაშია, ეს ფაქტი იქედან ჩანს, რომ 1810 წელს (სოლომონ მეორ-ის განდევნის შემდეგ) ვახუშტი ჩიჯავაძემ იმერეთის გამგებელს სვიმონიჩს თხოვა ქვემო საჩინოს დაბრუნება [10]. საინტერესოა ერთი ისტორიული ცნობაც. შუა ფეოდალურ ხანაში ვანის მთავარანგელოზის ეკლესიას კედელში ჩატანებული ჰქონდა მარმარილის ქანდაკება, რომლის XII საუკუნის წარწერაში მოხსენიებულია „ერისთავთ ერისთავი ზვიადი“ [11]. საფიქრებელია, რომ ისიც ქვაბულიძეთა გვარის წარმომადგენელია, მთლიანად საჩინოს და მათ შორის ყუმურის ხეობასაც განაგებდა.

ერთიანი საქართველოს სამეფოს შექმნამდე საჩინო და კერძოდ, მდ. ყუმურის (იგივე ხემურის თუ ხიმურის) სოფლები ჯერ კოლხეთის, შემდეგ ლაზიკისა და ეგრის აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაშია მხოლოდ ერთი გამონაკლისით. როგორც ზემოთ აღინიშნა ქართლის (იბერიის) სამეფოს არსებობის ხანაში (IV-III სს.) საჩინოს მხარე ამ სამეფოს შემადგენლობაშია.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა არგვეთის ერისთავს სამფლობელოდ მისცა ქვეყანა „მცირით მთით-გან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ეგრისის ზღუარამდე რიონს ზემოთ“ ისტორიულ ლიტერატურაში ლეონტის ეს ცნობა იმის დამადასტურებლად ითვლება, რომ ფარნავაზის ხანაში მდ. ყუმურის ხეობა, საჩინოს მხარის სხვა ნაწილთან ერთად ქართლის სამეფოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ წარმომადგენილი ტერიტორია არც ისე შორს იყო საკუთრივ ქართლის სამეფოსაგან, როგორც ეს დღეს შეიძლება მოგვეჩვენოს. იგი, როგორც უკვე აღინიშნა, უმოკლესი გზებით უკავშირდება საერისთაოს, რომელიც ლეონტის თანახმად სამცხესა და აჭარას მოიცავდა.

დეტალური ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ დღევანდელი იმერეთის გურიისა და აჭარის ტერიტორიაზე შემორჩენილია მესხური ტომების შემოჭრის კვალი, რომლის პირველი ტალღა ანტიკურ ხანაშია სავარაუდებელი, ხოლო მეორე, უფრო ინტენსიური შემოსვლა, ოსმალთა მიერ სამცხე- საათაბაგოს დაპყრობის შემდგომ ხანას უნდა დავუკავშიროთ.

ცნობილა, რომ ოძრხე სამცხის საერისთაოს უძველესი ცენტრი იყო და მის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა, რომლის შემდეგ მესხეთ იმერეთის ქედი იწყება. ასეთ ადგილას საერისთაოს ცენტრის განლაგება, მისი სამხედრო — სტრატეგიული მდებარეობის გარდა, მაშინაა გამართლებული, თუ ოძრხეს გამგებელს სამცხესთან ერთად გარკვეული უფლება თუ პრეტეზია ექნებოდა. ქედის გადაღმა მდებარე რიონი ყვირილას მარცხნივ მდებარე ტერიტორიაზე.

დღევანდელი ვანის რაიონი პირდაპირი გზებით იყო დაკავშირებული სამცხესთან. მთავარი გზა ოძრხეში იწყებოდა. აქედან მეფის წყაროს გადასასვლელისაკენ რამდენიმე მიმართულებით შეიძლებოდა მისვლა. მთავარი გზა ოძრხეს ციხიდან (იგივე თამარის ციხიდან) მდინარეების ოძრხეს წყალისა და კურცხანას შესაყარში იწყებოდა და კურცხანას ხეობას მიუყვებოდა. მეფის წყაროს გადასასვლელთან მთავარ მაგისტრალს

ქვაბლიანის ხეობიდან მომავალი რამდენიმე გზა უერთდებოდა. აქედან ერთი ოძრხეს ციხესთან იწყებოდა, მეორე ადიგენში, ხოლო მესამე სოფ. დერცელში. ეს გზები მეფისწყაროსთან ერთდებოდა.

მეფისწყარო, მწვერვალს, იმ წყაროს გამო ეწოდება, რომელიც მწვერვალის ფართო მინდორზე ამოდის. გადასასვლელის გავლის შემდეგ, მაგისტრალი ჩრდილო—დასავლეთით მიემართება და ზემო ჯაჯის ანუ ჭაჭიეთის ტბას ჩრდილოეთით უვლის. აქედან ერთი ბილიკი სუფსის ხეობისაკენ ეშვება. მთავარი მაგისტრალი კი ჩრდილოეთის მიმართულებას იღებს. იგი ჯერ მდინარეების წაბლარის ხევისა და სუფსის წყალგამყოფ ქედს მიუყვება, შემდეგ კი წაბლარის ხევის, კორისწყალის, კვინისწყალის, სულორისა და ყუმურის წყალგამყოფ ქედს. იგი გაივლის მთებს: ქვაბილელე, ქვაჭიშვარა, ლაბოროტი, სათაფლია, ულეველა, ლამაზი მთა და გზაბონალისკენ ეშვება. გზაბონალი გზათა შესაყარს ნიშნავს და მდინარე სულორის სათავის ზემოთ მდებარეობს. აქ მთავარი გზა სულორის ხეობაში ეშვება, ხოლო მისი განაყოფი კვლავ ქედის თხემს მიუყვება, ჩრდილო აღმოსავლეთ— მიმართულებას იღებს და ტყეთავის მთამდე აღწევს, საიდანაც ბარის სოფლებამდე ეშვება.

გზაბონალიდან გზა ორი მიმართულებით ეშვება სულორის ხეობაში. მეორე გზა სოფელ გადიდში ეშვებოდა. შემდეგ გამოივლიდა სოფელ ზედა ვანს და საჩინოში მთავარ გზას უერთდებოდა. მისი ერთი განშტოება ყუმურის ხეობაში ეშვება, გაივლის გაილოურს, დუცხუნს და ყუმურის ცენტრში ჩამოდის, ხოლო—მეორე ( როგორც უკვე აღვწერეთ გაივლიდა ონჯოხეთს, ნაქალაქევს და დიდლელის ხეობით ყუმურის ცენტრში უერთდება მეორეს და მიქელეფონის გავლით შუამთისკენ მიემართება.

როგორც ვხედავთ აღწერილი მაგისტრალი თავისი განშტოებებით დღევანდელ ვანის რაიონსა და ბალდათის რაიონის სოფლებს, ნაწილობრივ უმოკლესი გზით აკავშირებდა სამცხესთან. დღეისათვის ამ მაგისტრალს პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. მას ძირითადად მწყემსები იყენებენ. ისინი, კოლხეთის დაბლობზე გამოზამთრებულ საქონელს, სულორისა და ყუმურის ხეობით მიერკებიან საგაზაფხულო საძოვრებისაკენ.

XX საუკუნემდე ახალციხეში მიმავალი მოსახლეობა ძირითადად ამ გზას ირჩევდა, იქედანაც ამავე გზით მოემართებოდა. ამ გზითა და მისი განშტოებებით გადაჰყავდათ საკლავი საქონელიც. ეს იყო ის ძირითადი გზა, რომელიც სამცხეს რიონის აუზთან აკავშირებდა. ადრინდელი ხანის წერილობით წყაროებში მას ქვაბლიანის ხეობის მაჰმადიანი მესხები „ტოპ—იოლს“ (ე.ი. ქვემეხთა გზას) უწოდებდნენ.

ანტიკურ ხანაში რაიმე პირდაპირი ცნობა აღწერილ მაგისტრალზე არ მოიპოვება. მაგრამ ერთი გარემოება მაინც იქცევს ყურადღებას. ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში ვანის გვერდით ისეთი პუნქტების დაწინაურება (არქეოლოგიური მასალიდან გამომდინარე), როგორიცაა დაბლაგომი, გომი, მთისძირი, შუამთა, მიქელეფონი (მიქელეფონი) და შესაძლოა ყუმურიც ჩვენს მიერ განხილული მარშრუტის მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს.

როგორც ირკვევა, საჩინოს ქვეყანა (ანტიკური და ელინისტური ხანის ვანის ქვეყანა) უმოკლესი გზით იყო დაკავშირებული გურიასთან. რამდენიმე გზა ყუმურის ხეობიდან მიემართებოდა. საჩინო რამდენიმე გზით იყო დაკავშირებული ამ ხეობის ზემო წელის სოფლებთან: ყუმური, (ხემური, სოფელა, საპაიჭაო), დუცხუნი, გაილოური, გაილოურიდან ყუმურის და სუფსის წყალგამყოფი — შავშაკის ქედის გადალახვით ორი ბილიკი მიდის ზემო და ქვემო სურებში. ასევეა სოფ. დუცხუნიდანაც, ხოლო ყუმურიდან ერთი გზა პირდაპირ სურებში გადადის, ხოლო მეორე ზემო ხეთის უღელტეხილით —საჯავახოში და აქედან გურიაში. საჯავახოდან ზემო ხეთის უღელტეხილით ერთი გზა შუამთისაკენ მიემართებოდა, ხოლო შუამთიდან მთისძირის, გომის, დაბლა გომისა და დაფნარისაკენ მაშინდელი და დღევანდელი ვანი—დაფნარის სამანქანო გზა თითქმის ერთმანეთს ემთხვევა.

სწორედ წარმოდგენილი გზების მარშრუტებით არის შემოსული და დასახლებული სოფ. ყუმურში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი.

დღეისათვის აქ შემდეგი გვარებია წარმოდგენილი: ადეშვილი (—50%), ჯულაყიძე (—25%), ქართველიშვილი (—5%), ბოლქვაძე (—5%), თვალაბეიშვილი (—3%), გიორგაძე (—3%), და ა.შ. სულ ოცამდე სხვადასხვა გვარი—კეკელიძე, ტრაპაიძე, ზამთარაძე,

ცხვარაძე, სანიკიძე, ბერიშვილი, ბედენაშვილი, გერსამია, მეფარიშვილი, ეზეიშვილი, მაჭარაშვილი, ბიბილეიშვილი, ლვინიანიძე, ტყეშელაშვილი.

ძირითადი—ადეიშვილების გვარი წარმოშობით მესხურია. მათი განაყოფი იგივე გვარის შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრაში. აქედან გადასულან კახეთში, თბილისში, ადიგენში, გორში და ჩვენი აზრით უპირატესად დიდი ნაწილი XV-XVII საუკუნეებში ვანში, კერძოდ, კი ყუმურშია ჩამოსახლებული, საიდანაც გავრცელებულა ვანის რაიონის სოფელ ზეინდარში, სამტრედიაში, ქუთაისში, თბილისში, აფხაზეთში, აჭარაში და ქვეყნის ქალაქებსა თუ რაიონებში. ხიზაბავრაში დღეისათვის ადეიშვილთა დაახლოებით 20 ოჯახია, ხოლო ყუმურში 200—მდე ოჯახი იქნება. თითო—ოროლა ოჯახი გვხვდება მოსკოვში, სანკტ—პეტერბურგში, შუა აზიაში და შორეული საზღვარგარეთის რიგ ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ ცნობილი ქარველი პოეტის გალაკტიონის დედა მაკრინე ადეიშვილი ყუმურიდან იყო და მისი განაყოფები დღესაც მკვიდრობენ ამ სოფელში. ადეიშვილთა გვარის ძირითადი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია, ხოლო მცირე ნაწილი (ძირითადად ხიზაბავრები) კათოლიკური სარწმუნოების გახლავთ.

სოფლის მკვიდრი, მეორე ძირითადი გვარი, ჯულაყიძე წარმოშობით ჩერქეზულ—ადილეურია, ისე როგორც სალაყაა, ართილაყა, როყვა და სხვა. მათი ყუმურში მოსვლის ზუსტი თარიღი უცნობია. ამჟამად მისი წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ სამტრედიაში, ქუთაისში, თბილისში, და სხვაგან. აღსანიშნავია, რომ თვალაბეიშვილთა და ტყეშელაშვილთა გვარებიც წარმოშობით აფხაზურ—ადილეური ჩანს. მათი წინარე გვარები თვალები და ქოზოლიები უნდა იყოს.

გურიიდან, კერძოდ სურებიდან, მოსულებად ითვლება შემდეგი გვარები: ტრაპაიძე, კეკელიძე, სანიკიძე, ბერიშვილი, ეზეიშვილი და სხვა. აჭარიდან უნდა იყოს მოსული ბოლქვაძეთა გვარი, სამეგრელოდან გერსამიები და ა. შ.

ერთი სიტყვით სოფელ ყუმურს დიდი სამხედრო პოლიტიკური მნიშვნელობის წარსული აქვს და მისი ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა მეტად გადაუდებელ საქმედ მიმართია.

### გამოყენებული ლიტერატურა

- თ. ბერაძე. ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან. 1973 წლის ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში — 1973 წ.
- ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973 წ.
- ტ. გაბაშვილი დასავლეთ საქართველოს რუქა. 1737 წ.
- ე. თაყაიშვილი. საქართველოს რუქა. № 2100 (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი) 1962 წ.
- გიულდენშტედტი. მოგზაურობა საქართველოში. თბილისი 1926 წ.
- დმ. გოპდეევ. მატერიალ კ ობსლედოვანიუ ხონსკის დრევნოსტეი. „საისტორიო მოამბე“. თბილისი, 1924 წ.
- ი. ცინცაძე. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა. თბილისი, 1970 წ.
- ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები ტ. VIII, თბილისი, 1975 წ.
- ვახუშტი ბატონიშვილი. დასახელებული ნაშრომი. გვ. 889, თბილისი 1973 წ.
- ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქიმ) საბუთები № 292.
- რ. შრემლინგი. მარმარილოს ქანდაკება სოფ. ვანიდან. საქ. მეც. აკადემიის მოამბე. თბილისი, ტომი XVIII, №2, 1956 წ.
- ქართლის ცხოვრება. ტ.1 თბილისი 1955 წ.

## ნოა ადეიშვილი

მრავალმხრივი შემოქმედი, დრამატურგი, პუბლიცისტი, რეჟისორი, საზოგადო მოღვაწე, მოსკოვის აკადემიური მცირე თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრ კავშირის ხელოვნების აკადემიის განყოფილების გამგე, საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი ყრილობის მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, მწერალთა კავშირის მდივანი.

### სერგო ამალლობელი

დაიბადა 1898 წლის 11 ივლისს ქუთაისის მაზრის სოფელ ამალლებაში (ამჟამად ვანის რაიონი). პირველდაწყებითი განათლება მიიღო მშობლიური სოფლის სკოლაში, შემდეგ კი სწავლა გააგრძელა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი ლიტერატორი და ენათმეცნიერი სილოვან ხუნდაძე, გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ოცხელი.

1919 წელს ს. ამალლობელი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ-იურიდიულ ფაკულტეტზე. იქ იგი მემარცხენე მიმდინარეობათა ჯგუფის წევრი გახდა. 1921 წლიდან 1923 წლამდე ამ ჯგუფს ჰქონდა თავისი ბეჭდვითი ორგანო-გაზეთი „ტრიბუნა“, რომლის რედაკტორების წევრები იყვნენ შალვა ნუცუბიძე, თედო ღლონტი და სერგო ამალლობელი. ამ გაზეთში სერგო ამალლობელი აქვეყნებდა წერილებსა და სტატიებს ეკონომიკასა და პოლიტიკაზე. მსჯელობდა მარქსიზმზე. 1921 წლიდან სერგო ამალლობელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ერთდროულად პირველ ქართულ ეროვნულ თეატრშიც მუშაობდა მოკარნახედ.

1925 წელს სერგო ამალლობელს ტოვებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და სოციოლოგიის კურსის წასაკითხად. ამავე დროს მას იწვევენ ამიერკავკასიის კომუნისტურ აკადემიაში, სადაც კითხულობს ლექციებს იურისპრუდენციაში.

1925 წლის თებერვალში სერგო ამალლობელი ინიშნება რუსთაველის თეატრის გამგედ, დეკემბერში კი გადაჰყავთ ამიერკავკასიის კომუნისტურ აკადემიაში. ამ ერთმა წელმა, ერთმა თეატრალურმა სეზონმა სამუდამოდ დააკავშირა სერგო ამალლობელი კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან, თეატრთან. კოტე მარჯანიშვილი გახდა მისი სულიერი მამა და მეგობარი.

1926 წლიდან 1928 წლამდე სერგო ამალლობელი საქართველოს სახკინმრეწვის (ქართული ფილმი) დირექტორია.

1927 წელს ს. ამალლობელმა უურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოაქვეყნა წერილი „თეატრალური პოლიტიკის საკითხები“. რომელშიდაც იგი ეკამათებოდა კრიტიკოს მ. დუდუჩიავას და უარყოფდა მის მოთხოვნას დრამატურგიაში თემატიკის ნორმატიული მითითებით შემოფარგვლის შესახებ. ამავე წერილში იგი კვლავ ეხება თბილისში მეორე სტაციონალური დრამატული თეატრის ჩამოყალიბების აუცილებლობის საკითხს და ამტკიცებს, რომ ერთი თეატრის არსებობა ერთი მხატვრული დიქტატის პლატფორმის შექმნას უწყობს ხელსო. ამავე დროს, ასეთი მდგომარეობა, თვით ამ თეატრში ძალაუნებურად ეკლექტიკურ რეპერტუარს გამოიწვევს. ან უკეთეს შემთხვევაში, არავითარი თავისუფალი კონკურენცია არ შედგება, ვინაიდან „მსახიობი“ არსებითად, ერთსა და იმავე სცენური კულტურის პრიზ-მაში გაატარებს სხვადასხვა სახისა და ხასიათის პიესებს.

1928 წელს ს. ამალლობელი მოსკოვის ხელოვნების მეცნიერებათა ასპირანტურაში სწავლობს და ინიშნება იმავე აკადემიის საბჭოთა ხალხების ხელოვნების განყოფილების გამგედ.

1929 წლიდან იგი ამავე აკადემიის სწავლული მდივანი და ექვსი კაცისაგან შემდგარი პრეზიდენტის წევრია. ამავე დროს ან.ვ. ლუნაჩარსკისთან და ხელოვნების სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად კომუნისტური აკადემიის თეატრალური სექციის პრეზიდენტის წევრიცაა.

1930 წელს ს. ამალლობელი „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ თეატრალური განყოფილების გამგეა. ს. ამალლობელი 1931 წლიდან მოსკოვის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს ხელოვნების სოციოლოგიაში. იმავე წელს მასვე ირჩევენ „მოსლოკაფში“ (წითელი არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანების მოსკოვის

განყოფილება) პასუხისმგებელ მდივნად.

1933 წლის დეკემბერში ს. ამაღლობელს ნიშნავენ მოსკოვის აკადემიური მცირე თეატრის დირექტორად.

1934 წელს ს. ამაღლობელი სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის წევრია, რომელიც ამზადებს საკავშირო მწერალთა პირველი ყრილობის მოწვევას. ერთ-დროულად იგი მწერალთა კავშირის დრამსექციის თავმჯდომარეა.

1934 წელს იტალიის მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით მოსკოვის აკადემიური მცირე თეატრის დირექტორი ს. ამაღლობელი მიემგზავრება რომში, საერთაშორისო თეატრალურ კონგრესზე. მასთან ერთად მიემგზავრებიან გამოჩენილი თეატრალური მოღვაწეები: სახალხო არტისტები ვ.ი. ნემიროვიჩ დანჩენკო, ვს. მეიერჰოლდი, დამსახურებული არტისტი ა.ი. თაიროვი.

ს. ამაღლობელი სისტემატიურად აქვეყნებდა სტატიებს ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ გაზეთებში: „პრავდა“, „იზვესტია“, „ლიტერატურნაია გაზეტა“, „ვეჩერნაია მოსკვა“, „კომუნისტი“, „ზარია ვასტოკა“, და სხვა. უურნალებში: „ტეატრი ი დრამატურგია“, (სადაც იგი რედკოლეგიის წევრიც იყო), „სოვეტსკოე ისკუსსტვო“, „საბჭოთა ხელოვნება“, „მნათობი“ და სხვა. ამასთან, (1930-31) წლებში რედაქტორობდა ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის გამოცემას, უურნალ „ისკუსსტვოს“, იმავდროულად იყო მცირე აკადემიური თეატრის ყველა გამოცემის რედაქტორი, იქნებოდა ეს წიგნი, ბროშურა თუ გაზეთი.

1934 წელს მოსკოვის მცირე სამხატვრო თეატრში დაიდგა ს. ამაღლობელის პირველი პიესა-„კარგი ცხოვრება“, რომელიც შემდეგ საბჭოთა კავშირის 73 თეატრმა დადგა.

ქართველი ინტელიგენცია სერგო ამაღლობელს ქართულ თეატრში მოსვლამდე იცნობდა, როგორც ერუდირებულ პუბლიცისტია და საზოგადო მოღვაწეს. მან არაერთხელ დააყენა საკითხი თეატრალური მუშაკების, საზოგადოებისა და ხელმძღვანელი დაწესებულებების წინაშე საქართველოში თეატრალური უურნალის დაარსების თაობაზე. ს. ამაღლობელი, იყო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე შორსმჭვრეტელობითა და საქმის ცოდნით დაწერილი მრავალი სტატიის ავტორი. ასევე ბევრი საინტერესო სტატია გამოაქვეყნა გაზეთ „ტრიბუნაში“. მათ შორის „ლოზუნგები და სინამდვილე“, აღსანიშნავია საფუძვლიანი ცოდნით გამორჩეული წერილებიც: „გარდამავალი პერიოდი და კომპერაცია“, „ახალგაზრდა ორგანიზაციების საკითხები“ და სხვა.

ს. ამაღლობელს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ქართულ თეატრთან, ქართულ კულტურასთან. როდესაც იგი სსრ კავშირის ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი იყო. აქვე დააარსა ქართული კაბინეტი. რომელიც აწყობდა ქართული კულტურის კვირეულებს მოსკოვში. კაბინეტის მუშაობაში ჩაბმული იყვნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები: შ. დადიანი, ბ. ულენტი, პ. კეშელავა და სხვანი.

აღსანიშნავია, რომ ს. ამაღლობელმა პირველი ფუნდამენტური ნაშრომი „თეატრისა და კინოს პრობლემები“, -მიუძღვნა კ. მარჯანიშვილს.

ბედმა ისე ისურვა, რომ მოსკოვში კ. მარჯანიშვილმა თავისი სიცოცხლის ბოლო დღე და თითქმის ბოლო წუთებიც სერგო ამაღლობელთან გაატარა. ისინი გვიან ღამემდე სტუმრად იყვნენ ა. ლუნაჩარსკის ოჯახში და როდესაც მანქანით სახლში ბრუნდებოდნენ, გზაში კ. მარჯანიშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა ს. ამაღლობელის აუწერელი მწუხარება გამოიწვია. ახლობლების გადმოცემით, იგი დიდი ხნის განმავლობაში გაოგნებული დადიოდა და ღამლამობით ბავშვივით ტიროდა.

ს. ამაღლობელი განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა ახალგაზრდა თანამშრომლების პროფესიული დაოსტატების საქმეს. მისი ინიციატივით საზღვარგარეთ ხანგრძლივ შემოქმედებით მივლინებებში როგორც წესი 50-ზე მეტი ახალგაზრდა უნდა გამგზავრებულიყო. ს. ამაღლობელმა აკადემიის თანამშრომელთა საერთო პატივისცემა დაიმსახურა. მას ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა 29 წლის კაცს მხცოვანი მეცნიერები რიდით ეკიდებოდნენ.

აღსანიშნავია რომ თეატრი და მორალი ს. ამაღლობელისათვის ზედმიწევნით ნაცნობი თემაა. მის კაპიტალურ „ნაშრომში თეატრისა და კინოს პრობლემები“ სწავლას რაკურსით წარმოდგენილი ეს საკითხი ერთსა და იმავე გადაწყვეტას ჰქოვებს და დაასკვნის რომ თეატრის კრიზისი საზოგადოების მორალური კრიზისია და პირუკუ. 1934 წელს წიგნად გამოქვეყნებულ ს. ამაღლობელის პირველ პიესას „კარგი ცხოვრება“

წინასიტყვაობად დიდი ფრანგი მწერლის რომენ როლანის წერილი ჰქონდა წამძღვარებული. რომენ როლანი წერდა ამაღლობელს, რომ მას მოსწონს ვაჟვაცური, ხალისით გალაღებული პიესა. თქვენ უეჭველად გაქვს სცენური მოძრაობის ვნებათა და რთული ინტრიგის იტალიურ ყაიდაზე გადასკვნის ნიჭი, თქვენ პიესას შეიძლება ბომარშეს „გადარეული დღე“ დავარქვათ.

პირველად საბჭოთა კავშირში ს. ამაღლობელის ინიციატივით შეიქმნა მოსკოვის მცირე აკადემიური თეატრის ფილიალი, შემდეგ კი დამოუკიდებელი საკოლეჯუნეო თეატრი ვორონეჟის ოლქის სოფელ ზემეტჩინოში. 1934 წელს ს. ამაღლობელი დაესწრო მსოფლიო წარმომადგენელთა ფორუმს.

მცირე აკადემიურ თეატრში ს. ამაღლობელის ინიციატივით დაიწყო მრავალტირაჟიანი გაზეთის „მცირე თეატრი“-ს გამოცემა. მისი პირველი წომერი 1935 წლის 15 ოქტომბერს გამოვიდა. ბოლო კი 1939 წლის ივნისში. სულ დაისტამბა 100 წომერი.

მცირე თეატრის საუკეთესო ტრადიციებს მიეკუთვნება შექსპირის ტრაგედიების დადგმა. ს. ამაღლობელმა ისარგებლა რა შემთხვევით, შექსპირის დასადგმელად მცირე თეატრში მოიწვია გამოჩენილი ინგლისელი რეჟისორი და მხატვარი ედვარდ გორდონ კრეგი. გორდონ კრეგის და ს. ამაღლობელის პირველი შეხვედრა მოხდა 1934 წლის ოქტომბერში, მსოფლიოს პირველ თეატრალურ კონგრესზე.

დასანანია, რომ 1937 წელს, შემოქმედებითი აღმავლობისას, 38 წლის ასაკში შეწყდა მისი სიცოცხლე, მაგრამ დროის იმ მცირე პერიოდშიც ბევრის გაკეთება მოასწრო, ღრმა კვალი გაავლო თეატრალური ხელოვნების ისტორიაში.

მასალის მომზადებისას ვისარგებლეთ ჯაბა იოსელიანის სადოქტორო ნაშრომიდან „სერგო ამაღლობელი.“

## უკანასკნელი შეხვედრა პუზუ პატონიან

იმერეთის დიდთავადთა „უკანასკნელი მოჰიკანი“, სიმონ (ბუჭუ) ვლადისლავის ძე ჩიჯავაძე 2013 წლის 8 ივნისს მიიცვალა 86 წლის ასაკში და შეუერთდა მის დიდებულ წინაპართა პლეადას.

ვანელი ჩიჯავაძეები, რომლებიც იმერეთის სამეფოში ოთხ დიდ გვარში (წერეთელი, აბაშიძე, ნულუკიძე, ჩიჯავაძე) იყოფდა ძალაუფლებას, იმერეთში გადმოსულან ქართლიდან XV ს—ში, ხოლო ქართლში დამკვიდრებული ჩანან XI საუკუნიდან ეგრისელი თავადის ჩიჩუბის საგვარეულოდან, როგორც ამას არკვევს პროფ. ო. სოსელია.

ბატონი ბუჭუ, თავისი მძიმე წარსულის მიუხედავად, რომელიც წილად ხვდა მას საბჭოთა საქართველოში დამკვიდრებული რეპრესიული პიროვნება, თავისუფალი ყოველგავარი შურისძიების გრძნობისაგან იმ ხალხის მიმართ, რომელთაც მათთან უნებურად ან ზაკვით დიდი ტკივილი მიუყენებიათ მისი ოჯახის წევრებისადმი. ბატონი ბუჭუს პიროვნულ ხიბლს, რომელიც წინაპართაგან ჰქონდათ მას მემკვიდრეობით მიღებული, გრძნობდა ყველა მისი ახლო თუ შორეული ნაცნობ—მეგობარი, რაც სიმბოლურად გამოხატულია მისი პიროვნებისადმი მიძღვნილი პოეტ შოთა ნიშნიანიძის ლექსში, რომელიც მთავრდება სტროფით:

„კოჭზე ვერ მისწვდნენ იმერეთს  
საგრაფო—სააბატონი,  
სანამ ამ ქვეყნად ვანია  
და ვანში ბუჭუ ბატონი!“

და უკვე, აღარ ჰყავს ამ ქვეყნად იმერეთსა და ვანს სათაყვანებელი და კოლორიტული, კეთილი და პატიოსანი, მორწმუნე და მიმტევებელი, საქართველოს წარსულის დიდი მოტრფიალე —— მოსიყვარულე და აწმყოზე არა გულგრილი და მოშაინედ ხელჩაქნეული ბუჭუ ბატონი. მისი უთვალავი თაყვანისმცემელი და მისი დედმამიშვილის, შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების პატივისცემით გამსჭვალული ათასები, ღრმა მწუხარებას გამოხატავენ მისი გარდაცვალების გამო.

ბატონ ბუჭუსთან ბოლო სამი ათეული წლის ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა, რაც წერილობით და სიტყვიერად დამიდასტურებია. ჩვენი შეხვედრების დროს ისრითში, მის წინაპართა 300 წლიანი სახლის სანახებში ბატონ ბუჭუსთან საუბრებმა მომცა სტიმული მემუშავა საარქივო — ისტორიულ დოკუმენტებზე და ლიტერატურულ წყაროებზე, რათა გავცნობდი ვანის უძველეს ისტორიას და მასში ჩიჯავაძეთა წვლილის გამოკვეთას. ამ საუბრების ნაყოფია „მოგონებების, ნარკვევების და ესეების“ სამ წიგნში მოთავსებული ნარკვევები, განსაკუთრებით მესამე წიგნი, რომელიც მთლიანად ვანის ჩიჯავაძეების თემას მიეძღვნა. აღსანიშნავია, რომ XVI-XVIII ს.ს. დასავლეთ საქართველოს ოთხი საეპისკოპოსოდან (ქუთაისის, გაენათის, ხონის და ნიკორწმინდის) ხონის მთავარეპისკოპოსების სვიმონ (XV-XVI ს.ს.) და ანტონ (XVIII-XIX ს.ს.) ჩიჯავაძეთა მოღვაწეობა ცალკე წიგნადაც გამოქვეყნდება 2014 წლებში.

ბოლო ჩვენი შეხვედრების დროს, სწორედ ამ წიგნებში განხილულ მასალების გაცნობას და მის შენიშვნებს ვისმენდი. უკანასკნელი შეხვედრა 2013 წ. აღდგომის კვირეულში იყო, 2011 წ. გამოცემული ჩემი მოგონებების III წიგნი მივუტანე, სამზადი სახლის აივანზე ვისხედით. ბოლო ხანებში მას გადაადგილება უჭირდა და სახლიდან ვეღარ გადიოდა. ბატონმა ბუჭუმ ეფრემიძეთა გვარი და კერძოდ ზენობნელი იოსებ (ესება) ეფრემიძე გაიხსენა. როგორც ნახსენები წიგნის „ბაგრატიონ—ეფრემიძეთა გვარსახელების ეტიმოლოგიის და ისტორიის საკითხისათვის“ ნარკვევიდან ჩანს, ხონის საეპისკოპოსოს ხონის წმ. გიორგის ეკლესიის მრევლად რიცხული ეფრემიძები XVIII ს. შუა წლებიდან ანტონ და ვახუშტი (საბეკელი ჩიჯავაძეები) და ბეჟან და გიორგი (ისრითელი ჩიჯავაძეები) ხელშეწყობით, ეფრემიძეების რამდენიმე ოჯახი გადმოსახლებულან საჩინოს (საბეკას) თემის ზენობნის უბანში. ბატონ ბუჭუს აღრეც მოუგონებია იოსებ ეფრემიძის სტუმრობის ამბები მათ ოჯახში რელიგიურ დღესასწაულებზე მირთმეული ძღვენი, მაგრამ ამჯერად, ჩვენი ბოლო შეხვედრა თითქმის მთლიანად იმ სანეტარო მოგონებას

მიეძღვნა, რომელიც ჩიჯავაძეებისა და ზენობნელ ეფრემიძეებს აკავშირებდათ. როგორც მისი მონათხოვიდან გაირკვა და ბატონი ბუჭუს ქალიშვილი ქა—ნი მარინეც დაადასტურებს, ისრითელი ჩიჯავაძეების ძიძა ტრადიციულად თურმე, ზენობნელი ეფრემიძეების ოჯახიდან უნდა ყოფილიყო. იგი ალელვებით და ემოციურად იხსენებდა ბავშვობიდან შემორჩენილ მოგონებას, თუ როგორ უანგაროდ და ფაქიზი სიყვარულით ხვდებოდნენ მათი ძიძის ოჯახის წევრებს და განსაკუთრებით იოსებ ეფრემიძის ოჯახის წევრის სტუმრობას. ასე მგონია, ბატონ ბუჭუს ეს მომენტი ერთ—ერთი ბოლო მოგონება იყო წარსულთან შეხვედრისა. ემოცია იმდენად ძლიერი იყო, რომ ქალბატონი მარინე ორჯერ ჩაერია ჩვენს საუბარში და მის ცრემლმორეული მამის დამშვიდებას ცდილობდა. ცხადია, იგი მტკიცნეულად განიცდიდა იოსებ ეფრემიძის ოჯახის ტრაგედიას, რაც გამოიხატა მილიციის მიერ უფროსი ვაჟიშვილის ევგენის ღალატითა და მუხანათური მკვლელობით 1934 წელს. ე.ნ. „ყაჩალ დვალიშვილებთან“ ურთიერთობის გამო, მისი მეორე შვილის აპოლონის— 10 წლიანი ციმბირში გაკატორლებისა და მათი ზენობნური სამოსახლოს გაპარტახების გამო. ბატონ ბუჭუს მიაჩნდა, იოსებ ეფრემიძის ოჯახის რეპრესირება მოხდა ჩიჯავაძეებთან მათი კავშირის გამო. ეს ვარაუდი სარწმუნოა, რადგანაც ევგენი ეფრემიძე, რომელიც 1921 და 1924 წ. საქართველოში, ქუთაისში და ვანში მიმდინარე მოვლენების მონაწილეც იყო, უეჭველად დაკავშირებული იქნებოდა ისრითელი ჩიჯავაძეების ერთ—ერთ თვალსაჩინო პიროვნებასთან —— ანდრია ჩიჯავაძესთან (1890—1971), რომელიც მის ბიძაშვილებთან და მათ ოჯახებთან ერთად გადასახლებულნი იყვნენ შუა აზიაში. ალბათ ეს იყო მიზეზი ევგენი ეფრემიძის „გაყაჩალების“, რომელმაც ასეთი შედეგები არგუნა იოსებ ეფრემიძის ოჯახს. გამოთხოვებისას, ისევ დავუბრუნდით რეალობას. დავპირდი რომ წიგნს ანტონ ჩიჯავაძეზე მე თავად მივართ-მევდი მას, მაგრამ დავიგვიანე. სულ, ერთი თვეც არ გასულა ამ შეხვედრიდან, რომ მისი სიცოცხლე შეწყდა. დარჩა კაცური კაცის, დიდ წინაპართა ლირსეული საქმისა და ტრადიციების გამგრძელებელი პიროვნების სახელი, რომელიც ადეკვატურ ასახვას ჰქოვებს მისი შვილების და მომავლის სიტყვასა და საქმეში.

მარადიული ხსოვნა მის სახელს.



„ვანის რაიონის ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“ - **მადლობას უძის:**

- მატიანეში გამოქვეყნებული ყველა მასალის, კვლევისა და სტატიის ავტორს.

- „კვლევის ცენტრის“ მეცნიერ კონსულტანტებს ბატონებს - პროფესორებს: თეიმურაზ სურგულაძეს, ავთანდილ ნიკოლეიშვილს, ამირან ნიკოლეიშვილს, ომარ ძაგნიძეს, გურამ ყიფიანს, თეიმურაზ ადეიშვილს, უჩა დვალიშვილს რომლებთანაც კონსულტაციით ქვეყნ-დება „მატიანის“ წინამდებარე ნომერში წარმოდგენილი მასალები.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას, კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექციას თანაგრძნობისა და გვერდით დგომისათვის.

გულწრფელი მადლობა ბატონ ბეჟან წაქაძეს თანაგრძნობისა და დახმარებისათვის.

მადლობას ვუხდით „მბმ - პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და სტამბის ყველა მუშაკს „მატიანის“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

|                                  |                                   |
|----------------------------------|-----------------------------------|
| რედაქტორი                        | ომარ კაპანაძე                     |
| პასუხისმგებელი მდივანი           | აკაკი თევზიაძე                    |
| კორექტორები:                     | თეონა დიასამიძე<br>მაცაცო როხვაძე |
| კომპიუტერულ ვერსიაზე<br>მუშაობდა | ბელა ცაბაძე                       |



დაკაბადონდა და დაიბეჭდა  
შპს „მბმ-პოლიგრაფის“ მიერ  
ქ. ქუთაისი, წერეთლის 186  
ტელ.: 0 431 23 45 54